http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

„ყოველი შემოქმედის უმთავრესი დანიშნულებაა, ადამიანი გახდეს უკეთესი, ვიდრე არის“

მე-9 გვ.

ახალი უნივერსიტეტი

23 ოქტომბერი, პარასკევი, 2009 წ. №12 (2093)

ტიციან ტაბიძის ნარკვევი ქართველმა მკვლევარებმა მხოლოდ 80 წლისთავზე მოიძიეს



თუკი ცხოვრებაში რაიმეს უნდა ეძიებდე, უნდა ეძიებდე იმ ადამიანთა სულის გასაღებს, რომელთა ცხოვრებაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ჩამოკიდებულ საქანელაზე ქანაობას გავდა, რომელსაც ქარიშხალი ხან სიცოცხლის, ხან კი სიკვდილის სადარაჯოზე აქანავებდა, რომელთა განცდაც ჩვეულებრივ მოკვდავთა განცდებს არ გავდა, რომელთა ტკივილსაც სიხარული ერქვა და რომელთა სიხარულსაც ტკივილი ასულდგმულებდა — ძნელია ასეთ ადამიანად მოსვლა დედამიწაზე, რომელიც მისი „მე“-ს გარშემო ბრუნავს და ენით აღუწერელია იმ ტყვიის მიზანი, რომელიც ამ „მე“-ს დასასრულს „ჭედავს“ — „ცისფერყანწელი“ ტიციან ტაბიძე სწორედ ის ფენომენია, რომლის სულის გასაღების ძებნასაც მომავალი თაობები გააგრძე-ლებენ, თუმცა დღეს მისი ნიჭიე-რების კიდევ ერთ „სადგურს“ მი-ვადექით, საიდანაც კარგად ჩანან XIX საუკუნის ქართული ლიტე-რატურის საჭეთმპყრობელნი.

ნინო კაკულია

„ტიციანს უყვარდა წითელი მიხაკი და მამულს ლოცავდა ყანწით და წიგნით“ — შოთა ნიშნიანიძის ლექსის ეს სტრიქონები ერთგვარ შესავლად გამოგვადგება იმის მაუწყებლად, რომ საქართველო ტიციანმა დღესაც დალოცა ახალი წიგნით, რომელიც ჯერ სულ 200 ეგზემპლარად დაიბეჭდა. ტიციან ტაბიძეს ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიკოსის ამპლუაში ქართული საზოგადოება პირველად გაიცნობს უნივერსიტეტის პროფესორის ლადო მინაშვილისა და მთარგმნელის თემურ ჯაგოდნიშვილის ძალისხმევით — ეს გახლავთ, რბილად რომ ვთქვათ – აღმოჩენა, რეალურად კი სენსაცია, რადგან ქართველმა მკვლევარებმა მხოლოდ 80 წლისთავზე მოიძიეს ტიციან ტაბიძის ნარკვევი ახალი ქართული ლიტერატურის შესახებ, რომელიც XIX საუკუნის ქართველ მწერლებზე საინტერესო ცნობებს და მათი შემოქმედების ერთგვარ შეფასებას მოიცავს.

რა გზა გამოიარა, რა ისტორია და თავგადასავალი აქვს ტიციან ტაბიძის ნარკვევს, რომელიც 1929 წელს რუსულ ენაზე დაიწერა — ამის შესახებ შესავალ ნაწილში მოგვითხრობს წიგნი „ახალი ქართული ლიტერატურა“ (XIX საუკუნე — XX საუკუნის 30 წლებამდე), რომლის რედაქტორია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ლადო მინაშვილი. წიგნში, რომელიც უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა, შესულია ტიციან ტაბიძის ნარკვევი „ახალი ქართული ლიტერატურა“ როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე, მას თან ერთვის ლადო მინაშვილის მოკლე მიმოხილვა ტიციან ტაბიძის ნარკვევისა მისი სტრუქტურისა და შინაარსის თაობაზე.

ტიციან ტაბიძის ახალი ნარკვევის აღმოჩენის თაობაზე ცოტამ თუ იცის... წიგნში მოცემული ინფორმაცია იმდენ თემას ხდის სადისკუსიოს, რომ, იმედია, ექსპერტები და მკვლევარები მას ინტერესით ჩაუღრმავდებიან. სწორედ ამ პათოსით ჩავეძიეთ ბოლომდე ტიციან ტაბიძის სულის კიდევ ერთი გასაღების მფლობელს, ბატონ ლადო მინაშვილს, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება — ტიციანი ახალი ამპლუით სომხეთიდან საქართველოში გამოეხმ... როგორ მოიპოვა ინფორმაცია ბატონმა ლადო მინაშვილმა ტიციან ტაბიძის სომხურ ენაზე გამოცემული ნარკვევის შესახებ? — აქედან იწყება ისტორია იმ წიგნისა, რომელზეც ვსაუბრობთ.

მე-14 გვერდზე

საუკუნის ექსპერიმენტის გაშვება ნოემბრისთვის იგეგმება

მაია ტორაძე

თხუთმეტ წელზე მეტია, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვარზე მდებარე ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრისაკენაა (CERN) მიპყრობილი. აქ 40-ზე მეტი ქვეყნის მეცნიერთა კოლაბორაცია აგებს დიდ ადრონულ კოლაიდერს, რომელზეც საუკუნის ექსპერიმენტებია დაგეგმილი. სამეცნიერო თანამშრომლობაში საქართველოც მონაწილეობს და დაინტერესებულმა მკითხველმა კარგად იცის, რაოდენ დიდია ქართველ, განსაკუთრებით კი თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტისა და ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერთა წვლილი ზოგადად ატომური ამაჩქარებლის, კონკრეტულად კი ექსპერიმენტ ATLAS-ის კონსტრუირებაში. სწორედ მათმა დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა ის, რომ ტრადიციულად ორ წელიწადში ერთხელ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით იმართება საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც CERN-დან ჩამოსული მაღალი დონის მეცნიერები სტუმრობენ. წელსაც, 13-16 ოქტომბერს გაიმართა მორიგი მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ფიზიკა მომავალ კოლაიდერებზე“, რომელშიც 12 უცხოელი მეცნიერი მონაწილეობდა.

კონფერენციის მონაწილენი განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოხატავდნენ იმ ფაქტის გამო, რომ კოლაიდერის ხელახალი გაშვება ნოემბრის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. ექსპერიმენტ ATLAS-ის ხელმძღვანელმა, პროფესორმა პიტერ იენმა და პროფესორმა ლ. ევანსმა, რომელთათვისაც ახლა ყოველი წამი და წუთი გათვლილია, დრო გამონახეს და თბილისის საერთაშორისო კონფერენციას ეწვივნენ.

როგორც კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ექსპერიმენტ ATLAS-ის ქართული ჯგუფის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ჯემალ ხუბუამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, ამგვარ შეხვედრებს დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს და, ასევე, საინტერესოა ახალგაზრდებისთვის, რადგან ეს მომავლის ექსპერიმენტია.

CERN-ის ატომური ამაჩქარებლის სამეცნიერო მნიშვნელობასა და თბილისის საერთაშორისო კონფერენციის საინტერესო თემატიკაზე კონფერენციის სხვა სტუმრებმაც ხაზგასმით აღნიშნეს.

ნოდარ სურგულაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე:

„ექსპერიმენტი CERN-ში, ეს არის მსოფლიოში დღეს არსებული კოლაბორაციის ყველაზე დიდი მაჩვენებელი. პრაქტიკულად ყველა განვითარებული ქვეყანა, რომელიც მეცნიერებას პატივს სცემს და მოწადინებულია გაზარდოს მეცნიერთა ახალი თაობა, მონაწილეობს საუკუნის პროექტში, რომელიც ახალი განზომილებების, ახალი რეალობისა და ახალი სამეცნიერო მიმართულების ჩამოყალიბების დასაწყისია.

მე-2 გვერდზე

თსუ-ის მაგისტრატურაში მისაღები კონკურსი კვლავ გამოცხადდა
მე-3 გვერდზე

გასტონ ბუაჩიძე: „როცა თარგმნი, ენის გული და სუნთქვა უნდა გადმოსცე“
მე-4 გვერდზე

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროექტორის ვიზიტი თსუ-ში
მე-5 გვერდზე

შეძლებს კი სახელმწიფო ზოგიერთი დეკლარირებული პრინციპის შესრულებას?
მე-7 გვერდზე

გალერეა „ჰობი“-ში დღევანდელი სოხუმის ამსახველი გამოფენა მოეწყო
მე-10 გვ.

ია ანთაძე: „თითოეულ ჩვენგანს მოგვიწევს უფრო ფრთხილად ვიმუშაოთ“
მე-11 გვ.

პროფესორ ავთანდილ ქორიძის გამოკვლევები მომავლის საწვავის მიღების პერსპექტივას იძლევა
მე-12 გვ.

საუკუნის ექსპერიმენტის გაშვება ნოემბრისთვის იგეგმება

პირველი გვერდიდან

თუ ჩავუღრმავდებით, ჩვენი სამყაროს 95 პროცენტი ფარული ენერგიისა და ფარული მატერიისგან შედგება. მხოლოდ 5 პროცენტია სამყაროში ის, რასაც ჩვენ ვხედავთ და შევიგრძნობთ. ეს ექსპერიმენტი საშუალებას მოგვცემს, გავიგოთ, რა არის ჩვენს გარშემო და რანი ვართ ჩვენ.

საამაყოა, რომ საქართველო, მიუხედავად სიძნელეებისა, ამ ექსპერიმენტში პირველი დღიდანვე არის ჩართული. იგი მოიცავს 5 სხვადასხვა დეტექტორს, რომელთაგან ერთ-ერთი თავიდან ბოლომდე ქართველი მეცნიერების მიერ არის კონსტრუირებული და საუკეთესო შეფასებებიც დაიმსახურა. წარმოუდგენლად დიდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერთა წვლილი. მათთან ერთად CERN-ში წარმატებით მოღვაწეობენ ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის, ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც.

ფაქტობრივად, ეს არის საქართველოს სახელი საზღვარგარეთ. დღეს საქართველო ცნობილია ფიზიკოსებით, ექიმებით, მათემატიკოსებით, იმ სამეცნიერო ელიტით, რომელიც ამ კონფერენციაზე მონაწილეობენ და რომელნიც ჩვენი მეცნიერების დესპანები არიან ევროპაში.

აქ ბრძანდება პროფესორი პიტერ იენი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნის ექსპერიმენტი დღე-დღეზე იწყება, გამონახა დრო და თავისი ჯგუფით თბილისის საერთაშორისო კონფერენციას ეწვია. მინდა გავიხსენო ის წლები, როცა ფინანსური პრობლემების გამო საქართველოს ამ კოლაბორაციაში გადასახადი ვერ შეჰქონდა. მაშინ მეცნიერთა ეს ჯგუფი საქართველოს გვერდზე დაუდგა. მე მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

ასევე, მინდა მადლობა ვუთხრა ამ კონფერენციის ორგანიზატორს, ბატონ ჯემალ ხუბუას, ბატონ ანზორ ხელაშვილს და თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მთლიან კოლექტივს. მინდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვუსურვო, რომ ასეთი დონის მეცნიერი მრავალგზის გაეზარდოს..“

ალექსანდრე შერმაზანაშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის პროექტის მენეჯერი):

„ამ კონფერენციას დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს. ასეთი შეხვედრები ქართველ მეცნიერებს აწვდის ინფორმაციას — თუ რა სიახლეებია მათ სფეროში, რაზე მუშაობენ მათი კოლეგები. ის, რომ თბილისში მსოფლიო დონის მეცნიერები ჩამოდიან და ქართველებს მათთან პირადი ურთიერთობის საშუალება აქვთ, დიდი ბედნიერებაა. აქ შეიძლება შეიძინონ გამოცდილება დაწყებული პრეზენტაციის ტექნიკიდან, დასრულებული სამეცნიერო კვლევებსა და ნაშრომებში წარმოდგენილი სიახლეებით.

მინდა კონკრეტულად იმ ქართველ მეცნიერთა წვლილზეც გესაუბროთ, ვინც ამ კოლაიდერზე მუშაობის დაწყების პირველი დღიდანვეა ჩართული და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობენ. აქ განსაკუთრებით უნდა გამოვყო ქართველ ფიზიკოსთა წვლილი, რომელიც სათანადოდაა დაფასებული. მათ სული და გული ჩადეს ამ საქმეში და უზარმაზარი ავტორიტეტიც მოიპოვეს. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ რამდენიმე სამეცნიერო განხილვას დავესწარი ბატონ ალბერტ თავხელიძესთან ერთად და მახსოვს ის რეაქცია, რაც მეცნიერებს ამ ადამიანის დანახვაზეც კი ჰქონდათ. არა ვარ ფიზიკოსი და იმ განხილვაში არ ვმონაწილეობდი, მაგრამ ადვილი მისახვედრი იყო — თუ როგორი წონა ჰქონდა ამ კაცის სიტყვას.

მინდა ხაზი გავუსვა ექსპერიმენტის მშენებლობაში ქართველი ინჟინრების მონაწილეობასაც. ექსპერიმენტ ATLAS-ის გეომეტრია (საინჟინრო გეომეტრიას ვგულისხმობ) ქართველებმა შექმნეს. ეს გეომეტრია, კომპიუტერული მოდელირების და მონაცემთა ბაზების სახით, არის ის მთავარი ინფორმაცია, საიდანაც წყდება საინჟინრო ამოცანები. თითქოს ეს მოკრძალებული წვლილია, მაგრამ ექსპერიმენტ ATLAS-ის ხელმძღვანელობა

აღიარებს ჩვენს საავტორო უფლებებს.

ჩვენი ჯგუფი ამ გეომეტრიას 3 წელიწადზე მეტ ხანს ქმნიდა და 13 000 ადამიან/საათი რესურსი დახარჯა. ამ შრომის სანაცვლოდ ატლასმა 200 000 შვეიცარული ფრანკი გადმორიცხა ჩვენს ბიუჯეტზე. ეს პატარა თანხა არ არის.

რაც ამ ექსპერიმენტზე აქამდე გაკეთდა, ეს იყო ინჟინერიის და ფიზიკის ერთობლივი ტრიუმფი. ახლა იწყება ფიზიკოსების საქმე, რადგან, როცა კოლაიდერი ჩაირთვება და პირველი დაჯახებები, პირველი კვლევები და დათვლები გაკეთდება, ინჟინერიას იმდენი საქმე აღარ ექნება, მაგრამ ექსპლუატაციის შემდგომ მოდიფიკაციაში კვლავ ჩავერთვებით.

მიხარია, რომ საქართველოში დღეს მიდის მსჯელობა, რომ ამ კოლაბორაციაში ტექნიკური უნივერსიტეტიც ჩაერთოს. ამით დაინტერესებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და თუ მიზანს მივაღწიეთ, ეს იქნება კარგი საშუალება, რომ საქართველოში, კერძოდ, ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნას შესაბამისი სამაგისტრო მომზადების პროგრამები, ვთქვათ, ბირთვულ ინჟინერიაში. ამით მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა ჩვენი ჯგუფის მეშვეობით მოხვდნენ ცერნში, ჩაერთონ ამ პროექტებში და თავიანთი სამაგისტრო ნაშრომები და დისერტაციები ამ მიმართულებით გააკეთონ. ეს უკვე საქართველოსთვის გაზრდილი ახალი კადრებია. როგორც ვიცი, ამ საქმით დაინტერესებულები არიან ბატონები ნოდარ სურგულაძე, გიორგი ხუბუა და არჩილ ფრანგიშვილი, რადგან ეს ქართული სამეცნიერო საქმისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ჩვენ გვინდა, გამოცდილება გავუზიაროთ ქართველ საინჟინრო ინტელიგენციას, სტუდენტებს და მაგისტრანტებს, რომ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს ამ საქმეში“.

პიტერ იენი, ATLAS ექპერიმენტის ხელმძღვანელი:

„იმის გამო, რომ შარშან კოლაიდერზე მცირე შეფერხება მოხდა, მისი გაშვების პროცესი გარკვეული შიშის ქვეშაა და ფრთხილად ვეკიდებით ამ საკითხს. პირველი საცდელი გაშვება მოხდება ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის დასაწყისში. ამის შემდეგ გარკვეული პერიოდი მოხმარდება პირველი საცდელი ექსპერიმენტის გაანალიზებას.

სტარტი გაწელილი იქნება დროში ანუ შემდეგი გაშვება იგეგმება გაისად შემოდგომაზე და შემდეგი უკვე — 2011 წელს. ეს არ არის ერთჯერადი ექსპერიმენტი, ის 15-20 წლის განმავლობაში იმუშავებს და მისი მუშაობის გრაფიკი ცვალებადი იქნება — იმუშავებს 6 თვე, შემდგომ ერთი წელი დაასვენებენ, შეისწავლიან მონაცემებს და კვლავ აამუშავებენ.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი — ეს კოლაიდერი გათვლილი იყო 14 ტევ ენერგიაზე. ახლა, სიფრთხილის გამო, დატვირთავენ მხოლოდ 3,5 ტევ-მდე და ნელ-ნელა გაზრდიან ენერგიას. მისი მუშაობის ინტენსივობაც ნელ-ნელა გაიზრდება. აქ საუბარია ფანტასტიურ ინტენსივობაზე: 10^{34} — ამ რაოდენობის ნაწილაკები გაივლიან და შეეჯახებიან ერთმანეთს ექსპერიმენტის დროს.

პირველად არა ვარ საქართელოში და ძალიან მიხარია, რომ ისევ ჩამოვედი აქ და შევხვდი ადამიანებს, რომლებთანაც დიდი ხნის მეგობრობა და პროფესიონალური ურთიერთობა მაკავშირებს. მიხარია, რომ მეძლევა საშუალება ქართველ კოლეგებს გავუზიარო ის მიღწევები, რაც ფიზიკის ამ მიმართულებაში არსებობს და ამავე დროს მოვისმინო მათგან, რა ხდება ქართულ ფიზიკაში. ასეთი ურთიერთობა მომგებიანია ორივე მხარისთვის. ჩვენ ერთმანეთისგან ბევრს ვსწავლობთ.

მიხარია, რომ ამ დარბაზში ამდენ ახალგაზრდა სახეს ვხედავ, რადგან ეს ექსპერიმენტი მომავლის ექსპერიმენტია. ის მთელი 20 წელი გაგრძელდება და სწორედ ახალმა თაობამ უნდა იმუშაოს ახალ მონაცემებზე.

თქვენ იცით, რომ კოლაბორაციაში დიდი და პატარა ქვეყნებიც მონაწილეობენ და ყველას თავისი წვლილი შეაქვს ამ საქმეში. პატარა ქვეყნებთან თანამშრომლობას ორი სარგებელი აქვს: პირველი — ეს არის პატარა ქვეყნებში არსებული პოტენციალის გამოყენება და მეორე — ახალი თაობის მეცნიერთა გაზრდა.

ქართველი მეცნიერებთან მე 15 წლიანი ურთიერთობა მაკავშირებს და მინდა მათი დამსახურება განსაკუთრებით აღვნიშნო. მაგალითად, ბატონ ირაკლი მინაშვილის დამსახურება. ის პირველი დღიდანვე მუშაობს CERN-ში და შეუცვლელი ექსპერტია. ასევე გამოვყოფდი ქართველ მეცნიერთა ჯგუფს პროფესორ თამარ ჯობავას ხელმძღვანელობით, რომელიც იშვიათი ტოპ-კვარკების ფიზიკას შეისწავლის“.

ჯემალ ხუბუა, ექსპერიმენტ ATLAS-ის ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი:

„მაღალი ენერგიების ფიზიკა ელიტარული, მოწინავე, ფუნდამენტალური მეცნიერებაა და მიხარია, რომ ამ მეცნიერების განვითარებაში ქართველების წვლილი დიდია.

კონფერენციამ ბრწყინვალედ ჩაიარა, რასაც სტიმული მისცა იმან, რომ ქართველ ფიზიკოსებს გარკვეული წყურვილი აქვთ ასეთი შეხვედრებისა. აღარაფერს ვამბობ იმ ახალგაზრდებზე და სტუდენტებზე, რომლებიც კონფერენციაზე მეცნიერების კორიფეებს ხედავენ და უსმენენ. პროფესორი პიტერ იენი უახლოეს ხანებში შეიძლება ნობელის პრემიის ლაურეატი გახდეს. წარმოიდგინეთ იმ ახალგაზრდების სტიმული, ვინც მას დღეს აქ შეხვდა, ესაუბრა, საინტერესო კითხვები დაუსვა. არავინ იცის, ეს შეხვედრები, აქ დანახული თითოეული კადრი ვის ცხოვრებას როგორ წარმართავს.

ყველა უცხოელი მეცნიერი აღნიშნავს, რომ კონფერენცია ძალზე შედეგიანი იყო“.

ამ სიტყვების დასტური გახლავთ ის პატარა წერილი, რომელიც ბატონმა ჯემალ ხუბუამ, ქალბატონებმა თამარ ჯობავამ, მაია მოსიძემ და გვანცა მჭედლიძემ ამ დღეებში მიიღეს ჟენევიდან: „მინდა კიდევ ერთხელ გულწრფელად მოგიხადოთ მადლობა თქვენი სტუმართმოყვარეობის გამო. ვისიამოვნე თქვენს კომპანიაში ყოფნით და მთელი იმ დროით, რაც თქვენთან გავატარე. საკმაოდ ბევრგან ვყოფილვარ და აქამდე უპირატესობას ვანიჭებდი ჩვენს კოლაბორატორებთან ვიზიტებს მთელს მსოფლიოში, მაგრამ საქართველოში ვიზიტები გამორჩეულია იმით, რომ ისინი ჩემს მეხსიერებაში რჩებიან, რაც ამ დღეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. საუკეთესო სურვილებით, პიტერ იენი“.

2011 წელს თბილისის საერთაშორისო კონფერენციაზე საუკუნის ექსპერიმენტის პირველ შედეგებზე იმსჯელებენ. მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ კონფერენციას დიდი ინტერესით ელოდება.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან

21 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დირექტორის მოადგილემ ვახტანგ კარგარეთელმა მოაწერეს ხელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას თქმით, ეს მნიშვნელოვანი შემოთავაზებაა უნივერსიტეტისთვის, რადგან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სტუდენტებს სულ სხვა გარემო დახვდებათ.

შურთხია გეროშვილი

„რეალურად დღევანდელ კონკურენტუნარიან გარემოში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება არც ისე იოლია, აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვაზეც, რათა უნივერსიტეტში მომზადებულ კადრს აღარ სჭირდებოდეს გადამზადება, ამიტომ ამ პრობლემას ერთობლივად უკეთესად დავძლევთ“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

როგორც იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი ბურდულმა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებთან საუბარში განაცხადა, მემორანდუმი ითვალისწინებს პრაქტიკული კურსების გავლას სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამედროვე ლაბორატორიაში, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტები და სტუდენტები კრიმინალისტიკის უნარ-ჩვევებს დაეუფლებიან. მისი ინფორმაციით, საქართველოში არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არ გააჩნია კრიმინალისტიკის ლაბორატორია, რადგან ეს ძალიან ძვირადღირებული სიამოვნებაა.

„სტუდენტები სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კრიმინალისტიკის ლაბორატორიაში დაეუფლებიან იმ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც სჭირდება პროფესიონალ იურისტსა და გამომძიებელს იმისათვის, რომ გახსნას დანაშაული. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საუკეთესო კურსდამთავრებულების დასაქმებაზე თავად სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო იზრუნებს. იმედი გვაქვს, რომ ეს თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება“, — განაცხადა ირაკლი ბურდულმა.

შეხვედრაზე მხარეებმა აღნიშნეს, რომ საექსპერტო საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება პრაქტიკული სწავლების კურსი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. პრაქტიკუმის ხანგრძლივობა განისაზღვრება ერთი აკადემიური სემესტრით. გასაუბრების შედეგად შერჩეული სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან სათანადო პირობებით.

როგორც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილემ გიორგი ხიზანიშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, დღეისთვის ეს სფერო პროფესიული კადრებით დიდად განებივრებული არ არის და, აქედან გამომდინარე, ამ მემორანდუმს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

„კრიმინალისტიკა ძალიან მნიშვნელოვანი დარგია ყველა იურისტისთვის, რადგან ამის გარეშე ვერც ერთი იურისტი სრულფასოვნად ვერ განახორციელებს თავის საქმიანობას, ვინაიდან სწორედ კრიმინალისტიკა სწავლობს ყველა იმ მტკიცებულებას, რომელიც გამოიყენება როგორც საგამოძიებო ორგანოში, ასევე, სასამართლოში. ეროვნულ ბიუროს აქვს საქართველოში ყველაზე ძლიერი ლაბორატორია, სადაც კვლევები მაღალ დონეზე წარმოებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს თავიანთ გამოცდილებას მაღალკვალიფიციური ექსპერტები გაუზიარებენ. იმედი მაქვს, ეს ურთიერთთანამშრომლობა სასიკეთო იქნება ორივე მხარისათვის“, — აღნიშნა გიორგი ხიზანიშვილმა.

თსუ-ის მაგისტრატურაში მისაღები კონკურსი კვლავ გამოცხადდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 3 ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე დამატებითი მისაღები კონკურსი გამოცხადდა. მაგისტრანტობის კანდიდატებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 8 სამაგისტრო პროგრამაზე შეეძლებათ სწავლის გაგრძელება, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 17 პროგრამაზე, მედიცინის ფაკულტეტზე კი 2 პროგრამაზე. საბუთების მიღება 19 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით ფაკულტეტების მიმღებ კომისიებში იწარმოებს. თსუ-ის მაგისტრატურაში მეორადი მიღების გამოცხადების მიზეზებსა და აუცილებლობაზე თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი **რუსუდან ჩიქოვანი** *გვესაუბრა.*

ნატო ოგოლაძე

— რამდენი მაგისტრანტი ჩაირიცხა წელს თსუ-ის მაგისტრატურაში?

— წელს თსუ-ის მაგისტრატურაში გაცილებით მეტი განაცხადი შემოვიდა, ვიდრე წინა წლებში. ზუსტი ციფრი ჯერ არ ვიცით, რადგან რამდენიმე სამაგისტრო პროგრამაზე მეორადი მიღება გამოვაცხადეთ.ეს ის მიმართულებებია, სადაც ვაკანსიები ბოლომდე ვერ შეივსო. ჩემი სურვილი იქნება, თუ მომავალი წლისთვის პროგრამები უფრო მსხვილ მიმართულებებად გაერთიანდება და არ იქნება დანაწევრებული, რადგან ამან პრობლემები შეგვიქმნა. რამდენიმე პროგრამაზე მხოლოდ ერთმა ან ორმა სტუდენტმა გადალახა ბარიერი და, შედეგად, ჯგუფი არ შედგა. გვაქვს რამდენიმე სამაგისტრო მიმართულება, რომლის მაგისტრანტებსაც შესაძლებელია სხვა სპეციალობის მაგისტრანტებთან ერთად წაეკითხოთ ლექციები, თუმცა ასეთი ძალიან ცოტაა. ამიტომ სტუდენტთა მცირე ნაწილი შესაძლოა მაგისტრატურის გარეშე დარჩეს, თუკი მათ პროგრამაზე, მეორადი მიღების შემდეგაც, არ შედგება ჯგუფები. ვიმედოვნებთ, რომ განაცხადები საკმარისი რაოდენობით შემოვა.

— როგორი იყო მაგისტრანტობის კანდიდატების მომზადების დონე?

— მაგისტრანტობის კანდიდატები საკმაოდ კარგად იყვნენ მომზადებულები. ყველაზე დიდი მოთხოვნა იურიდიულსა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე იყო. მაღალი კონკურსი გახლდათ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე საკმაოდ ბევრი ვაკანსია გამოვაცხადეთ, სამწუხაროდ, დიდი კონკურსის გამო, კარგი შედეგების მქონე სტუდენტები გარეთ დარჩნენ. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ყველა პროგრამაზე ახალგაზრდებმა მომზადების მაღალი დონე გამოავლინეს.

—რითი ახსნით განსაკუთრებით დიდ ინტერესს იურიდიული ფაკულტეტისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების კუთხით?

— ალბათ, ეს გაძლიერებული ინტერესი იმით აიხსნება, რომ ამ სფეროს სპეციალისტებისთვის დასაქმების მეტი პერსპექტივაა.

— რაც შეეხება სწავლის საფასურს, მაგისტრანტების რამდენ პროცენტს აფინანსებს სახელმწიფო და რამდენს უნივერსიტეტი?

— ბაკალავრიატისგან განსხვავებით, მაგისტრატურაში მხოლოდ ქულების მიხედვით არ ფინანსდებიან. სახელმწიფო, სპეციალობის მიუხედავად, აფინანსებს მაგისტრანტების საერთო რაოდენობის 10%-ს. დანარჩენი თანხა კი პრიორიტეტული სპეციალობების მიხედვით არის განანილებული. ეს, ძირითადად, ეხება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამებს. რაც შეეხება უნივერსიტეტს, იგი ახლაც აფინანსებს რეიტინგულ მაგისტრატებს. თსუ-ის თითოეულ ფაკულტეტზე, ასევე, არსებობს „ნიჭიერ სტუდენტთა ფონდი“, საიდანაც მაგისტრანტების ნაწილი ფინანსდება.

— იმ მაგისტრანტებმა, რომლებმაც ვერ მოიპოვეს სახელმწიფო დაფინანსება, რა ვადებში უნდა დაფარონ სწავლის საფასური?

— სწავლის გადასახადის დაფარვის ვადები განსაზღვრულია თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებით. საქართველოში არსებული სოციალური ფონის გამო გადაწყდა, რომ ბაკალავრებმა, მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმაც სწავლის საფასური სამ ნაწილად გადაიხადონ. პირველი ნაწილი 12 ოქტომბრამდე უნდა შემოეტანათ, მეორე ნაწილი – პირველ კოლოკვიუმამდე, უკვე გამოცდებისთვის კი პირველი სემესტრის საფასური სრულიად უნდა დაიფაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტები გამოცდებზე არ დაიშვებიან.

— დასაქმების თვალსაზრისით რას სთავაზობს უნივერსიტეტი მაგისტრანტებს?

— თსუ ზრუნავს მაგისტრანტების დასაქმებაზე — ამისათვის შესაბამის დაწესებულებებთან ხელშეკრულებებიც გვაქვს გაფორმებული. მაგალითად, „სახალხო ბანკთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა ჯერ სტაჟირება გაიარეს, შემდეგ კი მათი ნაწილი დასაქმდა კიდეც.

— და ბოლოს, რატომ უნდა აირჩიოს, თქვენი აზრით, მაგისტრანტობის კანდიდატებმა თსუ?

— ჩვენ გვყავს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, გვაქვს საკმაოდ დახვეწილი სამაგისტრო პროგრამები. მაგისტრანტებს ბევრ გაცვლით პროგრამებს ვთავაზობთ საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან. ყველანაირად ვცდილობთ, რომ მაღალკვალიფიციური კადრები მოვამზადოთ, მივცეთ მათ კარგი განათლება.

პროგრამას „საჯარო მმართველობა“ 17 მაგისტრანტი ეუფლება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (შპაიერის უნივერსიტეტის) ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა — „საჯარო მმართველობა“ სიახლეა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის რექტორებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს 2009 წლის 31 ივლისს მოაწერეს ხელი. ინგლისურენოვანი პროგრამა — „საჯარო მმართველობა“ საერთაშორისო დონის პროექტია, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, თავის პარტნიორ უმაღლეს სასწავლებელთან ერთად, მაგისტრანტებს შესთავაზა. სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს თანამედროვე ადმინისტრირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე. დაინტერესებულ პირებს საჯარო მმართველობის სფეროში ევროპულ გამოცდილებას საერთაშორისო დონის გერმანელი პროფესორები გაუზიარებენ. სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ერთობლივი დიპლომის გაცემის პერსპექტივას, ხოლო ისინი, ვინც საჯარო სამსახურში უკვე მსახურობენ, პროფესიული გადამზადების კურსებს გაივლიან, რომელსაც გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარების მქონე პროფესორები შესთავაზებენ. სამაგისტრო პროგრამის — „საჯარო მმართველობა“ მნიშვნელობასა და მიმდინარეობაზე თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე **თეა ჯუღელი** *გვესაუბრა:*

ნინო კაკულია

— სამაგისტრო პროგრამის „საჯარო მმართველობა“ განხორციელება უნივერ-

სიტეტის რექტორის, ბატონ გიორგი ხუბუას ინიციატივა გახლდათ. სწორედ მისი ძალისხმევით ჩაეყარა საფუძველი გერმანიის სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობას. სამაგისტრო პროგრამის — „საჯარო მმართველობა“ დამთავრების შემდეგ მაგისტრანტები ორმაგ დიპლომს მიიღებენ როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე, გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის უმაღლესი სკოლისას. ამ სკოლის ხელმძღვანელობა არ დათანხმდებოდა ამ უპრეცედენტო პროგრამის განხორციელებაში თანამონაწილეობას, რომ არ ჰქონოდა ნდობა ჩვენი უნივერსიტეტისა და მისი რექტორის მიმართ. ამიტომაც იყო, რომ ამ პროგრამამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ეს პროგრამა კარგია იმ მხრივაც, რომ თუ მაგისტრანტები წარმატებით დაამთავრებენ ამ სამაგისტრო პროგრამას, მათ აქვთ შანსი დოქტორანტურაში სწავლა გერმანიაში, შპაიერის უნივერსიტეტში გააგრძელონ.

გარდა ამისა, ეს დიპლომი მათ გზას უხსნის მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში დასაქმებისთვის, ვინაიდან ამ დიპლომს არ დასჭირდება არანაირი დამატებითი აღიარება, ანუ როცა შპაიერის უნივერსიტეტის სახელი გაჩნდება დიპლომზე, ეს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ მაგისტრანტს საკმაოდ სერიოზული სკოლა აქვს გავლილი.

— საინტერესოა, რამდენი მაგისტრანტი გყავთ, რომლებიც ამ პროგრამას გაივლიან?

— ჩვენ მივიღეთ მხოლოდ ის მაგისტრანტები, რომლებმაც ერთიანი სამაგისტრო გამოცდები ჩააბარეს. მიღება გამოცხადებული იყო 25 ადგილზე, თუმცა მხოლოდ 17 მაგისტრანტობის კანდიდატი ჩაირიცხა. (ეროვნული გამოცდების გარდა მათ ჩააბარეს გამოცდები ინგლისურ ენასა და სპეციალობაში). ვინაიდან გერმანიაში ეს სკოლა ძალიან მაღალი დონის უმაღლეს სასწავლებლად ითვლება, ადგილების შევსება ჩვენთვის მთავარი ამოცანა არ იყო, პრიორიტეტი სტუდენტების ცოდნისა და მომზადების დონე გახლდათ.

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გერმანიის სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი სკოლის პროგრამა ინგლისურენოვანია... რით აიხსნება ეს?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაინტერესებული იყო, რომ სტუდენტებისთვის ინგლისურენოვანი პროგრამა შეეთავაზებინა. სწორედ ამიტომ ბატონი გიორგი გერმანელ პროფესორებს ინგლისურენოვანი პროგრამის შედგენაზე შეუთანხმდა. ეს განაპირობა იმანაც, რომ ჩვენ გვაქვს ერთობლივი გერმანულენოვანი პროგრამები, ინგლისურენოვანს კი აქამდე ვერ ვთავაზობდით იმ სტუდენტებს, რომლებიც ინგლისურ ენას კარგად ფლობენ. ამდენად მათთვის კარგი შანსი იყო პროგრამის ინგლისურ ენაზე სწავლების შემოღება. შპაიერის უნივერსიტეტშიც არის ინგლისურენოვანი კურსი და ამას ერთი მიზანი აქვს, რომ ასეთი მაღალი დონის უმაღლესი სკოლები რაც შეიძლება მეტი სტუდენტისთვის გახდეს ხელმისაწვდომი.

— რას მოიცავს სამაგისტრო პროგრამა — „საჯარო მმართველობა“? რა ცოდნას მიცემს ეს პროგრამა მაგისტრანტებს?

— სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები, უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, შეძლებენ ადმინისტრაციული მართვის პრობლემების განსაზღვრასა და გადაჭრას, საჯარო საქმიანობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა სრულყოფილ დაგეგმვას, კონტროლს და აღსრულებას, ორგანიზაციის პოტენციალის შეფასებასა და წარმატებული სტრატეგიის შემუშავებას, მეცნიერული კვლევის ჩატარებას საჯარო მენეჯმენტის სფეროში, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შეთავსებას ყოველდღიურ საქმიანობაში, ეფექტური კომუნიკაციის წარმოებას.

სტუდენტების ერთ ნაწილს თავდაპირველად ეგონა, რომ ეს იყო ადმინისტრაციული სამართლის რაღაც კურსი, რომელსაც მათ იურიდიული ფაკულტეტი სთავაზობდა. რეალურად კი ეს არის პროგრამა, რომელიც აქ მოსულ მაგისტრანტს ორგანიზაციის მართვაში ახელოვნებს. პროგრამის გავლა შეუძლია ბიზნესის სპეციალისტს, ეკონომისტს, თუნდაც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ან ნებისმიერ ბაკალავრს, რომელიც ფიქრობს, რომ კარგი მენეჯერი იქნება და სახელმწიფო სამსახურში თავი მმართველ პოზიციაზე წარმოუდგენია. ჩვენ ველოდებით გამოხმაურებას ამ პროგრამით დაინტერესებული პირებისგან, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობენ. შპაიერის უნივერსიტეტი საჯარო მოხელეებსაც შესთავაზებს გადამზადების სპეციალური კურსის გავლას საქართველოში. სწავლება ყველა ასპექტს მოიცავს, რაც შეიძლება დასჭირდეს მას, როგორც მენეჯერს იმისთვის, რომ სწორად მართოს მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაცია.

— დასაქმების რა პერსპექტივა ექნებათ ამ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს?

— ყოველგვარი გადამეტების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა „ღირებულება“ ბაზარზე ძალიან მაღალი იქნება. აქ აღებული დიპლომით მათ ნამდვილად არ გაუჭირდებათ დასაქმება, ვინაიდან ისინი შპაიერის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები იქნებიან. ეს პროგრამა და დიპლომი იმდენად ღირებულია, რომ სახელმწიფო სტრუქტურები და სხვადასხვა ორგანიზაციები მათ დასაქმების თვალსაზრისით აუცილებლად უზრუნველყოფენ.

ფაქტობრივად, ჩვენ ვამზადებთ საჯარო მმართველებს, რომლებსაც შეუძლიათ ნებისმიერ დაწესებულებაში მმართველი პოზიცია დაიკავონ. საჯარო მოხელეებიდან უკვე ძალიან დიდი დაინტერესებაა გადამზადების კურსებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი საჯარო მოხელეებს, უახლოეს მომავალში, შესთავაზებს ამავე პროგრამის ფარგლებში გადამზადების კურსებსაც. იმედია, საჯარო მმართველობის ახალი სამაგისტრო პროგრამა წვლილს შეიტანს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმეში.

„როცა თარგმნი, ენის გული და სუნთქვა უნდა გადმოსცე“

გასტონ ბუაჩიძე სტუმრად უნივერსიტეტში

მაია ტორაძე

9-23 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ცნობილი ლიტერატორი და მთარგმნელი, ნანტის უნივერსიტეტის (საფრანგეთი) პროფესორი გასტონ ბუაჩიძე სტუმრობდა. მან თბილისელი კოლეგების, უნივერსიტეტის დოქტორანტებისა და სტუდენტებისთვის წაიკითხა ლექციები თემაზე: „ფრანგულ-ქართული ურთიერთობის ისტორიისათვის“.

ბატონი გასტონ ბუაჩიძე არის ბრეტანის და ლუარისპირეთის აკადემიის წევრი. 1960-1990 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდა და ათი წელი ფრანგული ფილოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა. 1991 წლიდან იგი ნანტის უნივერსიტეტის პროფესორია.

გასტონ ბუაჩიძის მრავალმხრივ შემოქმედებით მოღვაწეობაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მან ქართულიდან ფრანგულად თარგმნა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ქართული ზღაპრები, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონის შემოქმედება, ქართული პროზა დასაბამიდან დღემდე. 2009 წლის მაისში, საფრანგეთის ქალაქ ნანტისა და თბილისის დაძმობილების 30 წლისთავთან დაკავშირებით, გამოიცა გასტონ ბუაჩიძის მიერ თარგმნილი და რუსუდან ფეტვიაშვილის მიერ დასურათებული ილია ჭავჭავაძის „ლექსები და პროზა“.

ბატონმა გასტონმა ფრანგულიდან ქართულად თარგმნა ჟიულ ვერნის „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ“.

იგი არის ავტორი წიგნებისა: „მონმარტრიდან მთაწმინდამდე“; ორტომეული „წახნაგები“ (დაიწერა ქართულად); „რეტიფ დე ლა ბრეტონი რუსეთში“, „ფიროსმანი ანუ ირმის განავარდება“, „მარი ბროსეს ცხოვრება“, „აპოლინერი და ფრანგული პოეზიის განვითარების გზები“ (დაიწერა რუსულად); „არტურ რემბო და სიტყვათა ხატები“, „ფორთოხალი, ანგელოზთა ოქრო“, „ვარდები მარგარიტასთვის“, „პარიზში გამოცემული მოთხრობების ტრილოგია „ფეხდაფეხ“, „მარკიზ დე კიუსტინის მოგზაურობა რუსეთში“, „ალექსანდრე დიუმას თავგადასავალი რუსეთსა და კავკასიაში“, „ანდრე ჟიდის დაბრუნება საბჭოთა კავშირიდან“ (დაიწერა ფრანგულად).

ბატონი გასტონი მთელი თავისი შემოქმედებით ემსახურება ქართულ საქმეს და ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეწევა. ამიტომაც იგი ყოველთვის სასურველი სტუმარია ქართული საზოგადოებისა და ქართველი მეცნიერებისთვის, რომლებიც გასტონ ბუაჩიძის ლექციებს ინტერესით ადევნებდნენ თვალს.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარებული 4 საჯარო ლექცია ყველა დაინტერესებული პირისთვის იყო განკუთვნილი. პროფესორმა გასტონ ბუაჩიძემ ისაუბრა თემებზე: „როლანდის სიმღერა, ფრანსუა ვიიონი, პიერ დე რონსარი“; „საქართველო ქვეტექსტში. გალაკტიონ ტაბიძე და პოლ ვერლენი“; „საქართველო ფრანგულ მწერლობაში: ქართული სახე ბალზაკთან. აპოლინერი და საქართველო“, „მრავალტომეული ფრანგულად: „ქართული მწერლობა“. თითოეული სალექციო თემა დამსწრეთათვის საყურადღებო აღმოჩნდა და საინტერესო დისკუსიებიც შედგა.

ჩვენთან საუბარში ბატონმა გასტონმა თარგმნის ხელოვნებაზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ მწერლობაში ეს ყველაზე რთულ საქმიანობად მიაჩნია.

„დედა ფრანგი მყავდა, ამიტომ ჩემთვის საქართველოც და საფრანგეთიც სამშობლოა... როცა მეუბნებიან, ნახევრად ქართველი ხარ და ნახევრად ფრანგიო, მე ვპასუხობ – არავითარ შემთხვევაში, მე ასი პროცენტით ფრანგი ვარ და ასი პროცენტით ქართველი-მეთქი. ეს ორი ენა ჩემთვის იმდენადაა შესისხლხორცებული, რომ თარგმნა ერთიდან მეორე ენაზე თითქოს ძნელი არ უნდა იყოს, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ეს ურთულესი პროცესია, რადგან აუცილებელია ორივე ენის თავისებურებების გათვალისწინება. ზოგჯერ გხვდება სიტყვები, რომელზეც ფიქრობ — რა კონტექსტში იყენებს ავტორი ამ სიტყვას. როცა თარგმნი, ენის გული და სუნთქვა უნდა გადმოსცე“, — ბრძანა ბატონმა გასტონმა.

მას მჭიდრო კავშირი აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ქართველ კოლეგებთან. ცდილობს გააფართოოს სამეცნიერო კონტაქტები. ახლანდელი ვიზიტის დროს მას შეხვედრა ჰქონდა უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ გიორგი ხუბუასთან, რომელმაც მას შესთავაზა — სტუდენტებისთვის წაეკითხა ლექციების ციკლი მისთვის სასურველ თემაზე, თუმცა ბატონმა გასტონმა ამჯერად უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ მუშაობს ძალიან სერიოზულ ლიტერატურულ ნაშრომზე და მთლიანად ამ საქმითაა დაკავებული.

„ჩემთვის საქართველო დიდი ტკივილია. როცა გარედან ვაკვირდები მოვლენებს, ვხედავ, რომ მისი ბედი სწორედ დღეს და სწორედ აქ, საქართველოში წყდება. ვხედავ სასიკეთო ცვლილებებს და ვფიქრობ, რომ საქართველო ამ სიძნელეებს გადალახავს და გადარჩება“, – განაცხადა ბატონმა გასტონ ბუაჩიძემ ჩვენთან საუბარში.

თსუ-ის წარმატებული პირველკურსელები უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დააჯილდოვა

28 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველკურსელების საზეიმო მიღება გაიმართა. წელს პირველ ქართულ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ყველაზე რეიტინგული აბიტურიენტები ჩაირიცხნენ. თსუ-ის ადმინისტრაციამ წარმატებულ ახალგაზრდებს სხვადასხვა საჩუქრები გადასცა. ცერემონიას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია, პარლამენტის წევრები ხათუნა ოჩიაური, ნუგზარ წიკლაური და თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ. წვიმიანი ამინდის მიუხედავად თბილისის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზო პირველკურსელებით გაივსო.

ნატო ოგოლაძე

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მასშტაბით ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტი — ანა ნუსხელაძე თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, იგი პირველი კურსის მეორე სემესტრის განმავლობაში გერმანიის ქალაქ მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში ისწავლის და ყოველ თვე სტიპენდიის სახით 600 ევროს მიიღებს.

სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს უნივერსიტეტის 6-ვე ფაკულტეტის ყველაზე მაღალრეიტინგულმა სტუდენტებმაც. იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი ქულა ბესიკ გვენეტაძემ დააგროვა,მედიცინის ფაკულტეტზე – თინათინ მანჯავიძემ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – ლაშა ქავთარაძემ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე – ანა ნუსხელაძემ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე – მარი მეხრიშვილმა, ჰუმანიტარაულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კი ნინო აფციაურმა. თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ მათ სამახსოვროდ ნოუთბუქები გადასცა.

წარმატებულმა პირველკურსელებმა საჩუქრები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისგანაც მიიღეს. სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ გიორგი შამათავამ ექვსი ფაკულტეტის 6 ყველაზე მაღალრეიტინგულ სტუდენტს ციფრული ფოტოაპარატები გადასცა, განათლების სამინისტრომ კი ნოუთბუქები. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან საჩუქარი ელენე დიასამიძემ მიიღო, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან – მარიამ რუსიშვილმა, იურიდიული ფაკულტეტიდან – გვანცა ლუკავამ, მედიცინის ფაკულტეტიდან — მარიამ ქვილითაიამ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან – სალომე ხვადაგიანმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან კი მარიამ მისაბიშვილმა.

თსუ-ის პირველკურსელებს ახალი სასწავლო წლის დაწყება კომპანია „ჯეოსელმაც“ მიულოცა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალი შედეგების მქონე ახალგაზრდებს – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან გიორგი მჟავანაძეს, მედიცინის ფაკულტეტიდან მაია ღავთაძეს, იურიდიული ფაკულტეტიდან ანა პაპუაშვილს, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ანა მიქიაშვილს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან მარიამ ნადარეიშვილსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ანა მუჯირს სამახსოვროდ „ჯეოსელის“ ქსელში ჩართული მობილური ტელეფონები გადასცა. კომპანია „ჯეოსელის“ პიარ-მენეჯერმა ირმა ცქიტიშვილმა პირველკურსელებს „ჯეოსელის“ მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობისკენაც მოუწოდა, რომელიც 2009 წლის ოქტომბერში გაიმართება.

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროორექტორის ვიზიტი თსუ-ში

8 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უნგრეთის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (GEU) პრორექტორი, ინსტიტუციური კვლევის ევროპული ასოციაციის აქტიური წევრი, პროფესორი როზიცა ბეიტსონი ეწვია. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვა, ქართველ სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრა და ევროპულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.

თამარ მარუაშვილი

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი 1991 წელს ჩამოყალიბდა ჯორჯ სოროსის დაფინანსებით და მალევე გახდა ცენტრალური და დასავლეთ ევროპის „რეგიონის ინტელექტუალური ცენტრი“. მისი მისიაა ხელი შეუწყოს ღია საზოგადოებისა და დემოკრატიზაციის პროცესს რეგიონში. უნგრეთის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამები რეგისტრირებული და აკრედიტებულია აშშ-სა და უნგრეთში. უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს როგორც ერასმუს-ის, ასევე, ერასმუს მუნდუს-ის სქემებში.

დღეისათვის ამ უნივერსიტეტში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული 300 პროფესორ-მასწავლებელი ასწავლის. სტუდენტების რიცხვი დღეისთვის 1500-მდე აღწევს და ისინი 96 სხვადასხვა ქვეყნიდან არიან ჩამოსულები. ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. უნივერსიტეტი ახალგაზრდებს 2 საბაკალავრო, 30 სამაგისტრო და 11 სადოქტორო პროგრამას სთავაზობს. უნივერსიტეტი კონცენტრირებულია ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებზე. აქვე ფუნქციონირებს ბიზნესის სკოლა.

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში დღეისათვის 40-ზე მეტი ქართველი სტუდენტი სწავლობს. უნივერსიტეტი ქართველ სტუდენტებს სხვადასხვა ტიპის სტიპენდიასა და დაფინანსებას სთავაზობს.

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (GEU) პრორექტორი, პროფესორი როზიცა ბეიტსონი თსუ-ის რექტორს, პროფესორ გიორგი ხუბუას შეხვდა. შეხვედრისას ორი უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მომავალი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს და სამომავლო გეგმებიც დასახეს.

როზიცა ბეიტსონმა თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრისას საინტერესოდ ისაუბრა ევროპული საგანმანათლებო სისტემის თავისებურებებსა და უპირატესობებზე, სტუდენტების მობილობის უფრო მეტად გააქტიურებასა და განათლების ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობაზე, განათლების კომერციალიზაციის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე.

„სტუდენტთა მომსახურებასა და სწავლებას ისტორიული საფუძვლები აქვს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანგლო-ამერიკული ტრადიცია. აუცილებელია პროფესორის როლის გაზრდა სტუდენტთა გასააქტიურებლად. პოლიტიკურმა პროცესებმა სტუდენტები პოლიტიზირებული გახადა, რაც მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. სხვადასხვა ქვეყნებს სტუდენტთა სწავლებისა და მომსახურების სხვადასხვა სისტემები აქვთ და მათ ყურადღებით შესწავლა სჭირდებათ, რათა სისტემამ უფრო დახვეწილად და ეფექტურად იმუშაოს“, — განაცხადა საუბრისას ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორმა.

შეხვედრისას ქალბატონი როზიცა ბეიტსონი დაინტერესდა ქართული საგანმანათლებლო სისტემის ეფექტურობის საკითხით და იმედი გამოთქვა, რომ თსუ ღირსეულ ადგილს დაიკავებს განათლების ევროპულ სივრცეში.

სემინარი „გარემოს დაცვა და რესურსების მართვა“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იუსტუს-ლიბიგის სახელობის გისენის უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო განვითარებისა და გარემოს კვლევის ცენტრის (ZEU), თსუ-სა და თბილისში გერმანიის აკადემიურ გაცვლითი სამსახურის (DAAD) ორგანიზებით საზაფხულო სკოლის პროგრამის პრეზენტაცია და სემინარი გაიმართა. ექსპერტული სემინარი „გარემოს დაცვა და რესურსების მართვა“ თბილისში 2 ოქტომბრიდან 8 ოქტომბრამდე გაგრძელდა და მასში საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანის, თურქეთისა და გერმანიის გარემოს დაცვის ექსპერტებმა მიიღეს მონაწილეობა. თსუ-ში შეხვედრის მიზანი 2010 წელს გერმანიაში დაგეგმილი საზაფხულო სკოლისთვის მომზადება და სამხრეთ კავკასიაში გარემოს დაცვასთან დაკავშირებით რამდენიმე პრობლემური თემის განხილვა გახლდათ.

ნატო ოგოლაძე

ექსპერტული სემინარის ფარგლებში გარემოს დაცვის სპეციალისტებმა შემდეგი საკითხები განიხილეს: „ბუნებრივი რესურსები სამხრეთ კავკასიაში – წყალი, კლიმატი, ნიადაგი“, „გარემო და ნიადაგის დაცვა“, „მიწის გამოყენება და ნაკრძალები“, „რესურს-მენეჯმენტის მიზნები და მეთოდები“ და „გამდინარე წყალი და ადაპტაციის მენეჯმენტი“. აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით ექვსივე ქვეყნის გარემოს დაცვის ექსპერტებმა მოხსენებები წარმოადგინეს.

თსუ-ში გამართულ ექსპერტულ სემინარს გისენის უნივერსიტეტის პროფესორი ლორენც კინგი ხელმძღვანელობდა. მისი განცხადებით, პროექტის ერთ-ერთი მიზანი სამხრეთ კავკასიაში გარემოს დაცვასთან დაკავშირებით ერთობლივი პროექტის შემუშავება, ასევე, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კომუნიკაციის გაღრმავება და გერმანელ ექსპერტებთან, შესაბამისად, განვითარებადი ქვეყნების დამხმარე გერმანულ ორგანიზაციებთან მონაწილეების დაახლოება გახლდათ.

სემინარის „გარემოს დაცვა და რესურსების მართვა“ ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო პროფესორ ლორენც კინგის მეუღლემ, ქალბატონმა ელისო ნარიმანიძემ, რომელიც გისენის უნივერსიტეტის გარემოს კვლევის განყოფილებას ხელმძღვანელობს.

საზაფხულო სკოლის პროგრამის პრეზენტაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლებიც დაესწრნენ. ვლადიმერ გეგელაშვილმა და ნუგზარ ჩიტაიამ სამინისტროების სახელით პროექტს მხარდაჭერა აღუთქვეს და აღნიშნეს, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნისა და გერმანიის სპეციალისტების ერთობლივი ზრუნვა სამხრეთ კავკასიის გარემოს დაცვაზე ვითარებას აუცილებლად გააუმჯობესებს.

საზაფხულო სკოლა „გარემოს დაცვა და რესურს-მენეჯმენტი“ „DAAD“-ის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

იუსტუს-ლიბიგის სახელობის გისენის უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო განვითარებისა და გარემოს კვლევის ცენტრი 2001 წლიდან წარმატებით ახორციელებს კვლევით პროექტებს სამხრეთ კავკასიაში. 2005 წლიდან კი გისენის უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობის ფარგლებში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლითი პროგრამები რეგულარულად ხორციელდება.

რუმინეთის დელეგაცია უნივერსიტეტს ესტუმრა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა რამდენიმე ხნის წინ უნივერსიტეტის მეორე კორპუსში რუმინეთის აუდიტორია გახსნა. 2 ოქტომბერს სწორედ ამ აუდიტორიამ უმასპინძლა საქართველოში რუმინეთის ელჩს დან მიჰაი ბარლიბას და რუმინეთის სტრატეგიულ საქმეთა მინისტრის მოადგილეს ბოგდან აურეცკუს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ რუმინეთის აუდიტორიის წარმატებული სტარტი უწოდა მაღალი რანგის დიპლომატების ვიზიტს და განაცხადა, რომ საქართველოსა და რუმინეთს მჭიდრო კულტურული კავშირები აქვს, რაშიც თავისი წვლილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც შეაქვს. „ბატონი ბოგდან აურეცკუ საერთაშორისო სამართლის მიმართულების სპეციალისტია და როგორც პროფესორი, ბუქარესტის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს. იგი, ასევე, გახლავთ რუმინეთის წარმომადგენელი ჰაგის საერთაშორისო ტრიბუნალში და მის სახელთან ბევრი საქმის მოგებაა დაკავშირებული. ბატონ ბოგდან აურეცკუს საქართველოში საინტერესო ვიზიტები და შეხვედრები ჰქონდა და მინდა მადლობა ვუთხრა მას უნივერსიტეტისადმი გამორჩეულად სოლიდარული დამოკიდებულებისთვის“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

რუმინეთის სტრატეგიულ საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბოგდან აურეცკუმ უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „ნატოს ახალი სტრატეგიული გაგება — რუმინული პერსპექტივა“.

უნივერსიტეტის სტუდენტებმა საინტერესო დისკუსია გამართეს ნატოში საქართველოს გაწევრიანების შესახებ. რუმინელმა სტუმარმა ამომწურავად უპასუხა მათ კითხვებს.

დასასრულ, ბატონ ბოგდან აურეცკუს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადასცა უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

ნატო მსოფლიოში უსაფრთხოების გასაძლიერებლად ახალ კონცეფციაზე მუშაობს

„ნატოს დღეები საქართველოში“ 5 ოქტომბერს დაიწყო და 10 ოქტომბრამდე გაგრძელდა. კვირეულის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიება გაიმართა, მათ შორის, კონფერენციები, შეხვედრები სტუდენტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. ნატოს სპეციალური დელეგაცია ქუთაისს, ბათუმსა და გურჯაანსაც ეწვია, სადაც ალიანსის წევრების მონაწილეობით საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა.

შურთხია ბეროშვილი

პოლიტიკოსები, ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლები და ექსპერტები ევროატლანტიკური ალიანსის წევრთა ვიზიტს, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მით უფრო, რომ დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში რობერტ სიმონსი, ნატოში ცენტრალური აზიისა და საფრანგეთის საინფორმაციო ოფიცერი ბენედიქტ ბორელი, ლატვიის საელჩოსა და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები და სხვები. საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრთან შეხვედრების დროს სტუმრებმა, ძირითადად, ყურადღება საარჩევნო სისტემის დახვეწაზე, საქართველოში დემოკრატიის განვითარებასა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივებზე გაამახვილეს.

8 ოქტომბერს, ნატოს კვირეულის ფარგლებში, საქართველოში ნატოს საინფორმაციო ცენტრისა და თსუ-ის ხელმძღვანელობის ინიციატივით ნატოს წარმომადგენლები სტუდენტებს შეხვდნენ და მათ შეკითხვებს უპასუხეს.

საპატიო სტუმრებს თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა მიესალმა და მათთან საუბრისას კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართული საზოგადოებისა და ახალგაზრდების სურვილი საქართველოს ნატოში გაწევრიანების თაობაზე. „უნივერსიტეტში ღიად ვსაუბრობთ, რომ საქართველო სწორედ ნატოსთან ინტეგრაციის სწრაფვის გამო დაისაჯა, მაგრამ ამ ბრძოლაში მარტო არა ვართ. ვერავინ შეარყევს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისთვის ბრძოლის იდეას. ჩვენი მისიაა, ახალგაზრდობას თავისუფალ სამყაროში ცხოვრების შანსი მივცეთ — მათი სურვილია უსაფრთხო გარემოში შრომა და სწავლა, რათა ვაშენოთ დემოკრატიული, დასავლური ტიპის სახელმწიფო. ჩვენ გვინდა, გავხდეთ თავისუფალი სამყაროს წევრი ქვეყანა — ამის ერთადერთი გარანტი კი ნატოა, სწორედ ამდენად არის მნიშვნელოვანი სტუდენტებისთვის გულახდილი საუბარი ალიანსის წარმომადგენლებთან“.

ალიანსის თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის სამმართველოს წარმომადგენელმა, ექსპერტმა დევიდ ჯონსონმა სტუდენტებთან შეხვედრისას ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე ისაუბრა და დამსწრე საზოგადოებას ნატოს ახალი სტრატეგიული განვითარების კონცეფცია გააცნო.

„ნატოს ახალი კონცეფცია ალიანსის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განაცხადია მის პოლიტიკურ ამოცანებთან მიმართებაში, რომელიც ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენს და წარმოაჩენს იმ გზასა და ხერხებს, რომლის საშუალებითაც ნატო თავისი ამოცანების შესრულებას შეძლებს.ნატოს სტრატეგიული განვითარების გეგმა, გარკვეულწილად, ანალიტიკური დოკუმენტია, რომელიც, შეიძლება ითქვას, გასაღებიც კია მთლიანად სისტემისთვის, ხოლო თავისი მნიშვნელობით მას, შეიძლება, მეორე ადგილი მივაკუთვნოთ ვაშინგტონის ხელშეკრულების შემდეგ. ახალი კონცეფცია, რომელიც ამჟამად მუშავდება, ახლო მომავლისათვის სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება.“

დევიდ ჯონსონის ინფორმაციით, დოკუმენტის შემუშავებას დიდი დრო სჭირდება. როგორც წესი, მასში ცვლილებები იშვიათად შეაქვთ. როგორც მან აღნიშნა, 1949-1991 წლებში ალიანსმა 404 ასეთი დოკუმენტი შეიმუშავა, სადაც ყურადღება გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც იყო ცივი ომი, უსაფრთხოების საკითხები და სხვა. მისივე ინფორმაციით, ცივი ომის დასრულების შემდეგ შემუშავებული სტრატეგიული კონცეფცია მოჰყვა ბერლინის კედლის დაცემას და, შესაბამისად, იმ მნიშვნელოვან ცვლილებებს აირეკლავდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინდელ მსოფლიოში. ახალ დოკუმენტში კი უფრო ფართო, ყოვლისმომცველი, მასშტაბური საკითხები იქნება განხილული. „ძველ დოკუმენტში აქცენტი გაკეთდა სამხედრო თავდაცვის მანევრირების გაძლიერებაზე, ახალ დოკუმენტში კი ყურადღება გადატანილია დიალოგსა და კონფლიქტების თავიდან აცილებაზე. დადგა დრო იმისა, რომ ნატომ გადახედოს ახალ გამოწვევებს. მსოფლიოში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენები, მათ შორის, 11 სექტემბერი, რომელმაც გვიბიძგა გადაგვეხედა ძველი კონცეფციისთვის. აღნიშნული დროის მანძილზე ალიანსი 16-დან 28-წევრამდე გაიზარდა, ასევე, გაფართოვდა ნატოს ჩართულობა სხვადასხვა სამშვიდობო ოპერაციებში ევროპის საზღვრებს გარეთაც, რასაც ხიფათისა და რისკის გაზრდაც მოჰყვა — მათ შორის, შეგვიძლია დავასახელოთ ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და ა.შ.“. — დევიდ ჯონსონის თქმით, სწორედ ამ და სხვა მოვლენებმა განაპირობა ნატოს ახალი კონცეფციის შემუშავების აუცილებლობა. მისი ინფორმაციით, 2009 წლის აპრილში სტრასბურგში ნატოს წევრი ქვეყნების ხელმძღვანელები შეიკრიბნენ და თხოვნით მიმართეს ნატოს გენერალურ მდივანს ახალი სტრატეგიული კონცეფციის შემუშავების თაობაზე. მისივე ინფორმაციით, აღნიშნული პროცესი დასრულდება ლისაბონში, უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელიც 2010 წელს გაიმართება. დევიდ ჯონსონმა აღნიშნა, რომ იგი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონცეფციის განხილვის პროცესს და მასზე მუშაობას.

ამ დოკუმენტით ნატომ უნდა შეძლოს და დაასაბუთოს მისი როლი, როგორც უსაფრთხოების ერთ-ერთმა გარანტმა ამ საუკუნეში.

უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრისას დევიდ ჯონსონმა აღნიშნა, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია შესაძლებელი და რეალურია იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები განვითარდება და ჩატარდება დემოკრატიული არჩევნები.

სტუდენტების სახელით ალიანსის წევრებს უნივერსიტეტში სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეონა ლავრელაშვილმა და დევიდ ჯონსონს მიმართა კითხვით: — ახალი კონცეფციის შემუშავება გასული წლის რუსეთ-საქართველოს ომმაც ხომ არ განაპირობა? და კიდევ: როგორი იქნება ამ კონცეფციის მიერ წამოჭრილ პრობლემათა გადაჭრის ეფექტურობა?

დევიდ ჯონსონის განმარტებით, დოკუმენტის გადახედვის ერთ-ერთი მიზეზი და ბიძგი აგვისტოს ომიც იყო, თუმცა, მისი განმარტებით, დოკუმენტი არის ერთგვარი კრებული იმ ამოცანებისა და საკითხებისა, რომელიც მსოფლიოში მიმდინარეობს. „ჩვენი ამოცანაა, გავიაზროთ, თუ როგორ დავუპირისპირდეთ ასეთ საფრთხეებს და, ამასთან ერთად, მოვძებნოთ გზები მისი თავიდან ასაცილებლად. ახალ კონცეფციაში შემუშავებულ დებულებებში ყურადღება ცალკეულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის ხერხებზეც გამახვილდება, მათ შორის, რუსეთ-საქართველოს ომზეც“, — განაცხადა ალიანსის წარმომადგენელმა.

სტუდენტები დაინტერესდნენ, რეალურად თუ რა შანსი აქვს საქართველოს ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით და რას ურჩევენ ნატოს წევრები მას მიზნის მისაღწევად?

დევიდ ჯონსონმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ყველა შესაბამისი უწყება ეფექტურად მუშაობს ამ მიმართულებით, რასაც მოწმობს ბუქარესტის უმაღლესი დონის გადაწყვეტილებები, რომელიც ძალაში რჩება.მისი აზრით, საქართველომ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს ქვეყანაში დემოკრატიული მართვის ფორმების დასახვეწად, უნდა შეინარჩუნოს სტაბილურობა თავის საზღვრებზე და გააუმჯობესოს ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან. „ის პროექტი, რომელშიც ჩართული ვარ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, მიზნად ისახავს დაეხმაროს საქართველოს სამოქალაქო კონტროლის მექანიზმების დასანერგად და უშიშროების სამსახურების გასაძლიერებლად. ამ პროექტის განხორციელება იყო საქართველოს ინიციატივა და სწორედ ეს გზაა ერთ-ერთი წინაპირობა იმისა, რომ საქართველომ ამ მიმართულებით მიზანს მიაღწიოს“, — აღნიშნა დევიდ ჯონსონმა.

როგორც შეხვედრაზე ნატოს საინფორმაციო ცენტრის დირექტორის მოადგილემ გიორგი კეპულაძემ აღნიშნა, „ნატოს დღეები საქართველოში“ უკვე მეორე წელია ტარდება და ამ შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოს მოსახლეობისთვის, ასევე, ნატოს წარმომადგენლებისთვისაც. „წელს, ჩვენი ორგანიზებით, მრავალი საინტერესო ღონისძიება დაიგეგმა. ამ შეხვედრების მთავარი მიზანია — მოსახლეობა და სტუდენტობა უკეთ გაეცნოს ალიანსის საქმიანობას“.

კლაუს ჰიპმა სტუდენტებს ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში საკუთარი გამოცდილება გაუზიარა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 7 ოქტომბერს გერმანიაში საქართველოს საპატიო კონსულმა კლაუს ჰიპმა საჯარო ლექცია წაიკითხა. პროფესორი კლაუს ჰიპი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ეკონომიკის ეთიკის თემაზე ესაუბრა.

ნატო ოგოლაძე

პროფესორი კლაუს ჰიპი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პრაქტიკული ეკონომიკის სრულ კურსს წაიყვანს. კლაუს ჰიპი პროფესიით იურისტია, თუმცა 1967 წლიდან მამის — გეორგ ჰიპის მიერ დაარსებულ საწარმოს ხელმძღვანელობს, რომელიც შემდგომ ბავშვთა კვების წარმოების სფეროში მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი კომპანია გახდა.

7 ოქტომბერს თსუ-ის მაღლივ კორპუსში შეკრებილ სტუდენტებს კლაუს ჰიპი ბიზნესის წარმატებისთვის აუცილებელი პირობების შესახებ ესაუბრა. პროფესორმა ახალგაზრდებს ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და აუხსნა, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა სახის არაკანონიერი მაქინაციების გარეშე წარმატებით მართო ბიზნესი და აწარმოო ჯანსაღი პროდუქტი. კლაუს ჰიპის ნათქვამი — „მე გავყიდი მხოლოდ ისეთ პროდუქტს, რომელსაც ჩემი შვილებისთვისაც თავისუფლად გამოვიყენებ“, — მისი კომპანიის მუშაობის მთავარ დევიზად იქცა.

„შევიმუშავეთ ეთიკის ქარტია, სადაც შესულია ის სამართლებრივი პუნქტები, რომლებსაც კომპანიის თანამშრომლები მუშაობის პროცესში ითვალისწინებენ. ჩვენ გვსურს, მომხმარებელს მივაწოდოთ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია და ამისათვის ყველაფერს ვაკეთებთ. ასევე, ვმუშაობთ საზოგადოების ინფორმირებისთვისაც, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია — მომხმარებელს წარმოებული პროდუქციის შესახებ სწორი ინფორმაცია მიეწოდოს.

ბიზნესში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა გუნდური მუშაობა და თანამშრომლების სწორად შერჩევის პრინციპია. მათ უნდა ჰქონდეთ პასუხისმგებლობა ადამიანების წინაშე და იყვნენ სამართლიანები, რისთვისაც ჩვენ ყოველ წელს ვამოწმებთ ჩვენს თანამშრომლებს, ანუ თითოეულს ვესაუბრებით და პირიქით – ვისმენთ მათ აზრს ჩვენს შესახებ, რაც, რა თქმა უნდა, ანონიმურად კეთდება.

ჩვენს კომპანიაში ზოგიერთ თანამშრომელს შედარებით მაღალი ანაზღაურება აქვს, მათთვის ხელფასის მომატება შრომასა და კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. ასე რომ, აქაც სამართლიანობის პრინციპით ვხელმძღვანელობთ.

არასოდეს ვიღებთ ქრთამს. ასეთი მუშაობა ბიზნესის წარმატებაზე დამღუპველად მოქმედებს, თუმცა ჩვენ ამ სახის პრობლემას ყოველთვის ვაწყდებით პროდუქციის იმპორტირებისას. საზღვარზე ხშირად ითხოვენ დამატებით გადასახადს, თუმცა საქართველოს შემთხვევაში მე ამის თქმა არ შემიძლია. არსებობს ჩამონათვალი, სადაც მექრთამეობის თვალსაზრისით ქვეყნების რეიტინგია მოცემული.

მე-7 გვერდზე

კლაუს ჰიპმა სტუდენტებს ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში საკუთარი გამოცდილება გაუზიარა

მე-6 გვერდიდან

საქართველო ამ სიაში მესამე ადგილზეა, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია.

ჩვენი კომპანიისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ბუნების დაცვაა. ნარჩენების 97%-ს თავიდან ვამუშავებთ, 95%-ით შევამცირეთ გამონაბოლქვის რაოდენობა. ენერგიის წყაროდ შეშას ვიყენებთ, რაც ბევრად უვნებელი და იაფია, ვიდრე გაზი. საქართველოში ენერგიის ამ რესურსის გამოსაყენებლად ძალიან კარგი ვითარებაა, რადგან კარგი ბუნებრივი პირობები გაქვთ", — განაცხადა სტუდენტებთან საუბრისას პროფესორმა კლაუს ჰიპმა.

ეკოპოლიტიკის მიმართულებით ასეთი მუშაობისთვის კლაუს ჰიპს 2001 წელს ევროპისა და მსოფლიოს გარემოს დაცვის სფეროში საპატიო ჯილდო გადაეცა, ხოლო 2007 წლიდან პროფესორი გერმანიის გარემოს დაცვის მინისტრის ზიგმარ გაბრიელის მიერ დაფუძნებული ეკოლოგიური ალიანსის წევრია.

კლაუს ჰიპი 1998-2004 წლებში გახლდათ მიუნხენის და ზემო ბავარიის ინდუსტრიული და სავაჭრო პალატის პრეზიდენტი. 2001 წლიდან იგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინდუსტრიისა და სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტია. ეკონომიკური ეთიკის განხილვისას იგი მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისსაც შეეხო. მისი თქმით, კრიზისის გამოწვევის ერთ-ერთი მიზეზი ადამიანების პირადი ეგოიზმია, რადგან მათი ინტერესები საერთო პრობლემებზე ბევრად მაღლა დგას.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, კლაუს ჰიპი გერმანიაში საქართველოს საპატიო კონსულის თანამდებობაზე 2008 წელს დაინიშნა. ამავე წლის ოქტომბრიდან კი იგი საქართველოში გერმანული ეკონომიკური გაერთიანების ხელმძღვანელია და გარკვეული ინვესტიციების დაბანდებას გეგმავს. აღსანიშნავია, რომკლაუს ჰიპი ბიზნესმენისა და იურისტის გარდა მხატვარიცაა და 2001 წლიდან თბილისის სამხატვრო

აკადემიის პროფესორია.

თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება კლაუს ჰიპის სიტყვებზე, როდესაც იგი სპეციალისტების კვალიფიკაციის შესახებ საუბრობდა.

„მნიშვნელოვანია, რომ ბატონი კლაუს ჰიპი ჩვენი სტუდენტებით დაინტერესდა. მას მიაჩნია, რომ საქართველოში მთავარი პრობლემა მაღალკვალიფიციური მუშა-ხელის ნაკლებობაა. ამ მხრივ ჩვენ მართლაც კარგი პარტნიორები ვართ ბატონი ჰიპისთვის. უნივერსიტეტიც მეწარმეა, ოღონდ მეცნიერების მეწარმე — ჩვენ ვზრდით კარგ სპეციალისტებს. ვიზიარებთ და ვიცავთ იმ წესებს, რომლებიც ბიზნეს-ურთიერთობებშია და შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს", — აღნიშნა რექტორმა.

ლექციის დასასრულს თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ კლაუს ჰიპს სამახსოვრო საჩუქარი — ქართული ტიხრული მინანქრით შესრულებული „თბილისის ხედი" გადასცა.

შეძლებს კი სახელმწიფო ზოგიერთი დეკლარირებული პრინციპის შესრულებას?

ინტერვიუ თსუ-ის პროფესორთან, დოქტორ დავით ნარმანიასთან

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ პარლამენტის სხდომაზე წარმოდგენილი „ეკონომიკური თავისუფლების აქტი" საზოგადოებამ და ეკონომიკურმა ექსპერტებმა არაერთგვაროვნად შეაფასეს. პრეზიდენტის წინადადებათა პაკეტში წარმოდგენილ ინიციატივებს განსაკუთრებით კრიტიკულად ზოგიერთი ეკონომიკური ექსპერტი აფასებს. ნაწილი ექსპერტებისა ეკონომიკის ლიბერალიზაციას მიესალმება, ნაწილს კი ამ ტიპის პაკეტის კონსტიტუციის დონეზე აყვანა უადგილოდ ეჩვენება, თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ცვლილებები სერიოზული პოლიტიკური განაცხადია, რაც ქვეყნის ეკომიკური პოლიტიკის ახალ ორიენტაციაზე მიანიშნებს. ამ თემაზე დისკუსია პრეზიდენტის ინიციატივის წარმოდგენისთანავე დაიწყო. ამ თემით დაინტერესებული საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ალბათ საინტერესოა, რა მოსაზრება აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, დოქტორ **დავით ნარმანიას**, *რომელსაც რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.*

თამარ მარუაშვილი

— ***ბატონო დავით, რა ინიციატივებს ითვალისწინებს „ეკონომიკური თავისუფლების აქტი"?***

— „ეკონომიკური თავისუფლების აქტი" რამდენიმე მთავარი ინიციატივის მომცველია, მათგან უმთავრესია შემდეგი: სახელმწიფო მარეგულირებელი ინსტიტუტების ოპტიმიზაცია ისე, რომ მათი რიცხვი მაქსიმალურად შემცირდეს; ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა მინიმალური იყოს ქვეყანაში; არ შეიქმნას დამატებითი სახელმწიფო მარეგულირებელი ინსტიტუტები; სახელმწიფოს არ შეეძლოს კომერციულ ბანკში წილის ფლობა და გადასახადების გაზრდა. საქართველოში გადასახადების გაზრდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ რეფერენდუმის გზით. ამ ყველაფრის რეალიზაციის შედეგად მივაღწევთ შემდეგს: 2012 წლისთვის ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 30%-ს; ასევე, ამავე წლისთვის ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა იყოს 3%-ზე მეტი; სახელმწიფო ვალის მოცულობა 2012 წლისთვის არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს.

— ***რა სიახლეს გვთავაზობს პრეზიდენტი ეკონომიკური პოლიტიკის ახალი სტრატეგიის განსაზღვრის კუთხით და აქვს თუ არა მას რაიმე კავშირი ეკონომიკის გაჯანსაღებასთან?***

— პრეზიდენტის გამოსვლაში, რა თქმა უნდა, იყო გარკვეულ სიახლეებზე საუბარი, რაც აქამდე არც ერთი საჯარო მოხელის მხრიდან არ გაჟღერებულა. მათგან უმთავრესია საგადასახადო რეფერენდუმის მეთოდის შემოღების იდეა და სახელმწიფოს მხრიდან კომერციულ ბანკებში წილის ფლობის შეზღუდვა. პრეზიდენტის მხრიდან გამოთქმული რიგი ინიციატივების სათანადოდ რეალიზაცია ეკონომიკის ზრდის მასტიმულირებელი იქნება, თუმცა, ჯერჯერობით, ქვეყანაში ამის ნიშნები არ ჩანს და იგი, უბრალოდ, რიგით ინიციატივებად შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითად, ეკონომიკის გაჯანსაღებას მარეგულირებელი ინსტიტუტების ოპტიმიზაცია და რეგულირების კუთხით გატარებული გონივრული პოლიტიკა გამოიწვევს. მაგრამ, სახელმწიფოს მხრიდან კომერციულ ბანკებში წილის ფლობის შეზღუდვა ამდაგვარ გაჯანსაღებას არ ემსახურება და საერთოდ გაუგებარია ამ იდეის არსიც, ვინაიდან სადღეისოდაც სახელმწიფოს ასეთი უფლება არა აქვს და, შესაბამისად, არც ერთ კომერციულ ბანკში წილს არ ფლობს.

— ***როგორ აფასებთ პრეზიდენტის „ეკონომიკური თავისუფლების აქტის" მიხედვით წამოყენებულ ინიციატივებს?***

— ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან გამომდინარე, ზოგიერთი ინიციატივა ნამდვილად მისაღები და მისასალმებელია, ხოლო ზოგიერთი მათგანი – ვფიქრობ, დროთა განმავლობაში განუხორციელებელი დარჩება. მითუმეტეს, რომ ასეთი მაგალითები საქართველოში არაერთი მოგვეპოვება. მაგალითად, 2 წლის წინ არსებული იდეა საქართველოს მსოფლიო საფინანსო ცენტრად გადაქცევის შესახებ და დამტკიცებული კანონი „საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ" მალევე ისტორიას ჩაბარდა: ჯერჯერობით ვერც ასეთი ცენტრი ვერ მივიღეთ და კანონიც მიმდინარე წლის ბოლოს უქმდება.

— ***ეკონომიკური თავისუფლების აქტთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს: ხელისუფლებამ ეს ეკონომიკური პაკეტი რევოლუციურ გამოწვევად შეაფასა, ხოლო საპარლამენტო ოპოზიციამ კრიტიკულად და მას არარეალური უწოდა.***

ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ მოსაზრება — ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან 3%-ზე მეტი რომ არ უნდა იყოს, რომ ანტიმონოპოლისტური სამსახური შეიძლება აღარ არსებობდეს, არამართებულია... ყველაფერი ეს რა გავლენას მოახდენს ეკონომიკის განვითარებაზე?

— ეკონომიკური თავისუფლების აქტთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და ეს ბუნებრივი პროცესია, რადგანაც, ჯერ ერთი, ეკონომიკა ასეთი მეცნიერებაა, მეორეც – ლიბერალიზმი და რეგულირებადი ეკონომიკა თავისებური პლუს-მინუსებით ხასიათდება და მესამეც, აქტი, როგორც დოკუმენტი, ჯერ საბოლოო სახით სააშკაროზე არ გამოჩენილა და მისი მხოლოდ პირობითი (ზოგადი) მიმართულებებია ცნობილი. ამ პრინციპებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ზოგიერთი დეკლარირებული პრინციპის შესრულება სახელმწიფომ შეიძლება ვერ შეძლოს. მაგალითად, ძნელი იქნება ბიუჯეტის დეფიციტის შენარჩუნება მშპ-ს 3%-ის ფარგლებში. ასევე, საგადასახადო რეფერენდუმის ინსტიტუტის დამტკიცების შემთხვევაში, სახელმწიფო ვერასდროს გაზრდის გადასახადს, არადა ქვეყნის ეკონომიკაში ამის საჭიროება პერიოდულად დგება.

— ***მიგაჩნიათ თუ არა სწორ გადაწყვეტილებად ამ საკანონმდებლო ინიციატივების პაკეტის კონსტიტუციის დონემდე აყვანა?***

— გადაწყვეტილებების კონსტიტუციის დონემდე აყვანა ცუდი ნამდვილად არ არის, ვინაიდან ეს რეფორმის მეტ სერიოზულობაზე მიუთითებს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში კონსტიტუციაც ხშირად ირღვევა და სხვა საკანონმდებლო აქტებიც, რეფორმის სრულყოფილად რეალიზაციას კონსტიტუციურ ცვლილებებთან ერთად პოლიტიკური ნებაც სჭირდება.

— ***პრეზიდენტის თქმით, გადასახადების გაზრდა რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს. მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა ამ კუთხით რეფერენდუმის ჩატარება?***

— როცა საგადასახადო ცვლილებებთან დაკავშირებით რეფერენდუმის მექანიზმის გამოყენება ხდება და საზოგადოებას ეკითხებიან, უნდათ თუ არა მათ გადასახადების გაზრდა, პასუხი ყოველთვის უარყოფითი იქნება. საზოგადოება თავისი ნებით არასდროს შეუწყობს ხელს გადასახადების გაზრდას, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან ეკონომიკაში დგება პერიოდი, როცა რომელიმე გადასახადის ერთი-ორი პროცენტით, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაზრდაა საჭირო ან კიდევ ერთი გადასახადის გაზრდის შედეგად სხვა გადასახადის განაკვეთის შემცირებაა აუცილებელი. ასეთი შემზღუდავი მექანიზმით კი ხელისუფლება მას ვერასდროს გაზრდის. დემოკრატიის თვალსაზრისით პრეცედენტი იმისა, რომ ხელისუფლება ეკითხება ხალხს, მისასალმებელია და

ეს გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების ჩართულობის და თანამონაწილეობის გაზრდას უწყობს ხელს.

— ***როგორ ფიქრობთ, „ეკონომიკური თავისუფლების აქტი" ქვეყნის ეკონომიკის მთავარ პრობლემას გადაწყვეტს? მაგალითად, როგორიცაა მაღალი პოლიტიკური რისკები, დაუცველი ბიზნესი, არაჯანსაღი კონკურენცია და სხვა...***

— მხოლოდ ასეთი აქტის მიღება ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ პრობლემებს ვერ გადაჭრის, ვინაიდან აქტის აღსრულებას შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები სჭირდება. ასევე, აუცილებელია მკაფიო და თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის ლიბერალიზაცია ყველაფრის თვითდინებაზე მიშვებას და სახელმწიფოს ყველანაირ ჩაურევლობას არ ნიშნავს. ლიბერალური ეკონომიკის პირობებშიც კი აუცილებელია გარკვეული სახელმწიფო მარეგულირებელი ინსტიტუტების და მექანიზმების არსებობა. სხვა შემთხვევაში აბსოლუტურად ლიბერალურ ეკონომიკას ეკონომიკურ ქაოსამდე მივყავართ, სადაც სახელმწიფოც აგებს და მომხმარებელიც. ამდენად, როცა ქვეყანა ამ ალტერნატივის წინაშე დგას, საქართველომ ძალიან გონივრული და ფრთხილი ნაბიჯები უნდა გადადგას. აუცილებლად უნდა მოხდეს ეკონომიკის და ბიზნესის მარეგულირებელი წესების შემდგომი ლიბერალიზაცია, თუმცა, გადასახადებთან დაკავშირებით ლიბერალიზაცია ჯერჯერობით საჭირო არ არის.

წიგნის დღე პარლამენტში

თამარ მარუაშვილი

რამდენადაც წიგნიერია თაობა, იმდენად უფრო პროგრესული და ძლიერია ქვეყანა. განათლება გვანიჭებს თავისუფლებასა და საკუთარი თავის რწმენას.

ერის წიგნიერება და განათლება ყოველთვის იყო ქართველი ხალხის სულიერი განვითარების უპირველესი საგანი, რომელიც დიდი რუდუნებით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ქართული მწერლობის, მისი ისტორიის უმრავლესი საკითხი ჯერჯერობით თვით სპეციალურ ლიტერატურაშიც არ არის ამომწურავად შესწავლილი და გაშუქებული.

თსუ-ის ბიბლიოთეკა მდიდარია გასული საუკუნეების საერო თუ რელიგიური, სამეცნიერო ლიტერატურის უნიკალური და რარიტეტული გამოცემებით, რომლის კულტურული თუ სამეცნიერო ღირებულება განუზომელი და შეუფასებელია.

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის გამოცემის 380 წლისთავისა და პირველი ქართული სტამბის დაარსების 300 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, 6 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტში უძველესი ნაბეჭდი წიგნების გამოფენა გაიმართა, რომელიც საქართველოს პარლამენტის უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით მოეწყო.

1629 წელს რომში პირველად დაიბეჭდა ქართული წიგნები: „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. XVIII საუკუნეში თბილისში მოაწყვეს ქართული სტამბა და 1709 წელს დაბეჭდეს „სახარება“, „დავითნი“ და „სამოციქულო“. ასევე ვახტანგ VI თაოსნობით დაარსებულ ქართულ სტამბაში დაიბეჭდა პირველად „ვეფხისტყაოსანი“ და სასულიერო მწერლობის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ წარმოდგინა სხვადასხვა უნიკალური წიგნები, მათ შორის პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები, რომელიც XVII—XVIII საუკუნეებში დაიბეჭდა: „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ (1629 წ. რომი.), „სახარება“ (1709წ.), მაჯიო ფრანცისკო მარიას „ქართული ენის გრამატიკა“ (1670 წ), „საქრისტიანო მოძღვრება“ (1741 წ. რომი) და სხვ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ გამოფენაზე წარმოადგინა საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდი, რომელიც 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა დააარსა. ფონდში ამჟამად 17 000 წიგნია დაცული, რომლებიც სისტემაში მოყვანის შემდეგ ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

გარდა ამისა, გამოფენაზე უნივერსიტეტის გამომცემლობამ საზოგადოებას ბოლო ერთი წლის გამოცემებიც გააცნო, რომელიც სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურას მოიცავს.

საქართველოს მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ ერის სულიერი კულტურისა და საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლება წარმოადგენს. როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ აღნიშნა: „წიგნს ყველა ერის ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სიმბოლურია, რომ ამ გამოფენას შოთა რუსთაველის სახელობის დარბაზმა უმასპინძლა, შოთა რუსთაველი ხომ ქართული საზოგადოების სულიერი სიმდიდრე და იდენტურობის ნაწილია... მაგრამ გარდა სულიერი მემკვიდრეობისა, ერს მატერიალური მემკვიდრეობაც სჭირდება, სადაც ეს სულიერება იქნება აღწერილი და გადაცემული თაობიდან თაობაზე. ის, რომ ქართველებს XVIII საუკუნიდან უკვე გვქონდა ნაბეჭდი ლიტერატურა, ქართული სულიერი კულტურის მაღალ დონესა და მისიაზე მეტყველებს. ქართულ სახელმწიფოს თავისი კულტურული მემკვიდრეობით ოდითგანვე ღირსეული ადგილი ეჭირა განვითარებული ევროპული სახელმწიფოების გვერდით“.

ქართული მეცნიერების სათანადო პოპულარიზაციასა და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების ინფორმირების საკითხების შესახებ ისაუბრა საქართველოს პარლამენტის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა, რომელმაც ხაზი გაუსვა საქართველოს მთავრობის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ქართული წიგნის მიმართ.

საკანონმდებლო ორგანოში გამართულ გამოფენას უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, თსუ-ის გამომცემლობის რედაქტორი თათია ებრალიძე, პროფესორ-მასწავლებლები, პარლამენტის წევრები და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ, რომლებიც დიდი ინტერესით გაეცნენ თსუ-ის საგანძურსა და თანამედროვე გამოცემებს.

ახალი მონოგრაფია — „ევროპული რუკები და საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ (XVI-XVIII საუკუნეები)“

გიორგი ლობჟანიძის წიგნის პრეზენტაცია

ისტორიულ თემებზე შექმნილი წიგნები თუ მონოგრაფიები დიდ ინტერესს იწვევს ფართო მკითხველში, მითუმეტეს, თუ იგი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხებს ეძღვნება და, უტყუარ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის იდეას. ამ საკითხთან დაკავშირებით მოპოვებული ახალი ისტორიული ცნობები, რომლებიც დაკარგული ტერიტორიების შესახებ წინა საუკუნეების ისტორიული ვითარების ამსახველ დოკუმენტებს წარმოადგენენ, ძალიან საყურადღებოა საზოგადოებისთვის. იგი, ასევე, განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივაც, თუ ის დასავლეთევროპული წყაროების საფუძველზე დაყრდნობით ყურადსაღებ ცნობებს შეიცავს XVI—XVIII საუკუნეების საქართველოს, ასევე, კავკასიის დანარჩენი ქვეყნების შესახებ.

თამარ მარუაშვილი

საგულისხმოა, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხი არა მარტო ისტორიკოსებსა და მეცნიერებს, არამედ თითოეულ ქართველს ერთნაირად ტკივა და აწუხებს. ახალი მონოგრაფია „ევროპული რუკები და საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ (XVI-XVIII საუკუნეები)“ — გიორგი ლობჟანიძის პირველი ნაშრომია. ავტორი პროფესიით ექიმია, მაგრამ მისთვის ისევე აქტუალური და მტკივნეულია დაკარგული ტერიტორიების საკითხი, როგორც ამ თემით დაინტერესებული მკვლევარებისთვის. მონოგრაფიას დიდი აღიარება და შეფასება მისცა ქართულმა საზოგადოებამ. ამ წყაროების გაცნობა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმის თაობაზე, თუ რა ინფორმაციას ფლობდა აღნიშნული ეპოქის ევროპული საზოგადოება და მმართველი ელიტა საქართველოსა და ქართველების შესახებ.

საინტერესო მონოგრაფიის „ევროპული რუკები და საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ (XVI-XVIII საუკუნეები)“ პრეზენტაცია 2009 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზის ფოიეში გაიმართა. წიგნის სამეცნიერო რედაქტორია თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნიკო ჯავახიშვილი.

მონოგრაფია ქართულ-კავკასიური ურთიერთობის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა (ხელმძღვანელი — ნიკო ჯავახიშვილი) და საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს (თავმჯდომარე — ელდარ შენგელაია) ეგიდით გამოიცა.

პრეზენტაცია მოაწყო პარლამენტთან არსებულმა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭომ, რომლის მუდმივმოქმედი კომისიის ერთ-ერთი წევრია პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატებთან და მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, პრეზენტაციას დაესწრნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

ბატონმა ელდარ შენგელაიამ და საქართველოს სახელმწიფო გერბის ესკიზის ავტორმა, მხატვარმა მამუკა გონგაძემ დამსწრე საზოგადოებას ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ერთი წლის მუშაობის შედეგები გააცნეს. ამ ხნის განმავლობაში, ზემოხსენებული წიგნის გარდა, ჰერალდიკის საბჭომ გამოსცა აგრეთვე ნაშრომი „თანამედროვე საქართველოს ჰერალდიკა“ და წიგნი „საქართველოს სახელმწიფო გერბის კონკურსის შესახებ“ (სამივე წიგნი გამოიცა 2009 წელს).


COMMANIE
GEORGIEN
GEORGIENS
Cabuchusta
Tarachala
Sliaca
Tarkara
Tiflis
Alcidar
Shila
Sarasm
Strangi
Abuafma
Balan
Akhalzika
Akhalkalaki
Erzerum
Erzerum
Erzerum

„ყოველი შემოქმედის უმთავრესი დანიშნულებაა, ადამიანი გახდეს უკეთესი, ვიდრე არის“

შეხვედრა გურამ დოჩანაშვილთან

16 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტების შეხვედრა მწერალ გურამ დოჩანაშვილთან. სტუდენტობა და პროფესურა მხურვალე აპლოდისმენტებით მიეგება ჩვენი დროის უდიდეს კლასიკოსს.

შურთხია გეროშვილი

გურამ დოჩანაშვილმა, რომელიც ხშირად თავის პერსონაჟებს ჰგავს და ხან „აფედერიკ მე“ არის, ხან კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს, ხან დომენიკო, ხანაც ვასიკო კეჟერაძე, დიდი ხანია „გაითვალისწინა ლიტერატურაში ფანტასტიკური ჟანრის გამოვლენათა რეალური ნაკლებობა და აღაფრთოვანა იმ გარემოებამ, რომ ნებისმიერი ნაშრომის დასურათხატებას მხოლოდ სამი უბრალო რამ სჭირდება: — ქაღალდი, მელანი და შინდისფერი კალამ-კალმისტარი“.

ნათქვამია: „მწერალი არ არსებობს, არის გადამწერი, მხატვარი არ არსებობს, არსებობს გადამხატავი — სულიწმინდა უბიძგებს ყველა ხელოვანს“.და აი, მშობლიურ უნივერსიტეტში მოსულ მწერალ გურამ დოჩანაშვილს ისეთი შეხვედრა მოუწყო ახალგაზრდობამ, რომ მწერალი მიხვდა, რომ შინდისფერი კალმით მართლაც რომ კარგად „გადაწერა“ „ვატერ(პო)ლოო,“ „სამოსელი პირველი“, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, „არის და იყო უცნაური ადამიანიც, წუთისოფელიც“ და კიდევ უამრავი მოთხრობა თუ რომანი.

გადაჭედილ დარბაზში ფეხზე მდგარი, მხურვალე აპლოდისმენტებით მიეგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა და პროფესურა ჩვენი დროის უდიდეს კლასიკოსს. დიდი მაესტრო ახალგაზრდობის იმ საუკეთესო ნაწილს შეხვდა და ესაუბრა, რომლებმაც კარგად იციან ჭეშმარიტი ხელოვნების ფასი.

გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გურამ დოჩანაშვილი 1939 წლის 26 მარტს თბილისში დაიბადა. სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული (1962), 1962-1975 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი იყო. მონაწილეობდა 30-მდე ქვის ხანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში.

მწერლის პირველი მოთხრობები ჟურნალ „ცისკარში“ 1961 წელს დაიბეჭდა, ხოლო პირველი წიგნი „მთის გადაღმა“ 1966 წელს გამოიცა.

მწერალთან შესახვედრად უნივერსიტეტში მოვიდნენ ისინი, ვინც მისი ნაწარმოების კითხვისას თითქოს სხვა განზომილებაში გრძნობენ თავს.

„ნებისმიერი შეხვედრა გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებასთან — ეს არის ჰუმანიზმთან, სიკეთესთან, სიყვარულთან, პატრიოტიზმთან შეხვედრა და ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ დღეს უნივერსიტეტში სრული ანშლაგია! ჩვენ გვეამაყება, რომ იგი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და მას გამორჩეულად ხვდებიან უნივერსიტეტში. მისი შემოქმედებით ნებისმიერი კულტურული ერი იამაყებდა. ბედნიერია ჩვენი ახალგაზრდობა, რომ შეუძლია თქვენთან შეხვედრა“, — ასე მიმართა სტუდენტების ემოციური შემოგებებით აღელვებულმა უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა გიორგი ხუბუამ მწერალს და მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტში მობრძანებისთვის.

ახალგაზრდებთან შეხვედრისას მწერალი შეეცადა — პასუხი გაეცა მათ კითხვებზე და გაეზიარებინა თავისი დამოკიდებულება და შეხედულება სხვადასხვა საკითხზე, საუბრის ძირითადი თემა კი ხელოვნება იყო.გურამ დოჩანაშვილმა სიამოვნებით გაიხსენა უნივერსიტეტში გატარებული წლებიც და აღნიშნა, რომ მართალია, დღეს სტუმრად მოვიდა, მაგრამ თავს მშობლიურ გარემოში გრძნობს.

„უნივერსიტეტს უკავშირდება ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები და მოგონებები. სწორედ იმ პერიოდში გამოქვეყნდა პირველად ჩემი მოთხრობები, ვუკრავდი უნივერსიტეტის ანსამბლში და ვსწავლობდი არქეოლოგიას. ჩემთვის საოცარი შეგრძნება იყო, როდესაც, არქეოლოგიური გათხრებისას, საუკუნეების განმავლობაში დაფარულ ნივთებს ხელით ვეხებოდი, განსაკუთრებით მაინტერესებდა ქვის ხანის პერიოდი, როდესაც „ფეხს იდგამს“ ადამიანის აზროვნება. თხუთმეტი წელი ვიმუშავე არქეოლოგიაში. ამ ხნის მანძილზე თითქმის მთელი საქართველო მოვიარე, უამრავი ადამიანი გავიცანი. სწორედ ქართველ გლეხობასთან შეხვედრისას მივხვდი, რომ მათმა ძალისხმევამ, „ქუდზე კაცმა“ გადაარჩინა საქართველო. შეგახსენებთ, რომ ასი ათასმა მოწამემ თავდადება გამოიჩინა და არ შებილწა წმინდა ხატები. სწორედ ასეთი „უბრალო“ ადამიანების დამსახურებაა, რომ დღესაც ქართულად ვლაპარაკობთ“, — განაცხადა ახალგაზრდებთან საუბრისას გურამ დოჩანაშვილმა.

მწერალმა სტუდენტებს ისიც გაუმხილა, რომ პირველად მოთხრობა ბავშვობაში, გაბრაზებულმა დაწერა, როდესაც ნაავადმყოფარი ქუჩაში არ გაუშვეს.მან ცხადად წარმოიდგინა, როგორ გაიქცა სახლიდან და როგორ დააბოტებდა გუბეებში.თავიდან ლექსებს წერდა, მაგრამ შემდეგ პროზაში სცადა ბედი და სათქმელი ქაღალდზე უკეთ გადაიტანა.

სტუდენტებმა ისიც გაიგეს, რომ მწერლის საყვარელი გმირი თავფარავნელი ჭაბუკია, განსაკუთრებით ეთაყვანება ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონისა და ფიროსმანის შემოქმედებას, რომლებიც ცხოვრების ბოლომდე „დიდ ბავშვებად“ დარჩნენ. „სახარებიდან ვიცით, როგორ უყვარდა ქრისტეს ბავშვები... როდესაც ბავშვს ჰკითხეს: — ღმერთი ვინ არისო, მან უპასუხა: — ის ისეთი დიდია, რომ ყველაფერს იტევსო. ბავშვობა უბედნიერესი ხანაა. ფიროსმანმა, ვაჟა-ფშაველამ და გალაკტიონმა უდიადეს ნიჭთან ერთად სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნეს ბავშვობა — მათში პირველი თოვლის მოსვლა ყოველთვის ისეთივე აღფრთოვანებასა და სიხარულს იწვევდა, როგორც მაშინ, როდესაც ბავშვობაში პირველად აღმოაჩინეს თოვლი. გისურვებთ, რომ თქვენც დიდხანს შეინარჩუნოთ ბავშვობა“.

მწერალმა სტუდენტებთან საუბარში გულისტკივილი გამოთქვა იმის გამოც, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა მშობლიურ ფესვებს წყდება და სათანადოდ ვერ აფასებს ეროვნულ ფასეულობებს. მისი აზრით, ისინი ხშირად გადამეტებულ მნიშვნელობას ანიჭებენ უცხოეთში წასვლას და მატერიალურ კეთილდღეობაზე ფიქრში კარგავენ მთავარს — სამშობლოს.

„ჩვენ ზედმეტად ვიყურებით უცხოეთისაკენ. ღმერთმა კარგად იცის, ვინ სად უნდა დაიბადოს... გოეთე რომ ჩინეთში დაბადებულიყო და ლაო ძი გერმანიაში, ისინი ხომ ვერაფერს შექმნიდნენ? უცხოეთი ჩვენთვის სამშობლოს ასპირანტურასავით გადაიქცა. მიმაჩნია, რომ ადამიანი თავის ფესვებზე უნდა იდგეს“.

მწერალმა სინანულით აღნიშნა, რომ წიგნი ნელ-ნელა შეცვალა კომპიუტერმა და ტელევიზიამ. „კარცერ-ლუქსის“ შექმნის იდეა ალბათ უტოპიაა, მაგრამ კარგი კი იქნებოდა. ამისთვის თავის დროზე კომუნისტებმა გამაკრიტიკეს, როგორ შეიძლება ძალადობაო. თუმცა ძალადობის და აგრესიის მთავარი საშუალება კომპიუტერი და ტელევიზიაა... ჩემი თაობა წიგნს კითხულობდა, წარმოსახვაში ვქმნიდით საყვარელ გმირებს“, — თქვა მწერალმა.

გურამ დოჩანაშვილმა შეხვედრაზე მრავალ კითხვას გასცა პასუხი და თავისი თანაკლასელები, თანაკურსელები და უახლოესი მეგობრები — მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ჯონდო მეტრეველი, ანატოლი მიქაძე, ვოვა სიხარულიძე, თემურ ცერცვაძე, გურამ სხირტლაძე გაიხსენა, რომლებთან ერთადაც სკოლის ასაკიდან ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში და ამისთვის მკაცრადაც დაისაჯა, თუმცა თანამოაზრეებისგან განსხვავებით, თავისუფლებისთვის ბრძოლა მან თავისი შემოქმედებით გააგრძელა.

„ჩემი აზრით, თავისუფლება ძალიან პირობითი ცნებაა... არსებობს ღვთის შიში, რომელსაც მოაქვს ჭეშმარიტი თავისუფლება! ღვთის მოშიში ადამიანის საქციელი ყოველთვის მართალია და, ამავე დროს, თავისუფალი. სამოცდაათწლიანმა კომუნისტურმა რეჟიმმა დაღი დაგვამჩნია. ისტორიისთვის ეს დრო

გუშინდელი დღეა, მაგრამ ჯერ კიდევ ვიმკით შედეგებს. მე ჩვენი უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მჯერა, რომელიც ხშირად ამბობს, რომ გადავრჩებით. ადრე მეგონა, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა — ეს ლეგენდა იყო, მაგრამ ცხადად ვგრძნობ, რომ მისმა მადლმა გადაგვარჩინა“, — უთხრა მწერალმა მასთან შეხვედრაზე მოსულ სტუდენტობას.

გურამ დოჩანაშვილმა საუბარში აღნიშნა, რომ საქართველოს ძალიან კარგი ახალგაზრდობა ჰყავს და მისთვის დიდი სტიმულია მათთან შეხვედრა და საუბარი. მწერალმა მომავალ შემოქმედებით გეგმებზეც ისაუბრა. მისი ინფორმაციით, მკითხველი მალე მიიღებს ახალ ავტობიოგრაფიულ რომანს, რომლის პირველი ნაწილი ჟურნალში „ლიტერატურული პალიტრა“ დაიბეჭდა.

„არც ერთი სიტყვა შემთხვევით არ წარმოთქმულა, ძალას კი სულიწმიდა გვაძლევს. არ გვეპატიება სიტყვით მრუშობა. გული მტკივა, როდესაც ცრუ პატრიოტებს ვუყურებ, რომლებიც „პატრიოტობით“ თანამდებობებს შოულობენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, ზოგჯერ მამულისთვის დამარცხება უფრო დიადია, ვიდრე გამარჯვება, რასაც შეიძლება ცუდი შედეგიც კი მოჰყვეს. დიდი იმედი მაქვს ჩვენი ახალგაზრდობისა... მიუხედავად იმ ომებისა და გაჭირვებისა, რაც გამოვიარეთ, საქართველო გადარჩება“. მწერალმა სტუდენტებს ურჩია მეტი შრომისმოყვარეობა გამოიჩინონ, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება რაიმე ღირებულისა და ფასეულის შექმნა.

„ჩემს დროს ძალიან ბევრი ისეთი საგანი ისწავლებოდა, რომელიც არ გვაინტერესებდა, ამიტომ ხანდახან ვამბობ, რომ უნივერსიტეტის ბაღი მაქვს დამთავრებული. თქვენ ყველა პირობა გაქვთ შექმნილი, რომ ისწავლოთ ის, რაც გაინტერესებთ და გამოადგეთ სამშობლოს“, — უნივერსიტეტში მოსულ საყვარელ მკითხველებს ასე მიმართა გურამ დოჩანაშვილმა, რომელსაც სჯერა, რომ „ყოველი შემოქმედის უმთავრესი დანიშნულებაა, ადამიანი გახდეს უკეთესი, ვიდრე არის“.

თსუ-ის პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი ახალ მონოგრაფიაზე მუშაობს

ქართველი მეცნიერების მაღალი დონე და კომპეტენცია არაერთხელ აღიარეს მსოფლიოს წამყვანმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა, რომლებიც ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი მეცნიერების მიღწევებსა და აღმოჩენებს.

თამარ მარუაშვილი

ქართველი მეცნიერი დღეს თამამად აღებს მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებისა თუ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების კარებს და თავისი პროფესიონალიზმითა თუ ინტელექტუალური შესაძლებლობებით საპატიო ადგილს იკავებს მსოფლიო დონის მეცნიერების გვერდით. ამ მოსაზრებას ამყარებს თსუ-ის პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ნიკო ჯავახიშვილის ვიზიტი ლატვიაში, სადაც 12 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე, ლატვიის სამეცნიერო წრეების მიწვევითა და ამ ქვეყანაში აკრედიტებული საქართველოს საელჩოს (ელჩი — თსუ-ის პროფესორი კონსტანტინე კორკელია) თანადგომით, სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა.

სამეცნიერო მივლინების პერიოდში ნიკო ჯავახიშვილი ლატვიის სამეცნიერო დაწესებულებებში (არქივებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში) აგროვებდა საისტორიო მასალას თავისი მონოგრაფიისთვის: „ნარკვევები ქართველი და ლატვიელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“ (თანაავტორი — „ლატვია-საქართველოს თანამშრომლობის ფონდის“ მმართველობის საბჭოს თავმჯდომარე, დოქტორი ანდრეის კრუსკოპსი). მონოგრაფიის პროექტს გაეცნო ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იან სტრადინი, რომელმაც აღნიშნულ პროექტს მაღალი შეფასება მისცა და წიგნის სამეცნიერო რედაქტორობის სურვილიც გამოთქვა. აქვე დავძენთ, რომ იან სტრადინს დიდხანს ეკავა ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობა. ამავე წიგნის რეცენზენტები იქნებიან უკრაინის ელჩი ლატვიის რესპუბლიკაში, პროფესორი რაულ ჩილაჩავა, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორი, დოქტორი ვენტა კოცერე და ლატვიის საპატიო კონსული საქართველოში, პროფესორი რეგინა იაკობიძე.

ლატვიის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების მიწვევით, ნიკო ჯავახიშვილმა წაიკითხა სამეცნიერო მოხსენებები თემაზე: „ქართველი და ლატვიელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“ — ლატვიის ოკუპაციის მუზეუმში (27 აგვისტო) და ლატვიის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მუზეუმში (4 სექტემბერი); ხოლო ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე (8 სექტემბერი) წაიკითხა მოხსენება თემაზე: „საქართველო: ისტორიული და გეოპოლიტიკური მიმოხილვა“, რომელსაც დაესწრნენ ლატვიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სახელმწიფო მოხელეები, მეცნიერები, სტუდენტები, ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები და სხვ.

თსუ-ის პროფესორის ნიკო ჯავახიშვილის სამეცნიერო მივლინება ნაყოფიერი და საინტერესო აღმოჩნდა როგორც მეცნიერისთვის, ისე მისი მასპინძლებისთვისაც, რადგან კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ქართველი და ლატვიელი ხალხის დიდი ხნის ურთიერთობასა და კეთილგანწყობას, რომელსაც საუკუნოვანი ისტორია აქვს...

გალერეა „ჰობი“-ში დღევანდელი სოხუმის ამსახველი გამოფენა მოეწყო

გალერეა „ჰობი“-ში გამოფენა — „სოხუმი , აგვისტო 2009 წ.“ მოეწყო. გამოფენაზე სოხუმში გადაღებული ფოტოები, ბოლო პერიოდში აფხაზეთში გამოცემული წიგნები, ჟურნალები, ტურისტული გზამკვლევები და სუვენირები წარმოადგინეს. ფოტოებისა და სხვა საგამოფენო ექსპონატების ქართველი საზოგადოებისთვის გაცნობის მიზანი აფხაზეთში 2009 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ არსებული მდგომარეობის, აფხაზი ხალხის ყოველდღიური ყოფის გაცნობა გახლდათ.

ნატო ოგოლაძე

გალერეა „ჰობი“-ში გამართული გამოფენა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. პროექტის ორგანიზატორები სოხუმში თავად იმყოფებოდნენ და ქართველი საზოგადოებისთვის მიუწვდომელი და საინტერესო ინფორმაცია მოიპოვეს.

„გამოფენაზე ქართველ დამთვალიერებელს ჩვენი თანამშრომლების მიერ გადაღებული ფოტო-მასალა წარმოვუდგინეთ. გამოფენას არავითარი პოლიტიკური შინაარსი არ აქვს და არც ხელოვნებაზე აქვს პრეტენზია, ჩვენ უბრალოდ გვინდოდა გვენახებინა ის სოხუმი, რომელიც ჩვენ ვნახეთ.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ქართულ და აფხაზურ საზოგადოებას შორის ინფორმაციის გაცვლის დეფიციტია, რაც, განსაკუთრებით, რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარების შემდეგ შეინიშნება. ინფორმაცია, რომელიც მათ მიეწოდებათ, ძალიან პოლიტიზირებულია და არ არის თავისუფალი. ჩვენ ამ პროექტის განხორციელება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის დახმარებით შევძელით, რომელსაც წელს 10 წელი უსრულდება. ორგანიზაციის საშუალებით აფხაზ ხალხთან ვთანამშრომლობთ და მათგან არაერთ საინტერესო ინფორმაციას ვიღებთ. მიმაჩნია, რომ ამ გამოფენაზე წარმოდგენილი მასალების გაცნობის შემდეგ ქართველი დამთვალიერებლის ცნობიერებაში კორექტივები შევა და ხელისუფლებას დაეხმარება გარკვეული პოლიტიკის შემუშავებაში“, — განაცხადა თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ზურაბ შენგელიამ.

გამოფენას „სოხუმი, აგვისტო 2009 წ.“ ქართული საზოგადოების ცნობილი სახეები და პოლიტიკოსებიც დაესწრნენ. წარმოდგენილმა მასალებმა დამთვალიერებლები კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ, ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით, ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის საკმაოდ დიდი ბარიერია წარმოქმნილი, რომელიც კონფლიქტის დარეგულირების მცდელობის პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს.

„ასეთი სახის გამოფენების მოწყობა ქართველი საზოგადოებისთვის აუცილებელია. ჩვენ არ უნდა დავკარგოთ რეალობასთან კონტაქტი, რადგან აუცილებელია, ვიცოდეთ თუ რას ფიქრობს აფხაზი ხალხი. სამწუხაროა იმის ხილვა, რომ სოხუმის შენობების უმეტეს ნაწილზე რუსული დროშა ფრიალებს და ბოლო წლებში აფხაზეთში გამოცემული წიგნებიც, ძირითადად, რუსულენოვანია“, — განაცხადა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა.

ქართულ და აფხაზურ მხარეთა შორის დაძაბული ურთიერთობის ერთ-ერთი მიზეზი რომ ნდობის დეფიციტია, ამაზე ქართველ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს. გალერეა „ჰობი“-ში 20 ოქტომბერს მისული საზოგადოება დარწმუნდა, რომ მსგავსი არაპოლიტიკური ღონისძიებების გამართვა, როგორც თბილისში, ასევე, სოხუმშიც, აფხაზი და ქართველი ხალხის ურთიერთდამოკიდებულებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

„აქ წარმოდგენილი სურათები იმ რეალობას გვიჩვენებს, რომელშიც ჩვენი თანამოძმეები — აფხაზები ცხოვრობენ. მისასალმებელია ბატონი ზურაბ შენგელიას პროექტი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამოფენა ქართველი და აფხაზი ხალხის ურთიერთობაში ბევრ სიკეთეს შეიტანს“, — აღნიშნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯონი აფაქიძემ.

გამოფენას ქართული ოპოზიციის წარმომადგენლებიც ეწვივნენ. რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით უსუფაშვილი წარმოდგენილმა ფოტო-მასალამ და ლიტერატურამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ აფხაზი ხალხის ცხოვრების შესახებ ძალიან მცირე რამ არის ქართველებისთვის ცნობილი.

„საჭიროა უფრო მეტი ვიცოდეთ, თუ რა ხდება ენგურს გადაღმა. ბევრი რამ, რა თქმა უნდა, ემოციურად რთული სანახავია, მაგრამ თვალის დახუჭვა და სირაქლემის პოზაში ყოფნა ვითარებას გააუარესებს. ჩვენ აფხაზი ხალხის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ყოფას კარგად უნდა ვიცნობდეთ“, — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

გალერეა „ჰობი“-ში გამოფენილ ფოტოებზე აფხაზებისა და რუსეთის დროშებით სოხუმის ის ხედები და ადგილებია გამოსახული, რომლის ნახვის უფლებას აფხაზები ქართველებს უკვე დიდი ხანია აღარ აძლევენ.

„შესაძლოა აქ წარმოდგენილი ექსპოზიციების ხილვამ საზოგადოების ნაწილის გაღიზიანება გამოიწვიოს, თუმცა ეს არასწორი დამოკიდებულება იქნება. ჩვენ ამ გამოფენაზე ვნახეთ ის რეალობა, რომლის ნახვის შესაძლებლობაც არ გვეძლევა. განსაკუთრებით რთულია და ემოციურად მძიმეა ამ გამოფენის დათვალიერება სოხუმში გაზრდილი ადამიანებისთვის, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და, ამ რეალობიდან გამომდინარე, ვეძიოთ გამოსავალი. ამ პროექტში არავითარი პოლიტიკური მიზნები არ არის ჩადებული, იგი ქართველი საზოგადოებისთვის არის განკუთვნილი, რათა საზოგადოებას აფხაზი ხალხის ყოფა გავაცნოთ“, — განაცხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა თემურ მჟავიამ.

გალერეა „ჰობი“-ში გამართული გამოფენის — „სოხუმი, აგვისტო 2009 წ.“ ერთ-ერთი ორგანიზატორი „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტი“ უკვე 10 წელია ცდილობს შეავსოს 1992-1993 წლების კონფლიქტის შედეგად მხარეთა შორის წარმოქმნილი საინფორმაციო დეფიციტი. გამოფენის მთავარი მიზანიც, სწორედ, ქართველებისთვის აფხაზეთის შესახებ ახალი ინფორმაციის მიწოდება გახლდათ. ექსპოზიციების ნახვის საშუალება ქართველ დამთვალიერებლებს 20-21 ოქტომბერს ჰქონდათ.

სტუდენტური ჟურნალების „ავტოგრაფისა“ და „არგუმენტის“ და გაზეთ „ალტერნატივას“ პრეზენტაცია გაიმართა

ნატო ოგოლაძე

16 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი სტუდენტური ჟურნალის „ავტოგრაფისა“, „არგუმენტის“ და გაზეთ „ალტერნატივას“ პრეზენტაცია გაიმართა. თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებმა ჟურნალები და გაზეთი სასწავლო კურსის — „ჟურნალის გამოცემის“ ფარგლებში მოამზადეს. ახალგაზრდა ჟურნალისტების მუშაობას ხათუნა ჩარკვიანი ხელმძღვანელობდა.

ჟურნალების „ავტოგრაფის“, „არგუმენტის“ და გაზეთ „ალტერნატივას“ პრეზენტაციას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, პოლიტიკოსები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. „არგუმენტი“ და „ავტოგრაფი“ თემატურად მრავალფეროვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალებია და შესაბამისად საინტერესო რუბრიკებს მოიცავს. საქართველოში და, ზოგადად, მსოფლიოში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ჟურნალებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი პოლიტიკურ თემებს, პოლიტიკაში არსებულ პრობლემებსა თუ პოლიტიკურ ფიგურებს, თუმცა ახალგაზრდა ჟურნალისტები, ასევე, საინტერესოდ მიმოიხილავენ ბიზნესს, კინოხელოვნებას, ისტორიას, ტურიზმს, მედიცინას, რელიგიას, ქართულ ტრადიციებს, ჯანდაცვას, ლიტერატურას.

რეცენზენტებმა სტუდენტურ გამოცემებს ამბიციური უწოდეს, იყო მცირე პროფესიული შენიშვნებიც, თუმცა ორივე ჟურნალი მათ დადებითად შეაფასეს და სტუდენტებს პროფესიულ პრაქტიკაში პირველი წარმატება მიულოცეს. ჟურნალ „ავტოგრაფის“ რეცენზენტი ასისტენტ-პროფესორი ელზა ლომიძე, ჟურნალ „არგუმენტის“ რეცენზენტი კი ასისტენტ-პროფესორი მარინა ლომიძე გახლდათ.

„თეორიული ცოდნის შეძენის შემდეგ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება მოგვეცა ჩვენი „ნაღვაწი“ პრაქტიკაში გაგვეხორციელებინა, ჟურნალი „არგუმენტი“ ბევრი ჩვენთაგანის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს პროფესიულ ასპარეზზე. სამუშაო თემების არჩევის დროს სრული თავისუფლება მოგვეცა და თითოეულმა ჩვენგანმაც ის საკითხები ავიღეთ, რაც ყველაზე მეტად გვაინტერესებდა“, — აღნიშნავს რედაქტორის გვერდში ჟურნალ „არგუმენტის“ რედაქტორი ცისანა შერგილაშვილი.

„სტუდენტური ჟურნალის ფარგლებში ყურადღების მიღმა არ დაგვიტოვებია ყველაზე მწვავე და აქტუალური პრობლემები. ცხელი ზაფხულის „ცხელი თემები“. შეიძლება ჟურნალი „ავტოგრაფი“ სრულყოფილი არ არის და გარკვეული ნაკლოვანებები აქვს, მაგრამ ჩვენ ძალა და ენერგია ნამდვილად არ დავიშურეთ, რომ საზაფხულო „ავტოგრაფში“ თქვენთვის საინტერესო პრობლემები მოგვწოდებინა“, — განაცხადა ჟურნალ „ავტოგრაფის“ რედაქტორმა მაია შამანაურმა.

სტუდენტური გამოცემების ხელმძღვანელმა ხათუნა ჩარკვიანმა პრეზენტაციაზე აღნიშნა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სასწავლო პროგრამიდან საგანი — „ჟურნალის წარმოება“ ამოიღეს, შესაბამისად, აღნიშნული სამი გამოცემის შემდეგ სტუდენტური ჟურნალებისა და გაზეთების გამოცემა შეწყდება.

„ახალგაზრდა ჟურნალისტებმა დიდი მონდომებით იმუშავეს და დარწმუნებული ვარ, მათი სახით ქართულ მედიას ღირსეული წარმომადგენლები შეემატება. სამწუხაროა, რომ „ჟურნალის წარმოების“ კურსი ამოიღეს სასწავლო პროცესიდან, რადგან სტუდენტებისთვის აუცილებელია პრაქტიკული კურსის გავლა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ჟურნალის გამოცემის შეწყვეტის მიზეზი ფინანსური პრობლემაა“, — განაცხადა ხათუნა ჩარკვიანმა.

გაზეთ „ალტერნატივაში“ ძირითადად პოლიტიკური თემებია მიმოხილული, კერძოდ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული ადამიანების მდგომარეობა, „ნაბუკოს“ პროექტი, საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო პოლიტიკა და სხვა. „ალტერნატივას“ რეცენზენტი გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორი ლაშა ტუღუში გახლავთ.მისი განცხადებით, ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკული სამუშაოები და ეს ტრადიცია აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ლაშა ტუღუშმა სტუდენტებს გაწეული შრომის შედეგი დადებითად შეუფასა და პირველი წარმატება მიულოცა, თუმცა იყო მცირე შენიშვნებიც.

„გაზეთში მასალებს შორის სივრცეები სწორადაა განაწილებული და ვიზუალური თვალსაზრისითაც საკმაოდ კარგია. აღსანიშნავია, რომ გამოცემა თემატურად ძალიან მრავალფეროვანია, თუმცა მაქვს გარკვეული შენიშვნებიც. შეგახსენებთ, რომ ჟურნალისტის ამოცანაა, მოვლენები ობიექტურად ასახოს და ყოველგვარი საკუთარი მოსაზრებების გარეშე, ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს. ჩვენ ვართ სარკე და არა დიდაქტიკოსები. ჟურნალისტებმა არ ვიცით იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენმა მკითხველმა, ამიტომ სწორი ინფორმაციის მიწოდებით მათ საშუალება უნდა მივცეთ — დასკვნები თავად გამოიტანონ. გაზეთ „ალტერნატივაში“ დაბეჭდილ სტატიებში სწორედ ეს „დიდაქტიკური“ ტენდენცია შეინიშნება, თუმცა ეს მთელი ქართული მედიისა და საზოგადოების პრობლემაა. შემდეგში, როდესაც მომდევნო სტუდენტური გაზეთი გამოვა, უნდა ვეცადოთ, რომ ჟურნალისტის პოზიცია არ იყოს დაფიქსირებული“, — განაცხადა ლაშა ტუღუშმა.

სტუდენტურ ჟურნალებში „ავოტოგრაფსა“ და „არგუმენტში“ და გაზეთ „ალტერნატივაში“ სტუდენტების მიერ გადაღებული ფოტოებია გამოყენებული. გაზეთის ბოლო გვერდზე, ასევე, დაბეჭდილია სტუდენტურ ფოტო-კონკურსში გამარჯვებული სურათებიც, რამაც ფოტოგრაფიით დაინტერესებულ სტუდენტებს საკუთარი ნამუშევრების საჯაროდ გამოტანის საშუალება მისცა.

სტუდენტური ჟურნალები და გაზეთი თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სასწავლო-პოლიგრაფიულ ლაბორატორიაში აიწყო და დაკაბადნდა.

„თითოეულ ჩვენგანს მოგვიწევს უფრო ფრთხილად ვიმუშაოთ“

ინტერვიუ მედიაექსპერტთან ია ანთაძესთან

ბოლო პერიოდში გახშირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ არც თუ ისე კეთილგანწყობილი საგაზეთო პუბლიკაციები თუ სატელევიზიო სიუჟეტები. საუნივერსიტეტო საზოგადოებას შეექმნა აზრი, რომ ამ მასალების უკან არაკეთილსინდისიერი ჟურნალისტები დგანან. მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციები ხშირად გადაუმონმებელი და ცალმხრივია, რაც არ შეესაბამება მსოფლიოში აღიარებულ ჟურნალისტთა ეთიკის ნორმებს. ამგვარი ფაქტების გახშირებამ განაპირობა ის, რომ საქართველოში სერიოზულად დაიწყეს ფიქრი თვითრეგულირების მექანიზმის შექმნაზე და იმ ბერკეტებზე, რომლითაც ცილისწამების ობიექტი რომელიმე მედიასაშუალების არაობიექტურობისგან თავის დაცვას შეძლებს.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ჟურნალისტთა ერთი ჯგუფი კარგა ხანია მუშაობს ჟურნალისტთა ქარტიის პრინციპების შემუშავებაზე. ეს პროცესი უკვე დასასრულს მიუახლოვდა. 19 ნოემბერს ოფიციალურად შედგება ქარტიაზე ხელმოწერის პროცედურა, რაც შექმნის მედიის თვითრეგულირების მექანიზმს, რომელმაც საზოგადოება უნდა დაიცვას არაკეთილსინდისიერი ჟურნალისტებისგან.

ქარტიის შექმნის მიზნებსა და მედიის თვითრეგულირების მექანიზმის მოქმედების პრინციპებზე გვესაუბრება მედიაექსპერტი ია ანთაძე.

მაია ტორაძე

— დასასრულს მიუახლოვდა ჟურნალისტთა ქარტიის შემუშავების პროცესი. იქნებ განუმარტოთ მკითხველს, რა არის ქარტია და რა დახმარებას გაუწევს იგი ჟურნალისტებს და საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილს?

— ქარტიის, უფრო სწორად, მედიის თვითრეგულაციის მექანიზმის შემუშავების აუცილებლობა გამოიწვია კანონმა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. მკითხველისთვის რომ გასაგები იყოს, რას ვგულისხმობ, განვმარტავ, რომ აღნიშნული კანონი ჟურნალისტების მიმართ ძალზე ლიბერალურია. ამ კანონით მინიჭებულ თავისუფლებას ჟურნალისტების ნაწილი კეთილსინდისიერად იყენებს, ნაწილს საშუალება ეძლევა არაეთიკური საქციელის შემთხვევაშიც კი არ იყოს პასუხისმგებელი სასამართლოს წინაშე. მაგალითად, კანონი ამბობს, ცილისწამება დაუშვებელია, მაგრამ, ამავდროულად, გვეუბნება, რომ თუ რომელიმე საჯარო ან კერძო პირს აქვს განცდა, რომ მის წინააღმდეგ არსებითად არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, შეუძლია იჩივლოს, მაგრამ სასამართლოში ჟურნალისტი არაფერს ამტკიცებს, თავად მომჩივანმა უნდა ამტკიცოს, რომ მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაცია არასწორია. — ეს ტენდენცია ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა. ამიტომ თავად ჟურნალისტებს შორის გაჩნდა შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მიხვდეს მკითხველი, რომელი ინფორმაციაა გადამოწმებული და რომელი — არა, რომელი პუბლიკაცია ან სიუჟეტია ეთიკის ნორმების დაცვით მომზადებული და რომელი – არა. აქედან გამომდინარე, იმ ჟურნალისტებს, რომლებიც პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას და არ არიან ცენზურის ქვეშ, გაუჩნდათ იდეა, რომ შექმნილიყო თვითრეგულაციის ორგანო. ინიციატივა ეკუთვნოდა რეგიონალურ ჟურნალისტებს.

ძალიან დაგვეხმარა ევროპის საბჭო და ევროკავშირი, რადგან საქართველოში ჟურნალისტთა ამ მექანიზმის შემუშავება მათი დიდი ხნის სურვილი იყო.

— ხომ არსებობს თვითრეგულირების მექანიზმი — მედიასაბჭო, რომელიც რამდენიმე წელია ფუნქციონირებს. ქარტია დამატებითი მექანიზმი ხომ არ იქნება?

— ჩემი აზრით, მედიასაბჭო თავიდანვე არასწორ ნიადაგზე შეიქმნა — მისი წევრების ნაწილი ჟურნალისტი არ არის, ნაწილი კი ჟურნალისტებისთვის სანდო არ აღმოჩნდა. ამიტომ შევქმენით სხვა მექანიზმი – ჟურნალისტების ქარტია. ეს არის 11 პრინციპი, რომელიც ინიციატორებთან, რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან და ევროპის საბჭოს ექსპერტებთან ერთად ჩამოვწერეთ. ეს პრინციპები ჩვენ გარედან ჩარევის გარეშე, ყველა იმ ჟურნალისტზე დაყრდნობით შევქმენით, ვინც მოწადინებული იყო, რომ ამ პროცესში ჩართულიყო.

თავდაპირველად ჩამოვწერეთ 104 ეთიკური პრინციპი. შემდეგ ისინი დავაჯგუფეთ და გავხადეთ ჯერ 22, შემდეგ — 7. ეს შვიდი პრინციპი ასახავდა ძირითადად საარჩევნო ეთიკის ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც 2008 წლის 21 მაისის არჩევნები გავაშუქეთ. შედეგი დამაკმაყოფილებელი იყო, ამიტომაც ეს პრინციპები საფუძვლად დავუდეთ ქარტიის 11 პრინციპს. მის დახვეწასა და გამრავალფეროვნებაში ევროპის საბჭო დაგვეხმარა. მასში ისეთი ექსპერტები ჩაერთვნენ, რომლებმაც ჩვენც კი – გამოცდილ ჟურნალისტებს და ექსპერტებს სულ სხვანაირად დაგვანახეს, რა არის ეთიკური ჟურნალიზმი და მისი შინაარსი.

ამის შემდეგ ისევ შემოვიარეთ საქართველოს რეგიონები და მედიაექსპერტებთან და რეგიონალურ ჟურნალისტებთან ერთად თავიდან განვიხილეთ ყველა პრინციპი, რის შემდეგაც საბოლოო ვარიანტზე შევჯერდით. გარდა რეგიონებისა, ჩვენ შევხვდით ტელევიზიების წარმომადგენლებსაც. ვიყავით ტელეკომპანიებში „რუსთავი 2“, „იმედი“, „კავკასია“. უნდა ითქვას, რომ როგორც მენეჯმენტებმა, ისე ჟურნალისტებმა ქარტიაზე ხელმოწერის სურვილი გამოთქვეს.

ახლა იმ ეტაპზე ვართ, როცა იქმნება ასოციაცია თავისი წესდებით. მასში აღწერილი იქნება ქარტიის დაცვის მექანიზმები.

ქარტიაზე ხელმოწერა ნებისმიერ ჟურნალისტს შეეძლება, რაც ნიშნავს, რომ ის პასუხისმგებელია ამ პუნქტების შესრულებაზე.

— ვინ გაუწევს საზოგადოებიდან შემოსული შეკითხვებს მონიტორინგს და ვინ გასცემს მათ პასუხს — იყო თუ არა ესა თუ ის მასალა ქარტიასთან თანხმობაში?

— ასეთ შეკითხვებს პასუხს გასცემს ასოციაციის საბჭო, რომელიც შეიქმნება ქარტიაზე ხელმოწერის დღესვე.

აქვე უნდა ითქვას, რომ თუ ჟურნალისტს ხელი არ აქვს მოწერილი ამ ქარტიის პრინციპებზე, მას ვერავინ მოსთხოვს მის დაცვას. ვინც ხელს მოაწერს, მხოლოდ მათი ნამუშევრები გახდება საზოგადოების მსჯელობის საგანი. თუ მოქალაქეს გაუჩნდება აზრი, რომ რომელიმე მასალა არ იყო შესაბამისობაში ქარტიის პრინციპებთან მიმართებაში, ხოლო მასალის ავტორს ქარტიაზე ხელი აქვს მოწერილი, მას შეუძლია ქარტიის საბჭოში შეკითხვა შეიტანოს. საბჭო უფლებამოსილია გასცეს პასუხი და თვეში ერთხელ გამოაქვეყნოს შეკითხვებზე გაცემული პასუხების ანგარიში.

— ვინ იქნება საბჭოს წევრი? ვის შეეძლება თქვას, რომელი მასალა იყო შესაბამისობაში ქარტიასთან და რომელი — არა?

— ქარტიაზე ხელმოწერის თარიღია 2009 წლის 19 ნოემბერი. ამ დღეს დაფუძნდება ასოციაცია და მისი დამფუძნებელი იქნება ყველა ხელმომწერი. ასოციაციის დაფუძნებისთანავე თითოეულ ჩვენგანს მოგვენიჭება ერთი ხმით საბჭოს წევრობის კანდიდატისა და, ასევე, საბჭოს წევრობის უფლება. თუმცა ამ პროცესს (ანუ საბჭოს წევრად არჩევის პროცესს) ვეთიშებით მე და ჩემი ორგანიზაცია, რადგანაც ამ საქმის ინიციატორები ვიყავით.

ასოციაციის დაფუძნების დღესვე გაიმართება კენჭისყრა. დაიდგმება ყულაბა, სადაც ყველა ჩავყრით ჩვენი კანდიდატის გვარს და ხმათა უმრავლესობით საბჭოც აირჩევა.

საბჭოს შემადგენლობაში სულ 9 ადამიანი იქნება. კვოტა გადანაწილდება შემდეგნაირად — 3 დედაქალაქელი ჟურნალისტი ან რედაქტორი, 3 – რეგიონული ჟურნალისტი და 3 – რეგიონული მედიასაშუალების რედაქტორი. ანუ 6 ადგილი დაეთმობა რეგიონებს, რადგან

ქარტიის შექმნა მათი ინიციატივა იყო და თანაც რეგიონული მედია ფინანსურად უფრო დამოუკიდებელი და გამჭვირვალეა.

თუ ჩვენ ავირჩევთ კარგ საბჭოს, ქარტია მყარ ნიადაგზე დადგება და უფლებამოსილი იქნება, კეთილსინდისიერი გადაწყვეტილებები მიიღოს.

— საქართველოში არის მედიის თვითრეგულირების სხვა მექანიზმები, რომლებმაც არ იმუშავა. არის გარანტია, რომ ეს ქარტია იმუშავებს?

— ამ ეტაპზე ამის თქმა ძნელია, რადგან არ ვიცით, ვინ იქნებიან ხელმომწერები და ვის აირჩევენ ისინი საბჭოში. მე შემიძლია საბჭოს ოპტიმალური შემადგენლობა დღესვე დავასახელო. ანუ ჩამოვწერო ის ადამიანები, ვის ხელშიც ეს საბჭო ამოქმედდება, მაგრამ ეს იქნება ჩემი – ია ანთაძის და არა ქართველი ჟურნალისტების საბჭო. თუ შევძელით და ჯანსაღი საბჭო ავირჩიეთ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ქარტიის პრინციპები სწორად გავიგეთ. დღემდე ყველაფერი გაკეთდა, რომ ამ მექანიზმმა იმუშაოს. თუ ვერ შევძლებთ და ვერ ავირჩევთ, ვინ არის ყველაზე კეთილსინდისიერი და პროფესიონალი, მე პასუხისმგებელი ვერ ვიქნები.

— თუ დაიცავს საბჭო იმ ჟურნალისტს, რომლის უფლებებიც დაირღვევა?

— საქმე ისაა, რომ ეს არ არის ორგანიზაცია, რომლის მიზანიც ჟურნალისტის უფლებების დაცვაა, მაგრამ არის მეორე მომენტი — თუკი ქარტია გაგვაერთიანებს, თუ ვიქნებით ასოციაციის წევრები და ზუსტად გვეცოდინება, რომ ვართ ჟურნალისტები, რომლებიც ვიცავთ მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს და გვყავს არჩეული საბჭო, რომელიც კეთილსინდისიერ გადაწყვეტილებებს იღებს, რა თქმა უნდა, დავიცავთ და მხარში დავუდგებით ერთმანეთს.

ერთხელ ვთქვი და ცუდად გამიგეს, მაგრამ კვლავ გავიმეორებ – ქარტია არის გამყოფი დოკუმენტი. ის განასხვავებს კეთილსინდისიერ ჟურნალისტებს იმ ჟურნალისტებისგან, რომლებიც კეთილსინდისიერებისაგან შორს არიან. ცხადია, ქარტიაზე ხელმომწერები უფრო სერიოზულად დაიცავენ ერთმანეთს, ვიდრე იმ კოლეგას, რომელიც ან არ ვიცით რას აკეთებს, ან რასაც აკეთებს, არ მოგვწონს.

ამ საბჭოს ამოქმედებაში სერიოზული როლი ეკისრება საზოგადოებას. თუ, მაგალითად, ადამიანს არ მოსწონს ის, რასაც აშუქებენ მედიასაშუალებები და არ სურს მიმართოს სასამართლოს, რადგან კანონი ძალიან რთულ პროცედურებს აწესებს, მას შეუძლია მიმართოს საბჭოს, რომელიც პასუხს გასცემს და თავის ანგარიშში ჩაწერს, რომ ესა თუ ის ჟურნალისტი ეთიკის პრინციპებს არღვევს.

მაგრამ, ვიმეორებ, ეს მოხდება მაშინ, თუ საზოგადოება აქტიური იქნება. სხვა შემთხვევაში ეს მექანიზმი ვერ იმუშავებს.

ჯერჯერობით ამ ქარტიას სამუშაო ვერსია ჰქვია, რადგან მიღებული და ხელმოწერილი არაა, თუმცა ყველა ეტაპი გავლილი აქვს. სასურველი იყო თითოეულ ჟურნალისტამდე მივსულიყავით და გაგვეგო მათი აზრი, მაგრამ რაც ჩვენ ამ წელიწადნახევარში ვიარეთ და რამდენი ჟურნალისტიც გამოვკითხეთ, ამაზე მეტი თითქმის წარმოუდგენელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სულ მალე გაიმართება ქარტიაზე ხელმოწერის პროცედურა, ჩვენ კვლავ მზად ვართ ნებისმიერი შენიშვნა გავითვალისწინოთ.

— ხომ არ შეუშლის ხელს ამ ქარტიის ამოქმედებას ჟურნალისტისა და დამფუძნებლის ურთიერთობა? შესაძლოა ჟურნალისტი ძალიანაც კეთილსინდისიერი იყოს, მაგრამ დღის წესრიგში დადგეს პრობლემა მედიადამფუძნებლისა, რომელსაც სხვაგვარად ესმის ამა თუ იმ საკითხის გაშუქება და კონკრეტულ დავალებას აძლევს ჟურნალისტს. რა უნდა ჰქნას ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტმა, რომელსაც სამსახურის დაკარგვა, ცხადია, არ სურს?

— მოდი ასე ვთქვათ: როცა ჟურნალისტი ხელს აწერს ქარტიას, რა თქმა უნდა, მან უნდა იცოდეს, რა პლუსები აქვს ამ პროცესს და რა წინააღმდეგობა შეიძლება შეხვდეს. ჩვენ ინტერვიუებში და რადიოგადაცემებში ვსაუბრობდით როგორც მედიამენეჯერებთან, ასევე, ჟურნალისტებთან. გაზეთებში ხშირ შემთხვევაში მთავარი რედაქტორები თავად არიან დამფუძნებლები და მათთან პრობლემა არ შეიქმნება. რაც შეეხება დიდ ტელევიზიებს, ჩვენ შევხვდით „იმედის“ წარმომადგენლებს – ალექსანდრე ფარულავას და ნანა ინწკირველს, „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლებს — გიორგი ლაფერაშვილს და ირმა ნადირაშვილს, ასევე, ტელეკომპანია „კავკასიის“ გენერალურ დირექტორს ნინო ჯანგირაშვილს. საუბარში ჩვენი სრული მხარდაჭერა განსაკუთრებით იგრძნობოდა. ამიტომ ვერ წარმომიდგენია, რომ მათი მხრიდან რაიმე წინააღმდეგობა შეგვხვდეს, რადგან თანახმა არიან, მათმა ჟურნალისტებმა ქარტიას ხელი მოაწერონ. მათ აგვიხსნეს, რომ ბოლო პერიოდში საზოგადოების ნდობა ტელევიზიების მიმართ დაბალია და ქარტიის ამოქმედებას განიხილავენ, როგორც ნდობის ამაღლების ფაქტორს. რა თქმა უნდა, არ მაქვს იმის ილუზია, რომ ერთი ქარტიის ამოქმედებით საქართველოს მედიაში პრობლემები აღარ იქნება, მაგრამ, მენეჯმენტის მხრიდან გამოთქმული სურვილი, რომ მათთან გვესაუბრა, მიმანიშნებს, რომ ქარტიაზე დაყრდნობით ბევრად უკეთესი მდგომარეობა უნდა შეიქმნას.

არის მეორე მომენტიც – ჩვენ გვყავს ადგილობრივი ტელევიზიის თანამშრომელი მეგობარი, რომელიც ამბობს, რომ აუცილებლად მოაწერს ხელს ქარტიას და თუ მედიამფლობელთან წინააღმდეგობა შეექმნება, აჩვენებს ქარტიის ყველა ხელმოწერას და ეტყვის, რომ ეს არის იდეა, რომელიც თავიდან ბოლომდე ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მიერ არის მხარდაჭერილი. ანუ ქარტია შეიძლება განვიხილოთ იმ მექანიზმად, რომელიც თითოეულ ჟურნალისტს თავის მედიამფლობელთან სალაპარაკოდ რაღაც ბერკეტს აძლევს.

— როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ მის წინააღმდეგ ჟურნალისტმა დაკვეთილი მასალა გამოაქვეყნა?

— ქარტიის პირველ პუნქტში წერია, რომ ჟურნალისტმა უნდა დაიცვას საზოგადოების უფლება – გაიგოს სიმართლე და მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. პრინციპების შემუშავების პროცესში ჩვენ დიდხანს ვათანხმებდით, რა არის სიმართლე და რა არის ზუსტი ინფორმაცია. ექსპერტებმა მიგვითითეს, რომ ამ პუნქტის მთავარი საყრდენია სიტყვები, რომ ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს საზოგადოების უფლებას — მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. შესაძლებელია, მე, როგორც ჟურნალისტმა დავუშვი შეცდომა და ის, რასაც გამოვაქვეყნებ, არ იყოს რეალობასთან შესაბამისობაში, მაგრამ თუ ვინმე საბჭოში მიჩივლებს, ერთადერთი, რასაც საბჭო განიხილავს, არის პრინციპი — მე სპეციალურად და მიზანმიმართულად დავამახინჯე ფაქტები, რომ ვიღაცისთვის ზიანი მიმეყენებინა თუ პატივი ვეცი საზოგადოების უფლებას — გაიგოს სიმართლე.

საბჭო უფლებამოსილი იქნება, გასცეს პასუხი ასეთ შეკითხვებს და თუ დაადგენს, რომ ამ ადამიანმა პატივი არ სცა საზოგადოების უფლებას — არ გადაამოწმა ის, რაც ადვილი გადასამოწმებელია და სიმართლეს თვალი დაუხუჭა, ამის შესახებ საბჭოს ანგარიშში ჩაიწერება. როდესაც დაგროვდება ასეთი ჩანაწერები, საზოგადოებას ქარტიის სახით ექნება სანდო მექანიზმი, რომლითაც ეცოდინება, რომელი ჟურნალისტი სცემს მას პატივს და რომელი – არა.

— საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება საბჭოს გადაწყვეტილებები და ანგარიშები?

— ჩვენ ვიზრუნეთ, რომ ყველა მედიასაშუალება, რომელიც ხელს მოაწერს ქარტიას, მზად იყოს გამოაქვეყნოს ეს ანგარიშები. საბჭოს არჩევიდან ორი თვე მოსამზადებელი პერიოდი იქნება. ამ პერიოდში ჟურნალისტები თავად წარადგენენ მასალებს და გააანალიზებენ, რას სთხოვენ ერთმანეთს. ანუ ანგარიშები დაიწერება, მაგრამ არ გამოქვეყნდება. ორი თვის შემდეგ კი ყველაფერი დარეგულირდება.

ასე რომ, თითოეულ ჩვენგანს მოგვიწევს უფრო ფრთხილად ვიმუშაოთ, ვიდრე აქამდე ვმუშაობდით.

პროფესორ ავთანდილ ქორიძის გამოკვლევები მომავლის საწვავის მიღების პერსპექტივას იძლევა

70 წელი შეუსრულდა დამსახურებულ მეცნიერსა და პედაგოგს, მეტალორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ავთანდილ ქორიძეს. მან ნაყოფიერი და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო, დატვირთული შემოქმედებითი ძიებებითა და მრავალფეროვანი სამეცნიერო მოღვაწეობით.

ავთანდილ ქორიძე დაიბადა 1939 წლის 14 სექტემბერს ქ. ბათუმში. ბათუმის მე-5 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის ი.მ. გუბკინის სახელობის ნავთობქიმიისა და გაზის მრეწველობის ინსტიტუტში, რომლის წარმატებით დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში.

1964 წლიდან მუშაობდა მოსკოვის ელემენტორგანულ ნაერთთა ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე.

1969 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1988 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1991 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1993 წლიდან დღემდე მუშაობს მოსკოვის ელემენტორგანულ ნაერთთა ინსტიტუტში მეტალორგანული კლასტერების ქიმიის ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე. 2001 წლიდან ხელმძღვანელობს გარდამავალ მეტალთა ჰიდრიდების ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას, ხოლო 2009 წლიდან მეტალორგანული ნაერთების ინსტიტუტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ავთანდილ ქორიძის მოღვაწეობა თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს პატიოსანმა ადამიანმა და წარმატებულმა მეცნიერმა. დიდია მისი ღვაწლი მეტალორგანული ქიმიის განვითარებაში, კერძოდ, გარდამავალ მეტალთა კლასტერების, პინეარული კომპლექსების სინთეზისა და სტრუქტურის კვლევაში. მისი კვლევის სფეროს წარმოადგენს, აგრეთვე, ნახშირწყალბადური სუბსტრატების აქტივაცია გარდამავალ მეტალთა კომპლექსებით და მეტალკომპლექსური კატალიზი. თითოეულ ამ დარგში მან შეასრულა ორიგინალური სამუშაოები და უმნიშვნელოვანესი საკვანძო პრობლემები გადაწყვიტა თანამედროვე მიდგომების გამოყენებით.

პროფესორ ა. ქორიძის ინტერესები მუდამ იყო დაკავშირებული აქტუალური და რთული პრობლემების გადაწყვეტასთან. ბოლო წლებში ის საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებითაა დაკავებული. ენერგომატარებლების ალტერნატიული წყაროების ძიება საერთაშორისო პრობლემაა, რომელზედაც მსოფლიო წამყვანი მეცნიერების (ნობელის პრემიის ლაურეატების) გვერდით აქტიურად მუშაობს ა. ქორიძეც. მის მიერ შექმნილი ახალი თაობის პინსერული კომპლექსები, რომლებიც ცნობილ კატალიზურ სისტემებს შორის ყველაზე აქტიური აღმოჩნდა, ხელს უწყობს კატალიზური პროცესების სელექტიურობის ამაღლებას. ალკანების სელექტიური დეჰიდრირება იძლევა ეკოლოგიური თვალსაზრისით უნაკლო ენერგომატარებლის, მომავლის საწვავის — წყალბადისა და ძვირფასი ქიმიური ნედლეულის — ოლეფინების მიღების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში ა. ქორიძის წარმატებები აღიარებულია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მიერ, რომელიც მას მსოფლიო დონის წამყვან მეცნიერად მიიჩნევს.

ა. ქორიძე 170 სამეცნიერო შრომის, მრავალი გამოგონებისა და პატენტის ავტორია, თანაავტორია რამდენიმე წიგნისა. მისი სტატიები იბეჭდება მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში. რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით შესრულებულია 15-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო (ISTC, CRDF, GRDF, INAS, NATO, CNSF) საგრანტო პროექტები.

პროფესორი ა. ქორიძე აშშ-ის ქიმიური საზოგადოების წევრია. იგი ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას აწარმოებს აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიის, კანადის და სხვა ქვეყნების სამეცნიერო წრეებთან.

ა. ქორიძემ აღზარდა არა ერთი წარმატებული მეცნიერი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ექვსი საკანდიდატო დისერტაცია. ამჟამად ხელმძღვანელობს სამ დოქტორანტს. როგორც ცნობილ მეცნიერს, მას იწვევენ დისერტაციების ექსპერტად, ოპონენტად. ბატონი ავთანდილისთვის დამახასიათებელია პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, თავმდაბლობა და პრინციპულობა.

პროფესორი ავთანდილ ქორიძის მოსაზრებები საქართველოში განათლების სისტემისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის რეფორმასთან დაკავშირებით პროგრესულია და რეალური. ბ-ნი ავთანდილ ქორიძე ცდილობს საერთაშორისო არენაზე თსუ-ის პრესტიჟის ამაღლებას. მის მიერ მოპოვებულ საერთაშორისო გრანტებში მან წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის როლი მიანიჭა თსუ-ს. ამ გრანტების მეშვეობით დასაქმდნენ უნივერსიტეტის ყოფილი პედაგოგ-მეცნიერები.

ა. ქორიძემ დიდი ყურადღება და თანადგომა გამოიჩინა უნივერსიტეტის თანამშრომლების მიმართ, რასაც ჩვენი კოლექტივი სათანადოდ აფასებს. მეტალორგანული ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები მადლობას მოვახსენებთ იმ სიკეთისა და სითბოსთვის, რომელსაც ის იჩენს ჩვენს მიმართ და კიდევ ერთხელ ვუსურვებთ იუბილეს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

მეტალორგანული ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები

იაპონური პოეზიის საღამო თსუ-ში

20 ოქტომბერს თსუ-ის „ლიტერატურულმა სახელოსნომ“ გამართა პოეზიის საღამო: „უძველესი იაპონური ლექსის სამყაროში“. „ლიტერატურულ სახელოსნოს“ პოეტი ქეთი შენგელია ხელმძღვანელობს. იგი ბევრი საინტერესო და შემოქმედებითი ღონისძიების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია. მისი ინიციატივით სტუდენტები არა მარტო ლიტერატურულ შედევრებს, არამედ ავტორებსაც ეცნობიან.

თამარ მარუაშვილი

ამჟამად „ლიტერატურული სახელოსნოს“ ერთ-ერთი რუბრიკის სტუმარი გახლდათ მეცნიერი და მთარგმნელი ირმა რატიანი, რომელმაც იაპონურიდან თარგმნა და წიგნად გამოსცა — „ასი უძველესი იაპონური ლექსი“.

ძველ იაპონიაში (IX საუკუნემდე) განვითარებული იყო სასიმღერო პოეტური ფოლკლორი და მითოლოგია. იაპონიის პირველი წერილობითი ლიტერატურული ძეგლებია კოსმოგონიური მითების და ისტორიული თქმულებების კრებული „კოძიკი“ (171 წ.) და პოეტური, ძირითადად ტანკას ჟანრის ლექსების ანთოლოგია „მანიოსიუ“ (712 წ.).

როგორც მთარგმნელმა აღნიშნა, „100 პოეტის თითო ლექსი“ უძველესი იაპონური პოეზიის საუნჯეა, რომელიც 1235 წელს ერთ წიგნად შეკრა პოეტმა და გავლენიანმა ფეოდალმა სადაიიე ფუჯივარამ.

ეს ლექსები ელიტარული პოეზიის ნიმუშებია, ტანკას ავტორებად გვევლინებიან იმპერატორები, პრინცები, ფეოდალები, მაღალი წრის ქალბატონები, განსწავლული ბერები — მათი სალიტერატურო ენა მეტაფორების, მხატვრული ეპითეტების, შედარებებისა და სხვა ტროპული კომპონენტების ჰარმონიულ ნაზავს წარმოადგენს.

იაპონურ პოეზიაში სიტყვის მნიშვნელობა იშვიათად არის ერთი და სწორხაზოვანი — სიტყვა თითქმის ყოველთვის ბუნდოვანია, დატვირთული ორმაგი, ხშირად სამმაგი და მეტი მნიშვნელობით. მისი აღქმა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ავტორის ჩანაფიქრზე, მეორე მხრივ, მკითხველის განწყობასა და აღქმის კონტექსტზე. სიტყვის პერსპექტივათა ორაზროვანი თამაში და კონტექსტუალური განპირობებულობა არის იაპონური პოეზიის პირველი და უმთავრესი კანონი, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს ტექსტის დონეზე ავტორისა და მკითხველის შეხვედრის ინდივიდუალური მექანიზმი“.

იაპონური კულტურა, პოეზია, ლიტერატურა ყოველთვის იყო და არის მკითხველთა დიდი ინტერესის საგანი, რასაც მისი ორიგინალურობა, სიღრმე, სინატიფე და ლირიზმი განაპირობებს.

ქალბატონმა ირმამ საინტერესოდ ისაუბრა იაპონური კულტურის, ლიტერატურის, ტრადიციების მნიშვნელოვან საკითხებზე, იაპონური პოეზიის თარგმნის სირთულეებსა და პრინციპებზე: „იაპონური ლექსი – ტანკა, რომელიც თითქმის ორი ათასწლეულის წინათ ჩამოყალიბდა, თავისი ფორმითა და შინაარსით არსებითად განსხვავდება ევროპული სალექსო ფორმისგან. ის არის ლაკონური, მაგრამ კონცეპტუალური და ემოციური თვალსაზრისით ინტენსიურად დატვირთული. კონცეპტუალური და ემოციური სიღრმე ემყარება ე.წ. „ილუზორულ დისკურს“, სიტყვათა თამაშს, ხშირად ალტერნატიულ მნიშვნელობათა პაექრობას, რაც ძალზე რთულად ემორჩილება თარგმანის პროცესს.“

სტუდენტებმა: ბექა ნიკასონმა, ია ერაძემ და გიორგი მამუკაშვილმა მადლობა გადაუხადეს ქალბატონ ირმას მობრძანებისთვის, წაიკითხეს იაპონური პოეზიის ნიმუშები და ავტორისგან იაპონური ლექსის რთულ და სიღრმისეულ ლაბირინთებში წვდომის მექანიზმების პროფესიული განმარტებები მოისმინეს.

იაპონური პოეზიის განსაკუთრებულობასა და თავისებურებებზე, უცნაურ პოეტურ ხილვებზე ისაუბრეს მეცნიერებმა: ინგა მილორავამ, ქეთი ელაშვილმა, შარლოტა კვანტალიანმა, პოეტმა სოსო ნადირაძემ და სხვ.

„ეს წიგნი შესანიშნავი „მოსაწვევია“ ძველი დროის იაპონიაში, ვინაიდან მასში ჩინებულადაა გადმოცემული იაპონური სამყარო. მთარგმნელმა ახალი სიცოცხლე შესძინა უძველეს იაპონურ პოეზიას“ — ასე აფასებს მას იაპონელი მეცნიერი იასუჰირო კოჯიმა.

პოეზიის საღამო იაპონური ლექსის საოცარი მუხტით იყო გაჯერებული. საღამოს ორგანიზატორმა ქეთი შენგელიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონურ პოეზიასთან შეხებით თითქოს ცხადად შევიგრძენით შორეული, ფერადოვანი, ილუზიური პოეზიის სინატიფე და მისი საოცარი სურნელი, რომელიც დიდხანს გაჰყვება აღმოსავლეთის კულტურის საიდუმლო ლაბირინთებში გაღწევის მსურველთ.

ქალი, რომელსაც ღრუბლიან ჟამსაც მზე გულიდან ამოსდის

ქალბატონი მარიკა კალანდაძე იუბილარია

შურთხია გეროშვილი

ამ ქალბატონისთვის ფასეულობები და ღირებულებები არ შეცვლილა: მიუხედავად დროის წაღმა-უკუღმა ტრიალისა, იგი თავისი მრწამსის ერთგული დარჩა. დღესაც ხელჩანთაში უდევს რამდენიმე ეგზემპლარად გადაბეჭდილი სიტყვები, რომელიც ხუტა ბერულავას ეკუთვნის და უშურველად ჩუქნის ახლობლებს, ნაცნობებსა თუ უცნობებს. „სხვას ვამშვიდებდი, როცა თვითონ მწარედ მტკიოდა, სხვას ვაპურებდი, როცა თვითონ ძალზე მშიოდა, სხვას ვაფარებდი საბანს ჩემსას, როცა მციოდა, ღრუბლიან ჟამსაც მზე გულიდან ამომდიოდა“. საყვარელი პოეტის სიტყვები დიდი ხანია გაითავისა და თვითონაც ყოველთვის ცდილობდა ასე ეცხოვრა, ალბათ ხშირად გამოსდიოდა კიდეც, რადგან მის საქმიანობას აფასებენ და დღემდე იხსენებენ, როგორც კარგ პროფესიონალსა და სიკეთით სავსე პიროვნებას.

ამის დასტურია ის თბილი წერილები და მილოცვები, რომლითაც ქალბატონ მარიკა კალანდაძეს იუბილესთან დაკავშირებით მიმართავენ კოლეგები: პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია და ჟურნალის „ბუღალტრული აღრიცხვა“ წარმომადგენლები: „თქვენი გულკეთილობით, სიყვარულის დიდი ნიჭით, ადამიანური სითბოთი, ყურადღებითა და პროფესიული შემოქმედებით მისაბაძი მაგალითი ბრძანდებით მომავალი თაობისათვის. გმადლობთ, რომ ჩვენს გვერდით ბურჯად დგახართ და სტიმულს იძლევით ცხოვრების სიძნელეთა გადალახვაში“.

ქალბატონი მარიკა კალანდაძე სკოლის პერიოდიდან აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. მოსკოვის საბჭოთა ვაჭრობის საკავშირო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობდა, 1960 წელს კი თსუ-ში გააგრძელა თავისი საქმიანობა მეთოდისტად, შემდეგ ბუღალტრული აღრიცხვის, ეკონომიკური ანალიზის კათედრაზე ასისტენტად, მოგვიანებით კი მასწავლებლად. 1980 წელს უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ მას დოცენტის ხარისხი მიანიჭა. 20 წლის მანძილზე მარიკა კალანდაძე სამეცნიერო საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოს წევრი გახლდათ. 1996-1980 წლებში საქართველოს ეკონომიკისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტში დეკანის თანამდებობაზე მუშაობდა.

ქალბატონი მარიკა კალანდაძე 65 სამეცნიერო შრომისა და 480 სტატიის ავტორია, რომელიც სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებში გამოქვეყნდა. მისმა წიგნმა — „ღირსეული იუბილარი ღირსეული კადრების სამჭედლო“ მკითხველის სიყვარული დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ მალე გამოიცემა მისი ახალი ნაშრომი „საბუღალტრო ექსპერტიზა“ და საუნივერსიტეტო წიგნი „ღვაწლმოსილნი“.

ცნობილ ქალბატონს არც წოდებები და ჯილდოები დაჰკლებია: „ეროვნული აკადემიის“ აკადემიკოსი, დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, თსუ-ის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, ქალთა კონგრესის უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ბუღალტერი, კონტროლის პალატის საპატიო წევრი, რაციონალიზატორ-გამომგონებელი. ალბათ, ამის შემდეგ გასაკვირიც აღარაა, რომ იგი ღირსების ორდენით, ივანე ჯავახიშვილის მედლით და სხვადასხვა საპატიო ჯილდოებისა და სიგელების მფლობელია.

მარიკა კალანდაძე დღემდე ჟურნალ „ბუღალტერია“ და გაზეთის „ახალი ივერია“ სარედაქციო კოლეგიის წევრია. გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ კორესპონდენტ-მიმომხილველია 55 წლის განმავლობაში და მრავალი ათეული წელი განყოფილების გამგე გახლდათ. 1974 წლიდან თსუ-ის ქალთა საკრებულოს წევრია.

ქალბატონი მარიკა კალანდაძე იუბილარია. ყველაზე კარგად მის შემოქმედებით გზას კოლეგების სიტყვები გამოხატავს, მათ შორის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი და კულტურის მუშაკი ელენე მერაბიშვილი: „ღირსეული ადამიანი ბევრია, მაგრამ მათ შორის გამორჩეულნი ზეაგამაღლებენ, ხალისს გმატებენ, სიცოცხლის ელფერს გაძლევენ და რაოდენ სასიხარულოა, რომ ასეთები შენს გვერდში დგანან — კეთილი საუბრით გათბობენ, სულიერად გამაღლებენ და გესიყვარულებიან. ასეთია ჩვენი მარიკა კალანდაძე. ასეთი ღირსეული პიროვნებები ღმერთმა უმრავლოს საქართველოს“.

მრავალი ასეთი თბილი და გულწრფელი სურვილები მიიღო ქალბატონმა მარიკა კალანდაძემ, რომელმაც მეგობრების, კოლეგების და საზოგადოების სიყვარული დაიმსახურა.

ქალბატონ მარიკას ერთ-ერთმა სტუდენტმა თენგიზ ლორთქიფანიძემ იუბილესთან დაკავშირებით ლექსიც მიუძღვნა, რომელშიც მასწავლებლისადმი უდიდესი მოწიწება იგრძნობა:

„ცხოვრების სიბრძნე გვასწავლეთ,
ადამიანის შეცნობა,
სიყვარული და შენდობა,
რწმენის და სულის ერთობა“.

გაზეთ „სვობოდნაია გრუზიამ“ საიუბილეო წელი ასე მიულოცა საყვარელ თანამშრომელს – „მრავალჟამიერ, ჩვენო მარიკა!“. ჩვენც ვუერთდებით ამ პათოსს და ქალბატონ მარიკას დღეგრძელობას და იმ სიყვარულის ტვირთის ზიდვას ვუსურვებთ, რასაც მისადმი ასეთი კრძალვით გამოხატავენ.

უნივერსიტეტიდან არასდროს მიდიან...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში წლები თითქოს უფრო ნელა და უმტკივნეულოდ გადის. აქ ყოველდღე ხვდები ახალგაზრდებს, შენი ქვეყნის ღირსეულ მომავალს და გული სიხარულითა და იმედით გევსება, განწყობაც მარადიულად ახალგაზრდული გრჩება და მათი თვალებით დანახული სამყაროც არ არის ასეთი დაუნდობელი და უსამართლო.

აქ ყველაზე მეტად გრძნობ შენი არსებობის საჭიროებას, საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მნიშვნელობას და უფრო დიდი ბედნიერება არც გინდა — შენ ხომ ერის ყველაზე თავისუფალ, ყველაზე სუფთა და ყველაზე დაუდგრომელ თაობას — ახალგაზრდობას სჭირდები და ემსახურები!

თამარ მარუაშვილი

აქ დავანებული უდიდესი მოღვაწეების სული და თითოეული კენჭიც კი ისეთი ახლობელი და მშობლიურია, რომ ვერ ხვდები, საიდან იწყება შენთვის დედა უნივერსიტეტი და სად მთავრდება იგი. აქ დაიწყო შენმა სულმა დაპურება სხვადასხვა საერო და პიროვნული ღირებულებებით, აქ ეზიარე პირველად ეროვნული სულის, ცოდნის ტაძრის სიძლიერესა და მნიშვნელობას.

გმირები მარტო ბრძოლის ველზე არ იბადებიან, ისინი ახალი თაობის გულშიც იბადებიან ხოლმე, სადაც შენი ცოდნა, კეთილშობილება, ადამიანობა, თავმდაბლობა და პრინციპულობა ღრმად იდგამს ფესვებს და მათი სულიერების ორგანული ნაწილი ხდები...

ასეთი ხვედრი ერგო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ბატონ **გიორგი შუბლაძეს**, რომელმაც ახალგაზრდა თაობას მაგალითი აჩვენა იმისა, თუ როგორი ღირსებით უნდა ატარო თსუ-ის კურსდამთავრებულის სახელი, თუ რა დიდ პასუხისმგებლობასა და მოწიწებას უნდა გრძნობდე მისი დამაარსებლებისა და კორიფეების მიმართ, თუ რა შეუძლია მოუტანოს მიზანსწრაფულმა და მუყაითმა შრომამ პიროვნებას.

აი, რას წერენ ბატონი გიორგის შესახებ მისი წიგნის: „ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდების“ რედაქტორები — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი მალაშხია და ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ფიქრია წოწკოლაური: „ჩვენ სიამოვნებით ვასრულებთ ამ წიგნის რედაქტორობის მოვალეობას, რადგანაც დიდი ხნის მეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა გვაკავშირებს პროფესორ გიორგი შუბლაძესთან. ჩვენ გვეამაყება მის გვერდით დგომა, რადგან იგი არის მზრუნველი მეოჯახე — მეუღლე, მამა, ბაბუა, უღალატო მეგობარი, საქმისადმი თავდადებული პიროვნება, ახალგაზრდების საყვარელი და გამოცდილებით დატვირთული ადამიანი, ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, მეცნიერების ცნობილი მოღვაწე“.

ბატონი გიორგი შუბლაძე პროფესორია, მან თითქმის 40 წელზე მეტი გაატარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ინტენსიურად იკვლევდა და იკვლევს საქონელმიმოქცევის თეორიის, ვაჭრობის მართვის, ბაზრის მოთხოვნისა და მისი პროგნოზირების პრობლემებს, აქვეყნებს ვრცელ ნაშრომებს ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხებზე. 1976 წელს დაისტამბა მისი წიგნი „ვაჭრობის მართვის საფუძვლები“, რომელიც სტუდენტებისთვის სამაგიდო და დამხმარე სახელმძღვანელო გახდა. ეს პირველი სახელმძღვანელო იყო

მთელ საბჭოთა კავშირში. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული უნივერსიტეტში ისეთი ახალი საგნების სწავლებისთვის საფუძვლის ჩაყრა, როგორიცაა მარკეტინგი, მენეჯმენტი, ბიზნესის საფუძვლები, ბიზნესის ფსიქოლოგია.

პროფესორი გიორგი შუბლაძე 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის ცალკე წიგნად გამოცემულია 25, აქედან 12 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელოა.

დამეთანხმებით, ახალგაზრდებთან ურთიერთობას არაჩვეულებრივი ნიჭი სჭირდება. სტუდენტს ვერაფერს გამოპარებ — ის ან მიგიღებს ან არა, მაგრამ სიყვარულით მხოლოდ მაშინ შეგიყვარებს, თუ ისეთივე გულწრფელი და თავისუფალი იქნები მასთან, როგორც თანატოლთან. ეს ძალიან კარგად ესმის ბატონ გიორგის და მისი ლექციები დღესაც იწვევს სტუდენტებში აღფრთოვანებასა და დიდ ინტერესს.

შეიძლება გახდე დიდი მეცნიერი, მაგრამ გახდე ახალგაზრდებისთვის სამაგალითო და მისაბაძი პიროვნება, არც თუ ისე ადვილია. ბატონი გიორგი ღირსეულად ატარებს არა მარტო თსუ-ის აღზრდილის საპატიო სახელს, არამედ მეცნიერის, დამსახურებული აღმზრდელის საამაყო სახელსაც და ასეთი ცხოვრებისეული მრწამსით ხვდება თავის საიუბილეო თარიღს – 75 წლისთავს.

ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი წვლილისთვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის მედლითაა დაჯილდოებული. ღირსეულად ატარებდე დიდი მეცნიერის, თსუ-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ჯილდოს თსუ-ის კურსდამთავრებულისთვის ყველაზე საპატიო და საპასუხისმგებლო მისიაა.

აღსანიშნავია, რომ ბატონ გიორგი შუბლაძის მონაწილეობით თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის 1957 წლის კურსდამთავრებულები ყოველწლიურად აღნიშნავენ უნივერსიტეტის დამთავრების წლისთავს. ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი მალაშხიამ უნივერსიტეტს ლექსიც კი მიუძღვნა სახელწოდებით „კურსდამთავრებულის ფიქრები უნივერსიტეტთან შეხვედრისას“.

ლეონარდო და ვინჩს უთქვამს: „კარგად დახარჯული სიცოცხლე დღეგრძელი სიცოცხლეაო“ — სწორედ ეს სიტყვები გვემეტება მათთვის, ვინც სიცოცხლეს გიორგი შუბლაძის მსგავსად ღირსეულად ატარებს და იმ ტვირთს ზიდავს, რასაც ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის სახელი ჰქვია.

ტიციან ტაბიძის ნარკვევი ქართველმა მკვლევარებმა მხოლოდ 80 წლისთავზე მოიძიეს

ინტერვიუ თსუ-ის პროფესორთან ლადო მინაშვილთან

პირველი გვერდიდან

ლადო მინაშვილი, წიგნის რედაქტორი, პროფესორი:

— საინტერესოა, თქვენთვის როდის გახდა ცნობილი ტიციან ტაბიძის ნარკვევის არსებობის შესახებ? როგორ მოიძიეთ სათანადო მასალები და როგორ შეიქმნა ქართულ ენაზე ის წიგნი, რომელიც სომხეთში 1931 წელს სომხურ ენაზე გამოიცა?

— 2002 წლის გაზაფხულზე თბილისში გაიმართა ქართველოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, სადაც სხვებთან ერთად მოხსენება წაიკითხა სომეხმა ქართველოლოგმა ერევნიდან ჰრაჩია ბაირამიანმა. მისი მოხსენების თემა იყო „ლიტერატურის კორიფეთა მეგობრობა — კულტურათა დაახლოების მნიშვნელოვანი ფაქტორი (ელიშე ჩარენცი და ტიციან ტაბიძე)“. ჰრაჩია ბაირამიანმა თავის დროზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასპირანტურა დაამთავრა და აქვე, თბილისში დაიცვა დისერტაცია ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებზე. ამჟამად იგი მოღვაწეობს ერევანში, არის ერევნის უნივერსიტეტის პროფესორი. იგი ბრძანდებოდა ბატონ სოლომონ ხუციშვილის ასპირანტი. და აი, მან ქართველოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე წარმოდგენილ მოხსენებაში აღნიშნა, რომ 1931 წელს გამოჩენილი სომეხი პოეტის ელიშე ჩარენცის გულმოდგინებით გამოიცა ტიციან ტაბიძის მოკლე ნარკვევი — „ახალი ქართული ლიტერატურა, მე-19 საუკუნე“ სომხურ ენაზე. რა თქმა უნდა, ამან ჩემი ყურადღება მიიქცია. ელიშე და ტიციანი კარგი მეგობრები იყვნენ. ელიშე ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, რომელიც, სომხეთის მგოსნის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სავსებით თვითმყოფად სამყაროს წარმოადგენდა თავისი ხალისიანი ცხოვრებით, პურ-მარილით და წეს-ჩვეულებებით“. ტიციან ტაბიძის მეუღლე ნინო ტაბიძე თავის უაღრესად საინტერესო წიგნში „ტიციან ტაბიძე და მისი მეგობრები“ აღნიშნავს, რომ „ყოველთვის, როდესაც კი ჩარენცი თბილისში ჩამოდიოდა, სტუმრად ეწვეოდა ტაბიძეების ოჯახს“. და თურმე, ერთ მშვენიერ დღეს, ტიციანის სამუშაო მაგიდაზე ელიშეს თვალი მოუკრავს ტიციანის ხელნაწერისთვის ახალი ქართული ლიტერატურის (მე-19 საუკუნე) შესახებ და ტიციანისთვის უთხოვია, რომ ნაშრომი დასრულებისთანავე მისთვის გაეგზავნა, რათა სომხურად ეთარგმნა და ერევანში გამოეცა. ეს ის პერიოდია, როდესაც ჩვენს მწერლებს უკეთილშობილესი იდეა ამოძრავებთ — ცოტათი დათბეს ურთიერთობები ჩვენსა და სომხებს შორის. მოგეხსენებათ, 20-იან წლებში სომხებმა ომი წამოგვიწყეს — დაძაბული ურთიერთობები და პროვოცირებული კონფლიქტები დღემდე გრძელდება. და აი, ამ უკეთილშობილესმა ხალხმა გადაწყვიტა, რომ სომხეთსა და საქართველოს შორის იმ პერიოდში წარმოქმნილი სიცივის ატმოსფერო დაეთბო, ასე ვთქვათ, კულტურათა დიალოგით და ამით გაეფანტა ურთიერთუნდობლობის ბურუსი. მათ კარგად ესმოდათ, რომ ჩვენ უახლოესი მეზობლები ვართ და ერთმანეთი ჰაერივით გვჭირდებოდა. ჩარენცს სურდა, რომ ორი ქვეყნის ინტელიგენციის წარმომადგენლებს შეესწავლათ ერთმანეთის ისტორია, სულიერი და მატერიალური ფასეულობანი და იგი ადვილად ხელმისაწვდომი გაეხადათ საზოგადოების ფართო წრეებისთვის. ასე გადაწყვიტა მან ეთარგმნა ტიციანის დაწერილი ქართველი ერის ლიტერატურის ისტორია და სომეხი ხალხისთვის გაეცნო თავისი მოძმე ერის სულიერი ფასეულობა. ტიციანს, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ნარკვევი რუსულ ენაზე ჰქონდა დაწერილი — მას სურდა რუსულენოვანი ხალხებისთვის, მომავალში უკვე საბჭოთა კავშირში შემავალი ერებისთვის გაეცნო ჩვენი ლიტერატურა. ტიციანს როგორც კი დაუსრულებია ნაშრომი, იგი ელიშესთვის გაუგზავნია. ელიშემ ნარკვევი ღურბანიანს სომხურ ენაზე ათარგმნინა. მართლაც, 1931 წლის მიწურულს ერევანში გამოიცა ტიციან ტაბიძის წიგნი სათაურით „ახალი ქართული ლიტერატურა, მე-19 საუკუნე“. გამოცემის დაბალი პოლიგრაფიული დონით უკმაყოფილო ჩარენცმა ერთი ეგზემპლარი მდიდრული ყდით დაამზადებინა და ავტორს გაუგზავნა. როგორც ტიციანის მეუღლე ნინო ტაბიძე წერს: „ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი ელიშე ჩარენცის წარწერით ჩვენთან ინახება“.

როგორც მოგახსენეთ, ტიციან ტაბიძის ნარკვევის არსებობის შესახებ მხოლოდ ჰრაჩია ბაირამიანის მოხსენებიდან შევიტყვე – ადრე ყურადღება არ გამიმახვილებია ნინო ტაბიძის წიგნში „ტიციან ტაბიძე და მისი მეგობრები“ ამოკითხულ იმ ფრაზაზე, სადაც ქალბატონი ნინო ელიშეს მიერ ტიციანისთვის

ნაჩუქარ ერთადერთ ეგზემპლარზე მიუთითებს. თუმცა, როგორც კი შევიტყვე ამის შესახებ, ბატონ ჰრაჩიას ვთხოვე, სომხურ ენაზე ნათარგმნი წიგნი ჩემთვის გამოეგზავნა. მისგან მომივიდა გამოცემის ქსეროასლი და მომაწოდა თბილისში წაკითხული მისი მოხსენებაც.

აკად. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში, ტიციან ტაბიძის არქივში, აღმოჩნდა ტიციან ტაბიძის ნარკვევის ავტოგრაფი რუსულ ენაზე. ავტოგრაფზე მიგვითითა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული აკაკის კაბინეტის მეცნიერ-თანამშრომელმა ნანა ფრუიძემ.

ტიციან ტაბიძის ქალიშვილის, ქალბატონ ნიტა ტაბიძის და შვილიშვილის, ქალბატონ ნინო ანდრიაძის თანხმობის მიღებისთანავე გადავწყვიტე, ამ ნარკვევს დაუყოვნებლივ ეხილა დღის სინათლე საქართველოშიც. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ნარკვევი, გარდა სომხეთისა, არსად არ უნდა იყოს დაბეჭდილი. შევუდექით საქმეს. გარკვეულად რთული აღმოჩნდა ტიციან ტაბიძის ავტოგრაფული რუსული ტექსტის გამოსაცემად მომზადება, რამდენადაც ავტოგრაფი სავსეა ჩასწორებებით. არის ძნელად ამოსაკითხი ადგილები.

აუცილებლად ჩავთვალეთ, ტიციან ტაბიძის რუსულ ენაზე დაწერილ ნარკვევს დართვოდა ქართული თარგმანი, შეჯერებოდა სომხურ გამოცემას, რათა ცხადი გამხდარიყო, რა მიმართებაში იყო სომხური თარგმანი ავტოგრაფთან, ჩასწორდა თუ არა სომხეთში გაგზავნილი ტექსტი სრულყოფის მიზნით და ა.შ.

ტიციან ტაბიძის ავტოგრაფი გამოსაცემად მოვამზადეთ მე და თემურ ჯაგოდნიშვილმა, იგი შესანიშნავი ფოლკლორისტი და ჟურნალისტია, ამავე დროს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთ მიმართულებას ხელმძღვანელობს. ტექსტი რუსულიდან ქართულად მანვე თარგმნა, ხოლო სომხურ გამოცემასთან შეადარა შესანიშნავმა პოეტმა ზეზვა მედულაშვილმა. როგორც შედარებამ ცხადყო, ტიციან ტაბიძის ავტოგრაფის ტექსტი საბოლოოა. სომხური თარგმანი ზუსტადაა შესრულებული და პრაქტიკულად არავითარ ცვლილებას არ შეიცავს.

— გარდა იმისა, რომ ტიციან ტაბიძის აქამდე სრულიად უცნობი ნარკვევის არსებობა ქართული საზოგადოებისთვის, თქვენი წყალობით, ცნობილი გახდება, საინტერესოა, რა ლიტერატურული ღირებულება აქვს ამ ნარკვევს?

— ეს არის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, რომელიც მოიცავს XIX საუკუნის ლიტერატურულ პროცესთა, მწერალთა მიმოხილვა-ჩამონათვალს XX საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით. ამ დროისათვის ჩვენ ახალი ლიტერატურის ისტორია, როგორც ასეთი, არ გვაქვს, თუ არ ჩავთვლით კიტა აბაშიძის „ეტიუდებს“ და ვახტანგ კოტეტიშვილის „ქართული ლიტერატურის ისტორიას“. მე-19 საუკუნის ლიტერატურის ისტორიის ფუძემდებელი, მართალია, ილია ჭავჭავაძე გახლავთ, მაგრამ ისტორიები, როგორც ასეთი, არ გვქონდა, ამიტომაა ერთ-ერთი პირველი ტიციან ტაბიძის ლიტერატურის ისტორიაც.

როგორც ჩანს, ტიციან ტაბიძის ნარკვევი გამიზნულია რუსულენოვანი, საზოგადოდ, არაქართველი მკითხველისათვის და, ამდენად, ძირითადად უფრო ინფორმაციული ხასიათისაა, ხშირ შემთხვევაში ვრცელ თხზულებათა სიუჟეტები გადმოცემულია კომპაქტურად. ნარკვევი მთლიანობაში დაწერილია დიდი აღმაფრენით, უშუალო ნაგრძნობზე დაფუძნებული დაკვირვებებით, მიგნებებით. ყველაფერი, ბუნებრივია, ეყრდნობა სათანადო კრიტიკული ლიტერატურის ღრმა ცოდნას — ყოველივე ეს ნაშრომს ესეისტურ-კრიტიკულ ხასიათს ანიჭებს.

ნარკვევის ავტორი საგანგებოდ ზრუნავს, რომ უცხოელ მკითხველს აჩვენოს სიფართოვე და სიღრმე ქართული მწერლობისა, განიხილოს იგი მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. მასში შეიძლება ზოგიერთი რამ სადავო იყოს, მაგრამ ნარკვევი, თავისთავად, ძალზე საინტერესოა.

ფართო ჰორიზონტის კაცია ტიციანი, იგი არა მარტო პოეტია, არამედ შესანიშნავი ლიტერატორიცაა. მას მოსკოვის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. მისი წერილები, მაგალითად, ვაჟა-ფშაველაზე მისი უბრწყინვალესი ნარკვევი, რომელიც უძღვის ვაჟა-ფშაველას პირველ ტომს, მომავალში ბიძგი გახდა უამრავი საინტერესო დაკვირვებისა და მიგნებისა. ტიციანს საინტერესო ნარკვევი აქვს დაწერილი ილიაზე, დავით კლდიაშვილზე, მაგრამ ასეთი გაბმული ისტორია — იოანე ბატონიშვილის „კალმასობიდან“ დაწყებული ვიდრე შიო არაგვისპირელამდე, არ გვქონია.

როგორც ითქვა, ტიციან ტაბიძეს ეს ნარკვევი გამიზნული ჰქონდა ძალიან ფართო მკითხველისთვის. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მის სიცოცხლეში ამგვარი რამ ვერ განხორციელდა, მხოლოდ სომეხ მკითხველს მიეცა მისი გაცნობის შესაძლებლობა თავის ენაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ არა მარტო ქართველი, არამედ, საერთოდ, ფართო მკითხველის წინაშე ტიციან ტაბიძის ეს ნარკვევი ახლა წარდგება — მისი დაწერიდან 80 წლის შემდეგ.

— რამდენადაც თქვენი წიგნიდან გახდა ცნობილი, ნარკვევი 1929 წელს დაიწერა. საინტერესოა, იმ მძიმე პერიოდში როგორ ახერხებს ტიციან ტაბიძე ღიად ისაუბროს რუსეთის ინტერესებზე საქართველოსთან მიმართებაში და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების განხილვისას მიუთითოს ისეთ შტრიხზე, რომელიც საქართველოს იმჟამინდელ მდგომარეობას აღწერს — „ბულბულის ხვედრი სულაც ვერ შემსუბუქდება, თუ გალია ოქროსი იქნება“ — ტიციანის ეს სითამამე მართლაც რომ საგულისხმოა...

— გეთანხმებით, თამამია ტიციანი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის თემასთან დაკავშირებით, იგი ყველაფერს საღად ხედავს.

მიუხედავად იმისა, რომ კონიუნქტურა არსებობდა, ტიციანი ფაქიზად მაინც ახერხებს თავისი სათქმელის თქმას. და ეს იწერება 30-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველოში ატმოსფერო უკვე მძიმდება. და იცით, რომ ტიციანი დახვრიტეს ბოლოს... მეუღლემ ჯერ კიდევ არ იცოდა ამის შესახებ, 40-იანი წლების ბოლოს მას ტიციანი ისევ ცოცხალი გონია, იქით პასტერნაკი ამშვიდებდა — ნამდვილად ვიცი, რომ ცოცხალიაო, არადა ტიციანი 1937 წელში დახვრიტეს.

— სომეხი ხალხისთვის რამდენად იქნებოდა საინტერესო ეს ნარკვევი, რომელიც ელიშე ჩარენცმა თავის დროზე ერევანში გამოსცა?

— ტიციან ტაბიძის ნარკვევი სომეხი ხალხისთვის იმდენად უნდა იყოს საინტერესო, რამდენადაც ჩვენთვისაა საინტერესო — რა ხდება მეზობელ ქვეყნებში, რა კულტურის მატარებელია ეს ხალხი, რითი ცხოვრობს, რა ასულდგმულებს? — ამას ყველაზე უკეთ მწერლობა გვაჩვენებს. ჩვენთვის ღირებულია პროგრესულად მოაზროვნე სომეხი მწერლების ბრძოლა სომეხი და ქართველი ხალხების ერთობისთვის — მათ შორის კულტურული დიალოგის წარმართვისთვის. როდესაც მეცხრამეტე საუკუნის 20-იან წლებში ქართველებსა და სომხებს შორის ომი ატყდა, ოვანეს თუმანიანმა ერევანში მცხოვრებ თავის შვილებს მტკიცედ მოთხოვა, რომ ამ ბინძურ ომში არ ჩარეულიყვნენ — ეს ულამაზესი ფაქტია.

— ამ წიგნის პოპულარიზაცია ალბათ აუცილებელია, რათა ყველა ქართველმა იცოდეს ტიციან ტაბიძის ახლად აღმოჩენილი ნარკვევის შესახებ... მისი გაცნობა საინტერესო იქნებოდა სკოლის პედაგოგებისთვისაც, რომლებიც მოსწავლეებს XIX საუკუნის ქართულ მწერლობას ასწავლიან... ამ წიგნის დამხმარე სახელმძღვანელოდ აღიარებაც, ალბათ, ურიგო არ იქნება. თქვენ რა კამპანიას გეგმავთ ამ მიმართულებით?

— ტიციან ტაბიძის ნარკვევის აღმოჩენა მართლაც სენსაციაა ლიტერატურული ცხოვრებისთვის. იგი ნელ-ნელა გაიკაფავს გზას სამეცნიერო წრეებში და ახალგაზრდობაშიც და, იმედია, მომავალში, როცა ტიციანის ახალი კრებული გამოვა, მასში შევა ეს ნაშრომიც. უპირველეს ყოვლისა, ვფიქრობ, ეს კამპანია გამიზნული უნდა იყოს ჯერ მაინც უმაღლესი სკოლისთვის, პროფესორ-მასწავლებლებისთვის, ახალი ქართული ლიტერატურის მკვლევარებისთვის, სტუდენტი-ახალგაზრდობისთვის, მასწავლებლებისთვის, თუმცა ამ წიგნის სკოლებისთვის მიწოდება, ამ ეტაპზე, განუხორციელებლად მეჩვენება. ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუკი მასწავლებლები სკოლის მოსწავლეებს, ტიციან ტაბიძის შემოქმედების განხილვისას, ასეთი ნარკვევის შესახებ ცნობას მიაწოდებენ და XIX საუკუნის მწერალთა ღვაწლზე საუბრისას ტიციანის შეფასებებს მოიშველიებენ, რაც შეიძლება სადისკუსიო თემადაც აქციო. მთავარი ის არის, რომ ამ არაჩვეულებრივი ნაშრომით ტიციანის შემოქმედება, მისი პოეტური, ლიტერატურული და კრიტიკულ-ესეისტური მემკვიდრეობა გამდიდრდა. ეს ისტორიაა უკვე, ჩვენი ლიტერატურის ისტორია, რომლიდანაც ბევრი რამ საჭირო და მომავლისთვის გასათვალისწინებელია.

„მე კი კვლავ გულის კარნახით ვცხოვრობ“

(ოთარ ჭილაძის ხსოვნას)



2009 წლის ოქტომბერია. ერთი თვეც არ გასულა ოთარ ჭილაძის გარდაცვალებიდან. 4 ოქტომბერს მთაწმინდის მიწამ ჩაიხუტა თავისი ღვაწლმოსილი შვილი — დიდი მწერალი და მრავალმხრივი შემოქმედი. ოთარ ჭილაძის ყოველი ლექსი, რომანი, ესსე და წერილი იმ ენერგიით იყო დამუხტული, რომელიც ფეიერვერკებივით ფეთქდებოდა მკითხველის ცნობიერებაში, აჩენდა დიდ საფიქრალს, სიტყვის დღესასწაულით ალამაზებდა სივრცეს... „სიტყვა ერთადერთი და საკმაოდ ბნელი გვირაბია, რომლის მეშვეობითაც სამყაროს ვუკავშირდებით, ჩვენი არსებიდან თავდაღწეულნი, და რომლის მეშვეობითაც ისევ ჩვენს არსებაში ვბრუნდებით, მარად ამოუცნობი სამყაროდან, ოღონდ, უფრო უკეთესნი, ვიდრე „გამგზავრებამდე ვიყავით“, — უთქვამს თავად. იგი ქართული სიტყვის სამყაროს ნაწილი იყო და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მწერალმა სიცოცხლე შემოქმედებას და სამშობლოს მიუძღვნა.

ოთარ ჭილაძე იმ გამონაკლისთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის არსებობის გარეშეც ბევრ რამეს დაკარგავდა ეპოქა და ის ლიტერატურული სივრცე, რომელსაც თავად ეკუთვნოდა. მისმა არისტოკრატულმა, ბრძნულმა შემოქმედებამ თითქოს მეტი სინათლე შესძინა ფანჯრიდან შემოსულ შუქს, მეტი მუსიკა – ჩიტების გალობას. იგი მარტო თავისი ეპოქის კი არა, ყველა ეპოქის შვილია და მიუხედავად ამისა, მაინც წერს: „პოეტი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილია და გულუხვად და პატიოსნად უბრუნებს ხალხს, რაც უნახავს და განუცდია“. მან ყველაზე ძვირფასი — შემოქმედებაში აღბეჭდილი წრფელი განცდები, ტკივილები, სიხარული, თრთოლვა და დიად ფასეულობებზე ნათქვამი საოცარი სიტყვა დაუბრუნა მკითხველს.

მინდა აღვნიშნო მისი პიროვნული მომხიბვლელობის შესახებაც. ერთი შეხედვით წყნარსა და ჩუმ ადამიანში, რომელიც თითქოს გარინდული იჯდა მაგიდასთან, (ვგულისხმობ ბოლო ათწლეულს) დაუცხრომელი სულიერი ენერგია იგრძნობოდა. გამორჩეულ ყურადღებას აქცევდა თანამოსაუბრე ადამიანი — თუ როგორი გულით და განწყობით საუბრობდა საქართველოზე. სამშობლოს ბედ-იღბალი მისთვის გამორჩეულად ხელშეუხებელი და მნიშვნელოვანი თემა იყო, თავად როცა საუბრობდა, მხოლოდ უნდა გესმინა, რადგან მისგან შეიძლებოდა გაგეგო, რას ნიშნავს ნამდვილი სიცოცხლე. მოვიგონოთ, როგორ აბობოქრდა, როცა რუსეთმა გასულ ზაფხულს კიდევ ერთხელ დაატრიალა ჩვენს მიწაზე საშინელება. ოკუპანტს მან თავისი სიტყვით მაშინვე გასცა პასუხი, რომელიც, რა თქმა უნდა, საქმესაც ნიშნავდა.

...და მაინც, რას ნიშნავს დიდი მწერალი... ალბათ, ზნეობისა და გონიერების საბურველში ანთებულ ნიჭს, რომელიც თავის წიგნს გადაგაშლევინებს და გიშველის, გაგახარებს, შეგმატებს ბრძოლის და სიყვარულის უნარს, მიგახვედრებს, რომ მშვენიერება არსებობს და, არ შეიძლება ამაში ეჭვის შეტანა.

„დაუკრეჭია კბილები ყინვას.
ქარი ყველაფერს და ყველას ერჩის...
იქნება ჩემმა ფეხის ხმამ ვინმეს
მეგობარივით მიუსწროს ბნელში.
იქნება სულზე მიუსწროს ვინმეს,
იმედად, შვებად ჩაუდგეს მკერდში.
დაუკრეჭია კბილები ყინვას.
ქარი ყველაფერს და ყველას ერჩის“.

ასეთი იყო ოთარ ჭილაძის შემოქმედება.

სხვას რას შეუძლია მოგანიჭოს შვება და იმედი, თუ არა სიტყვას. რაც ახლა ვთქვი, არავისთვის არის სიახლე, მაგრამ მინდოდა მაინც მეთქვა...

თქვენი შემოქმედება მუდამ მეგობარივით იდგება ჩვენს გვერდით. მშვიდობით ბატონო ოთარ!

ქეთევან შენგელია
მწერალთა ასოციაცია „მნათობის“ გამგეობის წევრი, თსუ-ის „ლიტერატურული სახელოსნოს“ ხელმძღვანელი

„თაიმსმა“ მსოფლიოს საუკეთესო 10 უმაღლესი სასწავლებლის რეიტინგი შეადგინა

ყოველკვირეულმა „თაიმს ჰაია ედუქეიშენმა“ მსოფლიოს საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლების ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა.

გამოცემა, რომელიც ბრიტანული გაზეთის „თაიმსის“ დამატებას წარმოადგენს, პლანეტის საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლების სიას 2004 წლიდან ადგენს.

ამჯერად რეიტინგის შედგენაში 9386 მეცნიერისა და უნივერსიტეტების ამასწინდელი კურსდამთავრებულების 3281 დამქირავებლის აზრი გაითვალისწინეს.

აღსანიშნავია, რომ ლაპარაკია მხოლოდ მიღებული განათლების ხარისხზე და არა უნივერსიტეტების კვლევით საქმიანობაზე.

პირველი 16 ადგილი ტრადიციულად ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის 16-მა უმაღლესმა სასწავლებელმა დაიკავა.

პირველ ადგილზე, ისევე როგორც შარშან, ჰარვარდის უნივერსიტეტი გავიდა.

ამერიკული უნივერსიტეტები კვლავინდებურად დომინირებენ სიაში და 200-დან 54 პოზიცია უკავიათ.

მიუხედავად ამისა, ექსპერტების აზრით, აშშ-ის, როგორც „საუნივერსიტეტო ზესახელმწიფოს“ სტატუსი წლეულს არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა.



ჰარვარდის უნივერსიტეტი

გარდა ამისა, მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტების რეიტინგში წლიდან წლამდე იზრდება აზიური უნივერსიტეტების წილი. წლეულს მათი რიცხვი 32-ს აღწევს.

ყველაზე მაღლა აზიის უნივერსიტეტებს შორის ტოკიოს უნივერსიტეტი ავიდა — 22-ე ადგილზე, მას ჰონგ კონგის უნივერსიტეტი მოსდევს — 24-ე ადგილი.

აზიის უნივერსიტეტების წარმატება აიხსნება მასობრივი ფინანსური დახმარებით, რომლებსაც აზიის ქვეყნები საკუთარ საუკეთესო უნივერსიტეტებს უწევენ.

გარდა ამისა, სპეციალისტები ბრიტანული უმაღლესი სასწავლებლების თვალშისაცემ წარმატებასაც აღნიშნავენ. სიაში 29 ბრიტანული სასწავლებელია. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯი და საიმპერატორო კოლეჯი, რომლებიც შესაბამისად მე-4 და მე-5 ადგილებზე არიან.

ბრიტანული უნივერსიტეტებიდან ყველაზე მაღლა კემბრიჯის უნივერსიტეტი ავიდა, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა და თავის ძველ მეტოქეს, ოქსფორდის უნივერსიტეტს აჯობა.

მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგის პირველი ათი წევრი ასე გამოიყურება:

1. ჰარვარდის უნივერსიტეტი (აშშ)
2. კემბრიჯის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
3. იელის უნივერსიტეტი (აშშ)
4. ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯი (დიდი ბრიტანეთი)
5. ლონდონის საიმპერატორო კოლეჯი (დიდი ბრიტანეთი)
6. ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
7. ჩიკაგოს უნივერსიტეტი (აშშ)
8. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (აშშ)
9. კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (აშშ)
10. კოლუმბიის უნივერსიტეტი (აშშ)

სატურნს კიდევ ერთი რგოლი აღმოუჩინეს

პლანეტა სატურნის გარშემო მეცნიერებმა ახალი სარტყელი აღმოაჩინეს, რომელიც დღემდე ყველა ცნობილ სარტყელზე გაცილებით დიდი ზომისაა.

მტვრისგან შემდგარი სარტყელი გაზის გიგანტისგან დაახლოებით 13 მილიონი კილომეტრის მოშორებით ბრუნავს, რაც სხვა რგოლების რადიუსზე თითქმის 50-ჯერ მეტია.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მტვრის ნაწილაკები, რისგანაც ეს რგოლი შედგება სატურნის მრავალრიცხოვანი თანამგზავრებიდან ერთ-ერთის, თებეს ნამსხვრევებია, რომლებიც მასთან სხვა ციურ სხეულებთან შეტაკების შედეგად კოსმოსში გაიფანტნენ.

მეცნიერების აზრით, თებესგან ადენილ მტვერს სატურნი იზიდავდა, მაგრამ დედა პლანეტას შემდეგ სატურნის კიდევ ერთი თანამგზავრი, იაფეტი ეცილებოდა.

იაფეტმა დიდი ხანია, რაც ასტრონომებს თავსატეხი გაუჩინა. მისი ერთი-ერთი ნახევარი ღია ფერისაა, მეორე კი ძალიან მუქი.

იმ შემთხვევაში, თუკი დადასტურდა, რომ სატურნის თანამგზავრი მტვრის ნაწილაკებს იზიდავს, ამ ორფეროვნების საიდუმლო გამოირკვევა.

მეცნიერების თქმით, თებეს ნაწილაკები იაფეტს თითქმის შვეულად ეცემიან და ისე ცვივიან მასზე, როგორც მწერები მანქანის საქარე მინაზე.

იაფეტის ბნელი მხარის სპექტრული ანალიზის შედეგები თებეს ზედაპირის ანალიზის შედეგებს ჰგავს. რაც შეეხება ახალ რგოლს, მისი ზომები მართლაც შთამბეჭდავია და მას მზის სისტემაში ანალოგი არ მოეძებნება.

სატურნის ადვილად შესამჩნევი რგოლებიდან, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, ყინულისა და მტვრისგან შედგებიან, ყველაზე შორს პლანეტისგან ე.წ. ი—სარტყელი მდებარეობს, იგი თანამგზავრ ენცელადის ორბიტის იქითაა და პლანეტიდან სულ რაღაც 240 ათასი კილომეტრით არის დაშორებული.

მტვრის ახალი რგოლი კი პლანეტისგან გაცილებით ფართოა და მისი ორბიტა 27 გრადუსით არის დახრილი სიბრტყის მიმართ, რომელშიც სხვა სარტყელები მდებარეობენ.

ეს გარემოება ადასტურებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც იგი თებეს ნამსხვრევებისგან უნდა შედგებოდეს. ამ თანამგზავრის ორბიტაც, ასევე, ძლიერ დახრილია.

მეცნიერები ამ სარტყლის არსებობას თეორიული კვლევების საფუძველზე დიდი ხნის წინ წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მისი დადასტურება ნასას კოსმოსური ტელესკოპის „სპიტცერის“ წყალობით მხოლოდ ამას წინათ მოხერხდა.



მტვრის ნაწილაკების ზომა ძალიან მცირეა და მათი ზომა მეტრის მემილიონედს არ აღემატება. სარტყელი ძალიან ფაშარია და მტვრის მთლიანად შეგროვების შემთხვევაში იგი თებეს ზედაპირზე მხოლოდ ერთ, არა უმეტეს ერთი კილომეტრი დიამეტრის მქონე კრატერს ამოავსებს.

თებეს ზედაპირი კი მთლიანად კრატერებით არის დაფარული, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობის ისტორიის განმავლობაში თებეს არაერთი კოსმოსური ობიექტი დაჯახებია.

ამ ობიექტების ფრაგმენტები, სავარაუდოდ, სატურნის გარშემო ბრუნავდნენ. დანარჩენები კი კოსმოსური სივრცის სიღრმეებიდან მოფრინდნენ.

პოპულარული კომპიუტერული პროგრამა Mathematica-ს ავტორმა სტივენ ვოლფრამმა ამჯერად მომხმარებელს ახალი სერვისი — Wolfram Alpha შესთავაზა, რომელსაც ნებისმიერ შეკითხვაზე შეუძლია პასუხის გაცემა. საძიებო მანქანებისგან განსხვავებით, ეს პროგრამა პასუხს ქსელში კი არ ეძებს, მიღებულ მონაცემებს აანალიზებს და პასუხს თავად გამოთვლის. გამომგონებლის განცხადებით, ახალ სერვისს მეცნიერების, ტექნოლოგიების, გეოგრაფიის, კულინარიის, მუსიკის და სხვა უამრავ სფეროში შეუძლია შეკითხვას უპასუხოს. მაგალითად, მას შეიძლება ჰკითხო: რამდენი პროტონია წყალბადის ატომში? ან როდის ღირდა ამა თუ იმ ფირმის აქციები, ვთქვათ, სამას დოლარზე ნაკლები? ამ კითხვებზე პასუხს მაშინვე მიიღებთ. ახალი სერვისი სწორედ კომპიუტერული ალგებრის ყველაზე უფრო პოპულარული პროგრამის Mathematica-ს გამოთვლითი მექანიზმის საფუძველზე აიგო. ვოლფრამის განცხადებით, ახალი ვებ-სერვისი ინფორმაციას ჩვეულებრივი საძიებო სტრიქონის გამოყენებით მოგვაწვდის.



როდესაც ოჯახში ათეულობით რობოტი დაგროვდება და სხვადასხვა დავალებას შეასრულებს, მათი გაკონტროლება რთული გახდება. გამოსავალს მეცნიერი კერსტონ დოიტენჰანი და მისი კოლეგები გვთავაზობენ. მათი აზრით, გაცილებით მოხერხებულია შეიქმნას „ხელოვნური პიროვნება“ ანუ კომპიუტერული ტვინი, რომელიც ერთი რობოტიდან მეორეზე „გადახტება“. სულ ცოტა ხნის წინ ბრიტანელმა მკვლევარებმა „რობოტთა სახლი“ გახსნეს. ამ ორსართულიან შენობაში ხუთი მანქანა ცხოვრობს, რომელსაც ერთიანი ინტერფეისი – გრაფიკული კომპანიონი, სახელად გრეტა მართავს. მთელ შენობაში მიმოფანტულია მონიტორები, რომელზედაც გრეტას შექმნილი ანიმირებული, სამგანზომილებიანი გამოსახულებები მოჩანს. ამის წყალობით კი გრეტას ბრძანებების კოორდინირება და მეპატრონის შეკითხვებზე პასუხის გაცემაც შეუძლია. შესაბამისად, მფლობელს ურთიერთობა მხოლოდ ერთ ვირტუალურ, კარგად ნაცნობ პერსონაჟთან აქვს და ამით საქმე ძალიან მარტივდება. რა თქმა უნდა, პროექტი ჯერჯერობით უნაკლო არ არის. გრეტას ურთიერთობა ერთ ჯერზე მხოლოდ ერთ რობოტთან აქვს და ხუთივეს მართვა ერთდროულად არ შეუძლია, მაგრამ მკვლევართა აზრით, ამ პრობლემის მოგვარებას მხოლოდ დრო დასჭირდება.

რა რაოდენობის ენერგია შეიძლება მივიღოთ ქარებისგან მაღლა ზეცაში? – დაინტერესდნენ კალიფორნიის უნივერსიტეტის კარნეგის ინსტიტუტის მკვლევარები და მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ ძალიან დიდი ენერგიის მიღება შეიძლება. მეცნიერებმა 28-წლიანი მონაცემები გააანალიზეს და აღმოაჩინეს, რომ მაღალ ქარებს ელექტროენერგიაზე მსოფლიო მოთხოვნილების ასჯერ მეტი ენერგიის გამომუშავება შეუძლია. გარდა ამისა, ისიც დაადგინეს, რომ ყველაზე იოლად „ქარის დაჭერა“ აღმოსავლეთი აზიისა და აღმოსავლეთ ამერიკის დასახლებული ცენტრების ზემოთ შეიძლება. კარნეგის ინსტიტუტის გლობალური ეკოლოგიის თანამშრომელმა კენ კალდეირმა და კალიფორნიის უნივერსიტეტის თანამშრომელმა რისტინა არჩერმა მაღალი ქარების ენერგიის პირველი რუკები შექმნეს. მათი აზრით, კაცობრიობა არნახული სიმძლავრის ენერგიას მიიღებს, თუკი მეცნიერება ქარის უსაფრთხო ტურბინების შექმნას შეძლებს.

ამერიკელმა ექიმებმა ვერაფრით დაადგინეს — რატომ არ იზრდება 16 წლის გოგონა, რომელიც თავისი განვითარებით ერთი წლის ბავშვის დონეზე დარჩა. სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის მეცნიერის რიჩარდ უოკერის აზრით, ეს უნიკალური მოვლენაა, რადგან ორგანიზმი ისე ვითარდება, თითქოს იგი დამოუკიდებელი ნაწილების ერთობა იყოს და არა ორგანული მთლიანობა. უამრავმა გამოკვლევამ, რაც გოგონას მთელი ცხოვრების მანძილზე ჩაუტარდა, ვერანაირი გენეტიკური ან ქრომოსომული ანომალია ვერ გამოავლინა. დღესდღეობით სპეციალისტები ეძებენ გენს, რომელმაც ეს მდგომარეობა წარმოშვა და მიაჩნიათ, რომ ადამიანის ორგანიზმის დაბერების მიზეზებს სწორედ ამით შეიძლება მიაკვლიონ.

ილინოისის შტატის უნივერსიტეტის ლაბორატორიამ სამწლიანი გრანტი მიიღო, რათა ვირტუალური რეალობის მულტისენსორული მაგიდა megaTable შექმნას. ეს მაგიდა არა მხოლოდ ორგანზომილებიანი, არამედ სამგანზომილებიანი გამოსახულების არეკვლასაც შეძლებს, თანაც ისე, რომ მის დასანახად სპეციალური სათვალე საჭირო აღარ იქნება. მაგიდას სენსორული მართვა ექნება, რომელიც რამდენიმე შეხებას ერთდროულად აღიქვამს. მისი გაფართოება კი 24 მილიონი პიქსელი იქნება. ამ ლაბორატორიაში ადრე უკვე

შექმნეს ინტერაქტიული მაგიდა-დისპლეი, რომელიც მხოლოდ ორგანზომილებიან გამოსახულებას ირეკლავდა. ლაბორატორიის წარმომადგენლების განცხადებით, მათი მოღვაწეობა არც ამ მაგიდით დასრულდება და იდეის შემდგომ განვითარებაზე ახლავე ფიქრობენ. როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში ჩვეულ კომპიუტერებსა და მაგიდებს წარსული ჩაიბარებს.

შვედმა და იაპონელმა მეცნიერთა ჯგუფმა ახალი ქაღალდი შექმნა, რომელიც თავისი სიმტკიცით ლამის ფოლადს უახლოვდება. ნაშრომის ერთ-ერთი ავტორი, შვედეთის სამეფო ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერი ლარს ბერლგუნდი ამტკიცებს, რომ ახალი ქაღალდი ზემტკიცე წებოვან ლენტად ან ბიოლოგიური ქსოვილების სინთეტიკურ შემცვლელად შეიძლება გამოიყენონ. ნანომილებისგან შექმნილი „ელექტრო ქაღალდისგან “ განსხვავებით, ახალი ქაღალდი ჩვეულებრივი ცელულოზისგან შედგება, ოღონდ განსხვავებული პარამეტრები აქვს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ უშუალოდ ხეში ცელულოზას ბოჭკოები ძალიან



მტკიცეა, მაგრამ ქაღალდის წარმოების მეთოდი ამ ბოჭკოებს ანგრევს და შესანიშნავ მექანიკურ თვისებებს უკარგავს. ნოვატორებმა კი ახალი მეთოდი გამოიგონეს, რის წყალობითაც ამ ბოჭკოთა ჯაჭვი ქაღალდში მინიმალური დანაკარგებით გადააქვთ.

იაპონურმა კორპორაციამ iXs Research-მა მოამზადა საავტომობილო ნავიგატორი, რომელსაც ხავერდის დათუნიას ფორმა აქვს. ეს ოცდაათსანტიმეტრიანი დათუნია, რომელსაც კისერზე და თათებზე ექვსი მოძრავი პანელი აქვს ჩაყენებული, მძღოლს სიამოვნებით ესაუბრება და მიმართულებას თათით აჩვენებს. გარდა ამისა, იგი ალკოჰოლის გამზომი მოწყობილობითაც არის აღჭურვილი და როგორც კი სპირტის სუნს იკრავს, მაშინვე აბუზღუნდება: „ხომ არ გამოთვერი?“ დათუნიას სიჩქარის ათვლაც შეუძლია და თუ მძღოლი ზედმეტ სისწრაფეს აკრეფს ან მეტისმეტად მკვეთრად დაამუხრუჭებს, მაშინვე აყვირდება — ფრთხილად იყავიო. დამატებითი ოპციის სახით, რობოტში მონაცემთა ბაზაცაა შეყვანილი. ასე რომ, საკმარისია თავში ოდნავ წამოარტყა, უახლოესი ობიექტის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მოგაწვდის.

საერთაშორისო კომპანიამ Middle East-მა მასშტაბური პროექტი წამოიწყო და უამრავი ინვესტორიც მოიზიდა. ეს იქნება მსოფლიოში ყველაზე დიდი დაკიდული ხიდი, რომელიც წითელ ზღვას არაბეთის ზღვასთან, აფრიკულ სახელმწიფო ჯიბუტის კი აზიურ იემენთან დააკავშირებს. ამ უშველებელ კონსტრუქციაზე ექვსზოლიანი სწრაფმავალი ტრასა და ოთხი სარკინიგზო მაგისტრალი იქნება. მეცნიერთა აზრით, უმთავრესი პრობლემა არქიტექტორებისთვის რეგიონის მაღალი სეისმური აქტივობის გადალახვა და სუეცის არხში დიდი გემების მოძრაობის პრობლემა იქნება. გენერალური გეგმა ითვალისწინებს ხიდის ორივე მხარეს ახალი ქალაქების აშენებასაც.

ფილიპინების უნივერსიტეტის მეცნიერებმა ბუმბულისა და ცემენტისგან ახალი სამშენებლო ფილები შექმნეს და ამით ქვეყნის წინაშე მდგარი ორი დიდი პრობლემა გადაჭრეს – ერთი მხრივ ბუმბულის გიგანტური რაოდენობის უტილიზაციის საკითხი, მეორეს მხრივ კი ტერმიტებთან ბრძოლა, რომელიც ხის ნაგებობებს სისტემატურად ანადგურებს. განვითარებული მეფრინველეობის გამო აქ წელიწადში თითქმის 2,4 მილიონი ბუმბულის უტილიზაცია სჭირდებათ, რაც ქვეყნისთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა. ახალ ფილებს ერთადერთი „ნაკლი“ აქვს – სიმტკიცე აკლია. ამიტომ მას მხოლოდ მოსაპირკეთებლად იყენებენ.

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	ნოდარ ბელქანია, გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭიღლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი	(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		
ფოტოკორესპონდენტი	სალომე მახარაძე		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავჟარაძე		22 36 62